ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 აპრილი **შაბათი** 2012 №082(13688) ფასი 80 თეთრი

# დინამო, ანუ ფრე

## მეტალურგმა დინამოსთან თამაში და სიმღერა შემოაბრუნა: ზესტაფონო, გიახლოვდები...



2

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# როცა პირველიდან მესამემდე 30 ქულაა

## დამაინც, მოედანზე რეალი და ვალენსია გავლენ




9



5

# MARCA: რაული ყატარში!



მანუჩარ მარკოიშვილი

ევროპული ბიბლიოთეკა

# კანტუ მეორეზე დამკვიდრდა

## პირველი? რატომაც არა!

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „კანტუმ" „მონფერატო" მიიღო და 70:55 დაამარცხა. ამ მოგებით კანტუელები მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ, ორი მოგებით უსწრებენ მდევრებს. თუმცა უფრო ნაკლები სხვაობაა პირველადგილოსანთან: სიენას „მონტეპასკის" 18 გამარჯვება აქვს, „კანტუს" - 17. მართალია, სიენელებს ორით ნაკლები შეხვედრა აქვთ ჩატარებული, მაგრამ ურთიერთშეხვედრის მოგების შემთხვევაში...

თუმცა იტალიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი და შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. მანამდე შეგახსენებთ, რომ **გიორგი შერმადინს** „კანტუს" შემადგენლობაში „მონფერატოსთან" ტრავმის გამო არ უთამაშია. **მანუჩარ მარკოიშვილმა** 25 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

# თსურპრიზი სუპერლიგაში

## ერთი ტურიც და პლეი ოფია

12




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## პლეი ოფი

# ერთის დანაკარგი და მეორის მონაპოვარი

06.04. თბილისი. დინამო არენა. 1 500 მაყურებელი

**დინამო 1**

**მეტალურგი 1**

1:0 თომაშვილი (3), 1:1 გენაძე (74)

| დინამო | მეტალურგი |
|---|---|
| ლორია | ბედიაშვილი |
| ოდიკაძე | ს. თოდუა |
| ხიზანეიშვილი | მახვილაძე |
| თომაშვილი | გავაშელიშვილი |
| რეხვიაშვილი | ჯაფარიძე |
| კვეკვესკირი | სეთურიძე |
| ძარია | ქავთარაძე |
| ხმალაძე | რაზმაძე |
| კოშკაძე | გენაძე |
| ჯილაური | ი. მაისურაძე |
| როზერტინიო | სიხარულიძე |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| გ. დევდარიანი | კ. ყორყიკაშვილი |

**დინამო**

51. კოშკაძე – **გოგუა**
71. ოდიკაძე – **ტვილდიანი**
80. ხმალაძე – **იაგუე**

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, ანდრეუ, კოტო, ბ. მუმლაძე

**მეტალურგი**

63. სეთურიძე – **ტატანაშვილი**
76. გენაძე – **დობროვოლსკი**

*სათადარიგოები:* ბათიაშვილი, ხოხონიშვილი, ექვთიმიშვილი, მოდებაძე, ჭედია

*გაფრთხილება:* ბედიაშვილი (8), ოდიკაძე (31), ჯილაური (38), რაზმაძე (50), ტატანაშვილი (67), კვეკვესკირი (69), თოდუა (72)

*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპზე "დინამომ" მეექვსე მატჩი ჩაატარა და ზედიზედ მეექვსე ფრე ითამაშა – საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდისთვის ეს უკვე კატასტროფულთან მიახლოებული შედეგია. გუშინვე ქუთაისში "ტორპედომ" ზუგდიდის "ბაიას" სძლია, "დინამოს" ქულებით გაუთანაბრდა და თუ 10 აპრილს მარტვილის "მერანთან" გადადებული შეხვედრაც მოიგო, დედაქალაქელებს სამი ქულით ჩამოიტოვებს. ამით კი "დინამოს" ევროპის ლიგაზე მოხვედრის პერსპექტივა საკმაოდ გაურთულდება. ერთი სიტყვით, იმისდა მიუხედავად, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს მასპინძლობდა, **გიორგი დევდარიანის** გუნდისთვის "მეტალურგთან" მოპოვებული ქულა დიდი ვერაფერი მონაგარია.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ტურის ცენტრალურმა მატჩმა მოლოდინი მაინცდამაინც ვერ გაამართლა და დიდი ვერაფერი სანახაობა ვიხილეთ. მართალია, ბურთები გავიდა, მაგრამ მეკარეებს უშეცდომოდ რომ ეთამაშათ, მატჩი უგოლოდ დასრულდებოდა.

საკადრო პრობლემები ორივე გუნდს ჰქონდა – "დინამოს" მრავალრიცხოვანი დაშავებულებიდან ყველაზე ხაზგასასმელი **ჩისკოსა** და **გიორგი მერებაშვილის** არყოფნა იყო, რუსთაველებს კი დისკვალიფიკაციის გამო ექსდინამოელები, **გივი კვარაცხელია** და **გიორგი თექთურმანიძე** აკლდათ.

სწრაფმა გოლმა თამაში შედარებით გამოაცოცხლა. მასპინძელთა მოწოდებულ კუთხურზე **გრიგოლ ბედიაშვილი** არადამაჯერებლად გამოვიდა, რითაც **გულვერდ თომაშვილმა** ისარგებლა და "დინამო" ახლო მანძილიდან გატანილი გოლით დააწინაურა.

თუკი მეორე ტაიმში მოვლენები მეტ-ნაკლებად საინტერესოდ განვითარდა, შესვენებამდე უფერული ფეხბურთი ვიხილეთ. თამაში თანაბარი იყო, გასახსენებლად კი მხოლოდ **ირაკლი მაისურაძის** ძლიერი და ოდნავ არაზუსტი დარტყმა ღირს.

მეორე ტაიმის დასაწყისში დევდარიანმა თამაშში არცთუ ბოლომდე ჯანმრთელი **გოგიტა გოგუა** ჩართო, რომელმაც გუშინ "დინამოს" ლიდერობა ვერ შეძლო. სამაგიეროდ, **კობა ყორყიკაშვილის** გუნდის თამაში აშკარად გამოაცოცხლა შეცვლაზე შესულმა **დიმიტრი ტატანაშვილმა**. საერთოდაც, "მეტალურგი" უფრო მძლავრად ათამაშდა და მატჩის მეორე ნახევარში მასპინძლები აშკარად დაჯაბნა. სტუმართაგან მხოლოდ ტატანაშვილი არ გამოირჩეოდა – სხვა შემტევებმაც რიგიანად ითამაშეს. თუკი "დინამომ" წინა ხაზზე ღირებული საერთოდ ვერაფერი შექმნა, რუსთაველებმა ენერგიულად შეუტიეს და მასპინძელთა დაცვას გვარიანი თავსატეხიც გაუჩინეს.

64-ე წუთზე **ირაკლი სიხარულიძემ** **ლაშა ჯაფარიძის** გადაცემა მიიღო და ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა, სამ წუთში კი ტატანაშვილი სოლორეიდით შეიჭრა საჯარიმოში და მასპინძელთა მცველთან ორთაბრძოლაში დაეცა – მეტალურგელები პენალტს ითხოვდნენ და როგორც ვიდეოგამეორებამ გვიჩვენა, მათ ამის საფუძველი ჰქონდათ კიდეც.

"მეტალურგის" მცდელობამ შედეგი მაინც მოიტანა – **რევაზ გენაძე** მარჯვენა ფრთაზე მეურვეებს დაუსხლტა და საკმაოდ შორიდან დაარტყა. **გიორგი ლორიას** ამ ბურთის მოგერიება მართებდა, მაგრამ რეაქცია დააგვიანა და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა.

დარჩენილ წუთებში ნიშანდობლივი არაფერი მომხდარა. იმის მიუხედავად, რომ გამარჯვების შემთხვევაში "მეტალურგი" ლიდერ "ზესტაფონთან" ჩამორჩენას ერთ ქულამდე დაიყვანდა, მატჩის შედეგით კმაყოფილები სტუმრები დარჩნენ, დინამოელთა შორის კი ტრაგიკული განწყობა იყო.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი დევდარიანი** ("დინამო"): *"მნვავე საკადრო პრობლემები გვაქვს და ყოველი მატჩის წინ რაღაც ახლის გამოგონება გვიწევს. ჩვენს არასახარბიელო მდგომარეობას გოგიტა გოგუას ტრავმაც დაემატა, რომლის შეცვლაზე შეყვანითაც ძალიან გავრისკეთ. ვითამაშეთ იმ ტაქტიკით, რის საშუალებასაც არსებული რესურსი გვაძლევდა. თამაში კონტრშეტევებზე ავაგეთ, ცენტრფორვარდად კი სწრაფი რობერტინიო დავაყენეთ, რომელსაც მეტოქის მძიმე მცველებისთვის პრობლემები უნდა შეექმნა. ძალიან კარგად ვიცი, რომ დღევანდელი დონის თამაში "დინამოს" არ შეეფერება, დიდი იმედი გვაქვს, რომ შედეგებს მალე გავაუმჯობესებთ".*

**კობა ყორყიკაშვილი** ("მეტალურგი"): *"თავიდანვე ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. საკადრო პრობლემების გამო ძირითად შემადგენლობაში იძულებითი კორექტივების შეტანა დაგვჭირდა. მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, რომლებმაც ხასიათი გამოავლინეს და მძიმე ბრძოლაში მეტოქეს ტოლი არ დაუდეს. რაც შეეხება არდანიშნულ თერთმეტმეტრიანს, ვფიქრობ, რომ წესების დარღვევა აშკარა იყო".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რთული მოგება

06.04. ქუთაისი. ტორპედო. 2500 მაყურებელი

**ტორპედო 2**

**ბაია 1**

1:0 გამეზარდაშვილი (4), 2:0 გოცირიძე (29. გურულის პასით), 2:1 შ.ლომია (63)

| ტორპედო 4-5-1 | ბაია 4-4-2 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | სომხიშვილი |
| იოსელიანი | გ. ქვარცხავა |
| კვახაძე | აფაქიძე |
| გამეზარდაშვილი | აკობია |
| გ. გურული | გამრეკლიძე |
| დოლიძე | სიხარულია |
| დილმელაშვილი | ნ. შონია |
| ვ. ბოლქვაძე | ტყემალაძე |
| გ. დათუნაიშვილი | კუტალია |
| თარხნიშვილი | გაბედავა |
| გოცირიძე | ეხვაია |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| გ.გეგუჩაძე | გ.ტყებუჩავა |

**ტორპედო**

53. ბოლქვაძე—**კუხიანიძე**
69. თარხნიშვილი—**საბანაძე**
80. დოლიძე—**ფირცხალავა**

*სათადარიგოები:* ქვილითაია, ტაბატაძე, შერგელაშვილი, დ. ჯანელიძე

**ბაია**

46. ეხვაია— **შ. ლომია**
57. ტყემალაძე—**კუკავა**
66. გამრეკლიძე—**ზ.ქვარცხავა**

*სათადარიგოები:* ჯომიდავა, პაჭკორია, გუჯეჯიანი, აქუბარდია

*გაფრთხილება:* კუხიანიძე (86)

*არბიტრი:* ხ.გაგნიძე

საუკეთესო რვა გუნდში „ტორპედოს" თამაში არ ჰქონდა მოგებული და ქუთაისელი გულშემატკივრები საყვარელი გუნდისგან პირველი საპლეიოფო გამარჯვების მოლოდინში იყვნენ. **გია გეგუჩაძის** გუნდისთვის, რომელიც სამეულისთვის იბრძვის, ფინანსურად მოძლიერებულ „ბაიასთან მატჩი სატურნირო თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ, მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს უპირატესობის მოპოვება, შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და სწრაფი გოლითაც დაწინაურდნენ. **ვალერი ბოლქვაძის** კუთხურისა და **რევაზ გოცირიძის** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა, ძელიდან გამოვარდნილ ბურთთან კი პირველი **დავით გამეზარდაშვილი** გაჩნდა და ზუგდიდელები ახლო მანძილიდან დაამწუხრა. ქუთათურები გოლის შემდეგაც ფლობდნენ უპირატესობას და ბურთსაც აკონტროლებდნენ, თუმცა მეორე გოლამდე მხოლოდ **გიორგი დათუნაიშვილს** ჰქონდა გატანის რეალური შანსი, მან სომხიშვილის მოდუნებით ისარგებლა და მეკარესთვის იოლად მოსაგერიებელ ბურთს მიუსწრო, თუმცა ზუგდიდელთა კიპერმა შეცდომა გამოასწორა და მდგომარეობა განმუხტა. ქუთაისელთა მეორე გოლი სწრაფ და ლამაზ კომბინაციას მოჰყვა. **თორნიკე თარხნიშვილმა** მარჯვენა ფლანგზე შეტევაში **გიორგი გურული** ჩართო, რომელმაც მეკარის ბაქანთან გამჭოლი გადაცემა გააკეთა და გოცირიძემაც დასწრებაზე, ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი ზუგდიდელთა კარში. ტაიმის ბოლოს გეგუჩაძის შეგირდებს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. გოცირიძემ თითქმის მოედნის ცენტრიდან შესანიშნავი პასით **გრიგოლ დოლიძე** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ქუთაისელთა გამოცდილმა ნახევარმცველმა სომხიშვილს ვერ აჯობა. ბოლო წუთებზე კი გოცირიძემ საჯარიმოს მისადგომებიდან ორჯერ სახიფათოდ დაარტყა, თუმცა უზუსტოდ.



ფოტო: fctorpedo.ge

შესვენების შემდეგ „ბაიას" თავკაცმა **გოჩა ტყებუჩავამ** მდგომარეობის გამოსასწორებლად შეცვლებს მიმართა. განსაკუთრებით **შოთა ლომიას** თამაშში ჩართვამ გაამართლა, ზუგდიდელები სულ სხვაგვარად ათამაშდნენ და მეტოქეს ბევრი პრობლემა შეუქმნეს. თუმცა, მათი გააქტიურება უფრო ტაიმის შუაწელიდან დაიწყო, მანამდე კი ქუთათურებს რამდენიმე საგოლე მომენტით უნდა ეხეირათ. ჯერ იყო და, ძალზედ აქტიური **გივი იოსელიანის** უძლიერესი დარტყმა მეკარემ უხერხულად მოიგერია, შემდეგ კი გოცირიძის დარტყმა მეტოქის საჯარიმოში „გაჩხერილ" გამეზარდაშვილს რომ არ მოხვედროდა, ბურთი სტუმართა კარში აღმოჩნდებოდა. თანდათან ზუგდიდელებიც გამოცოცხლდნენ, რომლებიც სწრაფი კონტრშეტევებით გადადიოდნენ ქუთაისელთა ნახევარზე და შორეული დარტყმებით აწუხებდნენ მეტოქეს. დასამახსოვრებელი იყო, საჯარიმოს კიდიდან **გიორგი გაბედავას** მოჭრილი დარტყმა, რომელიც მცირედით ასცდა მიზანს. მალე „ტორპედოს კართან სახიფათო საჯარიმო დაინიშნა: ლომიამ დაახლოებით 23 მეტრიდან ჯარიმა პენალტივით დაარტყა, ბურთი კედელს შემოატარა და **ომარ მიგინეიშვილის** კარის ცხრიანში მოათავსა. გატანილმა გოლმა სტუმრები „მადაზე" მოიყვანა, მათ ქულის გადარჩენის პერსპექტივა დაინახეს და შეტევები გაამწვავეს. ბოლოს კი რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს: მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ლომიამ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო შეასრულა, რის შემდეგაც შეტევაში ჩართული **ნიკა შონიას** ძლიერი თავური დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. ქუთათურებმა „დინამოს" წაფორხილებითაც ისარგებლეს და მესამე ადგილზე გადაინაცვლეს.

**მატჩის შემდეგ**

**გოჩა ტყებუჩავა**(ბაია): „რაც ზუგდიდის „ბაია" ქალაქის საკუთრებაში გადავიდა, ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ეს ჩვენს თამაშებზეც შესაბამისად აისახა. დღევანდელ მატჩს რაც შეეხება, პირველ ტაიმში თამაში ვერ ავაწყვეთ, მეტოქემ გვაჯობა და ორი გოლი გაგვიტანა. თუმცა, მეორე ტაიმში გაცილებით უკეთ ავთამაშდით, ერთი ბურთი გავქვითეთ და ანგარიშის გათანაბრების შანსიც გვქონდა..."

**გია გეგუჩაძე**(ტორპედო): „ბაია" ახალგაზრდული და მებრძოლი გუნდია, რომელმაც თავისი ხასიათი დღევანდელ მატჩშიც გამოავლინა. ლიდერებთან შეხვედრებმა დიდი ძალები წაილო, პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, რაც გატანილ გოლებშიც აისახა, მეორე ნახევარში თითქოსდა უპირატესობა ხელიდან გავუშვით, მაგრამ საგოლე მომენტები შესვენების შემდეგაც გვქონდა."

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

06.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 2 000 მაყურებელი

**ზესტაფონი 2**

**დილა 3**

0:1 ბექვაია (5), 0:2 ხოჯავა (21), 1:2 დვალი (29), 1:3 ვანაძე (57), 2:3 დვალი (62)

| ზესტაფონი 4-4-2 | დილა 4-4-1-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | სკენდერი |
| თ. ლონღაძე | ალადაშვილი |
| გ. ონიანი | სალუქვაძე |
| საჯაია | ინწკირველი |
| ბენაშვილი | მეგრელიშვილი |
| მენთეშაშვილი | ბექვაია |
| გორგიაშვილი | შ. კაშია |
| აფციაური | ლექვთაძე |
| შ. გრიგალაშვილი | კახელიშვილი |
| დ. მუჯირი | ხოჯავა |
| დვალი | ვანაძე |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| გ. ჭიაბრიშვილი | თ. შალამბერიძე |

**ზესტაფონი**

60. მუჯირი – **ოვონიკოკო**
71. გორგიაშვილი – **შარიქაძე**
83. აფციაური – **რაჭამაშვილი**

*სათადარიგოები:* მამალაძე, მ. კობახიძე, გ. ბერაია, წინამძღვრიშვილი

**დილა**

54. ხოჯავა – **ახალკაცი**
64. შ. კაშია – **ნ. ნოზაძე**
69. ვანაძე – **ბარაბაძე**

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, გოგინაშვილი, ს. გურული

*გაფრთხილება:* ინწკირველი (28), ხოჯავა (31), საჯაია (49), ალადაშვილი (56), შ. გრიგალაშვილი (65), ლექვთაძე (75), ბარაბაძე (84), გ. ონიანი (90)

*არბიტრი:* თ. გვანცელაძე

## პლეი ოფი

# რა სჭირს მერანს?

06.04. ფოთი. ფაზისი.
1 000 მაყურებელი

კოლხეთი **4**

მერანი **1**

1:0 გვალია (21. ტულუშის პასით), 2:0 დათუნაიშვილი (32. ქებაძის პასით), 3:0 ცხვიტარია (38. პავლიაშვილის პასით), 4:0 ქებაძე (75), 4:1 გრიგალაშვილი (76. ტორონჯაძის პასით).

| კოლხეთი 4-3-3 | მერანი 4-4-2 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | შენგელია |
| ფოფხაძე | მელიავა |
| ცხვიტარია | იოგაშვილი |
| გოიომო | ჟვანია |
| გაბუნია | სუხიაშვილი |
| ქებაძე | წონონავა |
| გვალია | დიდავა |
| გოგონაია | ე. გრიგალაშვილი |
| პ. დათუნაიშვილი | ჩალაძე |
| ბ. ტულუში | ტაკე |
| პავლიაშვილი | ტორონჯაძე |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| **დ. მახარაძე** | **მ. ჟვანია** |

**კოლხეთი**

46. პავლიაშვილი – **წურწუმია**
57. დათუნაიშვილი – **ციცხვაია**
58. გოგონაია – **ცხადაია**

*სათადარიგოები:* ხარშილაძე, გ. კილასონია, ნაბრია, გულუა.

**მერანი**

41. ჩალაძე – **კიკალიშვილი**
49. წოწორია – **ვართაგავა**
66. დიდავა - **ამბროლაძე**

*სათადარიგოები:* შეროზია, ტორაძე, კაკულია, წულაია.

*გაფრთხილება:* გოგონაია (14), წოწორია (47), გრიგალაშვილი (54).

*არბიტრი:* ლ. კვარაცხელია.

ზედიზედ მეორე შეხვედრაა, ფოთის "კოლხეთი" წარმატებით თამაშობს. ასევე მეორე მატჩია, მარტვილის "მერანი" მისთვის უჩვეულოდ გამოიყურება. ჯერ იყო და, "დილასთან" 2:4 წააგო, ახლა კი, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო შეხვედრა.

"კოლხეთმა" კი თავისი თამაში იპოვა, მშვენივრად ითამაშა და ერთმანეთზე ლამაზი გოლები გაიტანა. 21-ე წუთზე პავლიაშვილი-ტულუშის ლამაზი და სწრაფი კომბინაცია კოლხების კაპიტანმა და ლიდერმა **ლაშა გვალიამ** დააგვირგვინა.

მალე **მუნინი ტაპემ** მეკარესთან პირისპირ **მამუკა ტორონჯაძე** დატოვა და "მერანს" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ მარტვილელთა თავდამსხმელმა კარს ააცილა.

ეფექტური გამოდგა ფოთელთა მეორე გოლი: მარჯვენა ფლანგიდან **ლაშა ქებაძის** ჩაწოდებული ბურთი **პავლე დათუნაიშვილმა** მახვილი კუთხიდან შორეულ "ცხრიანში" გააგზავნა.

ტაიმის მიწურულს **ილია პავლიაშვილის** გადაცემა **პაატა ცხვიტარიამ** დააგვირგვინა და შესვენებამდე "კოლხეთმა" მშვენიერი უპირატესობა მოიპოვა. სტუმართა მწვრთნელები მოთამაშეთა გულგრილობამ მწყობრიდან ისე გამოიყვანა, გასახდელში არც შესულან და ერთმანეთთან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რა ეშველათ სიმწრითა და დიდი შრომით აშენებული გუნდისთვის, რომელიც ბოლო ტურებში საკუთარ თავს არ ჰგავს.

მარტვილელებმა ვითარების გამოსწორება მეორე ტაიმშიც ვერ მოახერხეს. მეტიც, მასპინძელთა შორის ერთ-ერთმა საუკეთესო **ლაშა ქებაძემ** საჯარიმოს სიახლოვიდან სტუმართა კარი მეოთხედ აიღო, გოლი კი იმდენად ეფექტური გამოდგა, მაყურებელი ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს – ბურთი "ცხრიანში" ჩაახვია.

ტორონჯაძის გადაცემით მეკარე **არდალიონ მიქაბერიძესთან** პირისპირ დარჩენილმა **ელგუჯა გრიგალაშვილმა** ანგარიში შეამცირა. სტუმრებს კიდევ შეეძლოთ გატანა: იმავე გრიგალაშვილმა ჯერ მიქაბერიძეს ვერ აჯობა, შემდეგ ბურთი ძელს მოარტყა, მერე კი მიზანს ააცილა. ბოლო წუთზე ანგარიშის შემცირება მეკარესთან ასევე მარტო დარჩენილ **გიგა ამბროლაძესაც** შეეძლო, მაგრამ მიზანმა მასაც უმტყუნა.

**მერაბ მამულაშვილი**
ფოთიდან

**პლეი ოფი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 20 | 11 | 6 | 3 | 34 | 18 | 39 |
| 2 | მეტალურგი | 20 | 11 | 3 | 6 | 29 | 23 | 36 |
| 3 | ტორპედო | 19 | 8 | 5 | 6 | 21 | 17 | 29 |
| 4 | დინამო | 20 | 7 | 8 | 5 | 33 | 26 | 29 |
| 5 | დილა | 20 | 6 | 6 | 8 | 24 | 23 | 24 |
| 6 | კოლხეთი | 20 | 5 | 8 | 7 | 16 | 23 | 23 |
| 7 | ბაია | 20 | 5 | 6 | 9 | 17 | 26 | 21 |
| 8 | მერანი | 19 | 4 | 2 | 13 | 18 | 36 | 14 |

**10 აპრილი, სამშაბათი**

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/2 ფინალი
პირველი მატჩები

**გამოტოვებული მატჩი**

ტორპედო-მერანი

**მომდევნო ტური**

**14 აპრილი, შაბათი**

მეტალურგი-კოლხეთი
ბაია-დინამო
დილა-ტორპედო
მერანი-ზესტაფონი



კოლხეთის წარმატებული სერია გრძელდება
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## პლეი აუტი



მარცხნიდან: გიგა კვერენჩხილაძე და ლაშა ჯანგიძე

# გურულ დერბიში მეგობრობა არ იციან

### მეგობრობაზე ძლიერმა მოიგო!

06.04. ოზურგეთი. მეგობრობა.
3 000 მაყურებელი

მერცხალი **0**

გურია **2**

0:1 ჯანგიძე (22. ტ. კუკულაძის პასით), 0:2 კვერენჩხილაძე (44. ტ. კუკულაძის პასით)

| მერცხალი 4-4-2 | გურია 4-2-3-1 |
|---|---|
| გოგუა | ბუზუტეიშვილი |
| ს. ვ. ჩიგოგიძე | ჩუენსუ |
| ქობულაძე | რ. ონიანი |
| ზ. ვარდუაშვილი | ბაქრაძე |
| ზ. ტულუში | ჯანგიძე |
| ბავჭელიძე | მოსიაშვილი |
| ხურციძე | მაისაშვილი |
| თ. ვარდუაშვილი | გ. თოდუა |
| ლორია | ჩარგეიშვილი |
| ს. გ. ჩიგოგიძე | ტ. კუკულაძე |
| ტყეშელაშვილი | კვერენჩხილაძე |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| **ხ. ჩხატარაშვილი** | **გ. იმნაძე** |

**მერცხალი**

46. გოგუა - **ოდიშარია**
46. ქობულაძე - **ტაკიძე**
46. ტყეშელაშვილი - **ათუაშვილი**

*სათადარიგოები:* ვაშაკიძე, კალანდაძე, ჩხატარაშვილი

**გურია**

72. კვერენჩხილაძე – **ალავერდაშვილი**
79. თოდუა - **რ. კუკულაძე**
85. ტ. კუკულაძე - **შენირული**

*სათადარიგოები:* გოგუაძე, ჩხეტიანი, ლალაძე, კილაძე

*გაფრთხილება:* ტაკიძე (64), ალავერდაშვილი (82)

*არბიტრი:* მ. ბეუქლიშვილი

წლევანდელი სეზონის პირველ დერბის გურული კლუბები სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ - „გურია" მოწინავე ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის, „მერცხალს" კი იგივე შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს. თუმცა გურული დერბები მუდამ გამოირჩევა დაუნდობლობით და ამის დასტურად მხოლოდ იმ ფრაზის გახსენებაც კმარა, რასაც ათწლეულების მანძილზე ეს კლუბები „მთავარ მიზნად" ისახავდნენ: ლანჩხუთში გეგმავდნენ, ბოლოსწინა ადგილზე გავიდეთ და გავვარდეთ, ოღონდ „მერცხალი" გავიდეს ბოლოზეო და ოზურგეთში პირიქით ფიქრობდნენ.

მართალია, „გურიას" თანაკუთხელზე ბევრად უკეთესი მაჩვენებელი აქვს, მათ შორის დერბებშიც (მას ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ეროვნულ პირველობებზე გამართული 17 დერბიდან კი 10 „გურიამ" მოიგო და მხოლოდ 2 „მერცხალმა", ამ უკანასკნელს 10 წელია არ მოუგია) და მეტოქეს ისიც არ ინდობს, მაგრამ ერთხელ ოზურგეთელებმა „გურიას" ყველაზე მნიშვნელოვანი დერბი მოუგეს, რითაც ლანჩხუთელებს, ფაქტობრივად, ჩემპიონობა დააკარგვინეს.

ყოველივეს გათვალისწინებით, არავინ მოელოდა, რომ ლანჩხუთელებს რეგიონის მთავარ ქალაქში იოლი გასეირნება ელოდა. თუმცა სტუმრებს მოგება ნამდვილად არ გასჭირვებიათ. არა იმიტომ, რომ თანაკუთხელებმა რაიმე დაუთმეს - უბრალოდ, „გურიამ" მასპინძელი პირწმინდად დაჩაგრა.

მატჩი ლანჩხუთელთა უპირატესობით დაიწყო. აშკარა იყო, **გიგლა იმნაძე** სწრაფ გოლზე აკეთებდა აქცენტს. გაუმართლა კიდეც. მართალია, საწყის წუთებში მასპინძელთა გამოცდილმა მეკარემ რამდენიმე მომენტი გააუვნებელყო, მაგრამ ტაიმის შუაში **გია გოგუამ** ვერაფერი გაახერხა **ტარიელ კუკულაძის** მიერ კუთხურიდან შორეულ ძელთან მოწოდებულ ბურთს, სადაც კუთხე კარგად ჩაკეტა **ლაშა ჯანგიძემ** და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა, 1:0. სხვათა შორის, ეს გურულთა მცველის მეორე გოლია პლეი აუტში.

ნაადრევმა გოლმა მატჩს დაძაბულობა მოუხსნა, რითაც ტრადიციულად ხასიათდება გურული კლუბების პაექრობა. თუმცა ამაში წვლილი **მალხაზ ბეუქლიშვილსაც** მიუძღვის - მისმა ბრიგადამ, ფაქტობრივად, უშეცდომოდ იმსაჯა, რითაც გუნდებსა და სტადიონზე მოსულ ორივე გუნდის მრავალრიცხოვან ქომაგს ვითარების დაძაბვის საბაბი არ მისცა.

გაშვებული გოლის შემდეგ „მერცხალს" ტაიმში ერთადერთხელ მიეცა შანსი, როცა გამოსვლაზე მეკარემ ბურთის მოგერიება ვერ შეძლო, მაგრამ **გიორგი ტყეშელაშვილმა** მიზანს ააცილა.

შემდეგ ისევ „გურიის" ჯერი დადგა. გუნდის ლიდერმა **გიგა კვერენჩხილაძემ** თანაგუნდელებთან კარგი კომბინაცია კი გაითამაშა, მაგრამ ბოლო მომენტში შანსი ვერ გამოიყენა.

თუმცა ტაიმის მიწურულს კლუბისა და პლეი აუტის ბომბარდირმა გატანა მაინც მოახერხა - ტარიელ კუკულაძემ ისევ მარცხენა ფრთიდან მოაწოდა კუთხური, გიგამ დასწრებაზე კარგად ითამაშა და თანაგუნდელებს ორბურთიანი ფორა მისცა.

„გურიის" კაპიტანი გურული დერბების საუკეთესო ბომბარდირი გახდა - მას 8 გოლი დაუგროვდა და გადაუსწრო **დავით უგრელიძეს**, ვისაც დერბებში 7 გოლი აქვს გატანილი, აქედან 4 ყველაზე უხვგოლიან დერბში (8:2) გაიტანა.

მეორე ნახევარში **ხარიტონ ჩხატარაშვილმა** ერთდროულად სამი ცვლილება გამოიყენა, თუმცა აშკარა იყო, „მერცხალი" მატჩის შემომბრუნებელი არ იყო. მით უფრო, მასპინძლებს ტრავმირებული ჰყავთ **გია მეგრელაძე**.

ეს იყო და ეს. ოზურგეთში ზედიზედ მეხუთედ მოგებული დერბით „გურიამ" უმაღლესი ლიგისკენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. საინტერესო ფაქტია, რომ 11 ქულიდან ლანჩხუთელებმა 10 გასვლაზე (!!!) აიღეს.

**მათე გურული**
ოზურგეთიდან
ავტორის ფოტო

# ლიდერის ქუდი ჩიხურა იხურავს

06.04. თბილისი. ბენდელა.
400 მაყურებელი

სპარტაკი **2**

ჩიხურა **3**

0:1 ნ.კვასხვაძე(22.დეკანოიძის პასით), 1:1 შარაშენიძე (53. ნ.მაისურაძის პასით), 2:1 მელქაძე(72.თუხარელის პასით), 2:2 ლილუაშვილი (81, იაშვილის პასით), 2:3 ბერიანიძე(90, იაშვილის პასით)

| სპარტაკი 4-4-2 | ჩიხურა 4-2-3-1 |
|---|---|
| ნადირაძე | რ. თევდორაძე |
| ჭაფოძე | მურველაშვილი |
| ლომაია | ჭელიძე |
| მაჭავარიანი | ბერიანიძე |
| ორბელაძე | სალარიძე |
| შარაშენიძე | ზაბახიძე |
| ჩივაძე | ძამსაშვილი |
| სამხარაძე | კირკიტაძე |
| ნ.მაისურაძე | ფიფია |
| გაბაშვილი | ნ.კვასხვაძე |
| მელქაძე | დეკანოიძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი:** |
| **ვ.ხაჩიძე** | **ს.ფრუიძე** |

**სპარტაკი**

55.გაბაშვილი - **თუხარელი**
79. სამხარაძე – **გიორგი გურეშიძე**

*სათადარიგოები:* ძაგანია, თ. შონია, ტეტუნაშვილი, მერეჩკო, ბურძენაძე

**ჩიხურა**

55. ნ.კვასხვაძე - **ლილუაშვილი**
68. დეკანოიძე - **იაშვილი**
78. ძამსაშვილი – **ლ. ნოზაძე**

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, ჩიკვაიძე, ბაკურაძე, მუმლაძე

*გაფრთხილება:* მაჭავარიანი (32), ფიფია (37), ორბელაძე (62)

*არბიტრი:* დ.ხარიტონაშვილი

ერთადერთი, რაც ამ თამაშს აკლდა, გულშემატკივართა სიმცირე იყო. ხუთი გოლი, დრამატიზმი, საინტერესო ეპიზოდები და ცალკეული ფეხბურთელების გამონათებები – აფსუსია, ხალხი რომ არ დადის ასეთ მატჩებზე.

"ჩიხურამ" დამსახურებულად გაიმარჯვა, რადგან უფრო ფეხბურთი ითამაშა, ვიდრე მეტოქემ. ნამატჩევს ცხინვალის "სპარტაკის" დამრიგებელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** დაიჩივლა, სამუასეზონო მოსამზადებელი პერიოდი ჩაგვივარდა, თბილისსა და ურეკში დიდთოვლობის გამო ხეირიანად ვერ მოვემზადეთო. რა თქმა უნდა, ეს ობიექტური მიზეზია, თუმცა "ჩიხურას" სამქულიან თამაშს ვერ დააკნინებს.

სტუმრები თავიდანვე უფრო მონდომებულები ჩანდნენ და პირველივე წუთზე მიიტანეს მეტოქეზე მწვავე იერიში – **დავით კირკიტაძემ გიორგი ნადირაძის** ხელებს შეაწყვიტა ბურთი. ამის შემდეგ **გოგი ფიფია** გამოირჩა ჩვეული დრიბლინგით, ძლიერადაც დაარტყა და კვლავ მასპინძელთა მეკარემ იმარჯვა.

**სოსო ფრუიძის** გუნდს მე-12 წუთზე მართებდა დაწინაურება – **ნიკა კვასხვაძემ** კარისკენ დაარტყა და ბურთი ხელზე მოხვდა **ლევან მელქაძეს**, პენალტი კი ფიფიამ ვერ გამოიყენა, ბურთი განზე წავიდა.

"ჩიხურა" უფრო კარგად და სწრაფად აგორებდა ბურთს მოედნის ცენტრში და პირველ რიგში ამის ხარჯზე დაეუფლა უპირატესობას, თუმცა კინაღამ აქეთ გაუშვა გოლი – **ირაკლი სამხარაძის** დარტყმას "რიკოშეტი" მოჰყვა და ბურთი ძელმა აისხლიტა. სამხარაძეს ერთხელაც მიეცა შანსი, როცა **გიორგი ჩივაძის** ჩინებული პასით აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ "ჩიხურას" მეკარეს ვერ აჯობა.

>> მე-4 გვერდზე

## ქართული ფეხბურთი

« მე-3 გვერდიდან

საჩხერელები სწრაფი კონტრშეტევის შედეგად დაწინაურდნენ – **ბესიკ დეკანოიძემ** კარგად მიიღო და დაამუშავა ბურთი, მარცხენა ფლანგზე გაუჭრა პასი ფეხმალ ნიკა კვასხვაძეს, რომლის დარტყმაც "სპარტაკის" მეკარემ ვერ მოიგერია.

ფიფიას შორეული გასროლა ხარიხას მოხვდა, **ლევან ჭაფოძის** დარტყმა **რევაზ თევდორაძემ** მოიგერია, მელქაძის პასი **სერგო ორბელაძემ** ვერ შეიშნო – სახიფათო მომენტების სიმცირეს შეხვედრა ნამდვილად არ უჩიოდა.

მეორე ტაიმის დასაწყისი სტუმართა აქტიური თამაშითა და შორეული დარტყმებით წარიმართა, მაგრამ ბურთი "სპარტაკმა" გაიტანა – **თემურ შარაშენიძე** მარჯვენიდან შეიჭრა "ჩიხურას" საჯარიმოში და ძლიერი დარტყმით შანსი არ დაუტოვა თევდორაძეს.

ამის შემდეგ "სპარტაკი" დაეუფლა მნიშვნელოვან უპირატესობას, ემოციური მუხტი მასპინძელთა მოკავშირე გახდა.

"ჩიხურას" მალევე შეეძლო ხელმეორედ გასულიყო წინ, თუმცა საჯარიმოში შეჭრილ კირკიტაძეს სიზუსტე დააკლდა.

"სპარტაკი" ზეწოლას აძლიერებდა და ამ დროს მოედანზე მაწანწალა ძაღლი გამოჩნდა. ოთხფეხამ უცბად არ ინება ფეხბურთელთა სარბიელის დატოვება, წუთზე მეტი მოუწია მოედანზე ყოფნამ. ძაღლის ცელქობამ "ჩიხურას" საშუალება მისცა, ამოესუნთქა, თუმცა "სპარტაკის" ჟინი ვერ გაანელა. **თორნიკე თუხარელმა** მარჯვენიდან ჩააწოდა, **ჯაბა ბერიანიძემ** ბურთი ვერ მოიგერია და მელქაძემ ახლო მანძილიდან გაიტანა – 2:1.

აქედან ცოტა ხანში თუხარელს უკვე თვითონ შეეძლო ბურთის ბადეში გახვევა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

"ჩიხურას" შეცვლებმა გაუმართლეს. **სანდრო იაშვილმა** მაღალი ბურთი მკერდით ჩამოიღო, ოსტატურად გადააწოდა **ირაკლი ლილუაშვილს**, ვინაც თვრამეტიოდე მეტრიდან დაბალ კუთხეში გაიტანა.

მატჩის ბოლო მონაკვეთი უკვე "ჩიხურასი" იყო. ნაკუთხურალ ბურთს იაშვილი შესწვდა, შემდეგ ბერიანიძემ დაუხვედრა თავი და 2:3.

"ჩიხურა" ქვედა რვიანში ისევ ლიდერია – ასეთი თამაშით ეს პოზიცია ფრუიძის გუნდისთვის ალალია.

**დავით თავართქილაძე**

06.04. მცხეთა. მცხეთა პარკი.
300 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია **3**
ბათუმი **1**

0:1 ბერიძე (37), 1:1 ჩიმაკაძე (49), 2:1 კასრაძე (57), 3:1 კორიფაძე (70)

### პლეი აუტი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 6 | 4 | 1 | 1 | 10 | 6 | 13 |
| 2 | ვიტჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7 | 3 | 13 |
| 3 | გურია | 6 | 3 | 2 | 1 | 12 | 9 | 11 |
| 4 | სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 9 | 8 | 8 |
| 5 | სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 8 | 8 | 8 |
| 6 | გაგრა | 6 | 1 | 3 | 2 | 6 | 6 | 6 |
| 7 | ბათუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 9 | 5 |
| 8 | მერცხალი | 6 | 0 | 1 | 5 | 1 | 8 | 1 |

**მომდევნო ტური**
**14 აპრილი, შაბათი**
სიონი-მერცხალი
ჩიხურა-გაგრა
ბათუმი-სპარტაკი
გურია-ვიტ ჯორჯია

### პლეი აუტი

# ჩიკვილაძის სტანდარტ-გოლი

06.04. თბილისი. მერანი.
300 მაყურებელი

გაგრა **1**
სიონი **2**

0:1 დ.ბოლქვაძე (14.პენალტით), 1:1 კვანტალიანი (50),1:2 ჩიკვილაძე (74)

| გაგრა | სიონი |
|---|---|
| (4-4-2) | (4-4-2) |
| ბეგაშვილი | გოგლიაშვილი |
| ფალავანდიშვილი | კოგაური |
| ტყეშელაშვილი | სვანიძე |
| ჯგერენაია | ქემოკლიძე |
| ნ.ჯიშკარიანი | ჩიკვილაძე |
| ხუციძე | ვ.ნემსაძე |
| ზვიადაძე | დ.ბოლქვაძე |
| ყურულაშვილი | კაციტაძე |
| კობერიძე | ჭანკოტაძე |
| ჭკუასელი | რეხვიაშვილი |
| ჯერემია | მეტრეველი |
| მწვრთნელი: ზ.ჯელაძე | მწვრთნელი: ხ.ქასრაშვილი |

**გაგრა**
20.ზვიადაძე-**კვანტალიანი**
41.ყურულაშვილი-**ლ. სეთურიძე**
56.კობერიძე-**სარდალიშვილი**
*სათადარიგოები:* მაღრაძე, ნარმანია, თ.ჯიშკარიანი, როსტიაშვილი

**სიონი**
43.ჭანკოტაძე-**ლ.ჩხეტიანი**
55.ვ.ნემსაძე-**გ.ოქროპირიძე**
58.რეხვიაშვილი-**ქუცურუა**
*სათადარიგოები:* ზუხბაია, ხიდეშელი, ხურციძე, ავსაჯანიშვილი
*გაფრთხილება:* ჯგერენაია (13), ჭანკოტაძე (35), ლ.ჩხეტიანი (45), რეხვიაშვილი (60),ქუცურუა (62), ჭკუასელი (73), კვანტალიანი (82)
*არბიტრი:* ი.ურუშაძე

წინა ტურში არასასურველი ფრის შემდეგ, "გაგრამ" შინ კიდევ ერთი წარუმატებელი მატჩი ჩაატარა და უშუალო კონკურენტთან დამარცხდა. თავიდანვე ჩანდა, რომ ბოლნისელები უფრო მოტივირებულები იყვნენ, ვიდრე მასპინძლები. ისინი მატჩის დებიუტშივე გააქტიურდნენ. განსაკუთრებით სტუმართა მარცხენა ფრთა გამოირჩეოდა, სადაც ნაყოფიერად ირჯებოდა **გიორგი ჭანკოტაძე.** ამ უკანასკნელს პირველივე წუთებზე შეეძლო გატანა, თუმცა მახვილი კუთხიდან დარტყმა ზუსტი არ გამოუვიდა.სტუმრებს მონდომება მალევე დაუფასდათ: გამოცდილი **დავით ბოლქვაძის** წაქცევისათვის არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, პენალტი კი თავად დაზარალებულმა შეასრულა უნაკლოდ და დააწინაურა თავისიანები. თითქოს, გაშვებული ბურთის შემდეგ მატჩის სადავეები გაგრელებს უნდა აელოთ ხელში, ამაზე მიუთითებს ის ცვლილებები, რომელიც **ზვიად ჯელაძემ** განახორციელა. მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში ღირებული მათ ვერაფერი შემოგვთავაზეს, თუ არ ჩავთვლით შეცვლაზე შემოსული **კვანტალიანის** თავურს, რომელიც ზევიდან გადაცდა კარს. სამაგიეროდ ქვემოქართლელები ცდილობდნენ უპირატესობის გამყარებას. აღსანიშნავია ბოლქვაძის შორეული დარტყმები. ერთ ეპიზოდში მას მეკარემ აჯობა, ხოლო მოგვიანებით კი დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. შესვენების შემდეგ გუნდებმა მომენტები გაცვალეს: იმავე ბოლქვაძის სახიფათოდ შესრულებულ საჯარიმოს, **ნიკოლოზ ჯიშკარიანის** უხერხული დარტყმა მოჰყვა, თუმცა მეკარეები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მე-60 წუთზე მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს: "გაგრას" კაპიტნამა **გიორგი ტყეშელაშვილმა** ჯარიმა სახიფათოდ შეასრულა, ბურთი ძელმა აისხლიტა, მცველების დაბნეულობით კი კარგად ისარგებლა შალვა კვანტალიანმა.

თამაში დაიძაბა, გაგრელები უტევდნენ, მაგრამ ბოლნისელებს ვერაფერი მოუხერხეს. "სიონი" მწვავე კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას: 65-ე წუთზე მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელის დავით ბოლქვაძის გამჭოლ გადაცემას, **გიორგი ქუცურუა** გამოეხმაურა, რომლის დარტყმული ჩინებულ ნახტომში **გიორგი ბეგაშვილმა** მოიგერია, დამატებაზე კი **ლევან ჩხეტიანმა** ახლო მანძილიდან ბურთი სასწაულებრივ ააცილა მოწინააღმდეგის კარს. წერტილი მატჩს 74-ე წუთზე დაესვა, როდესაც "სიონმა" საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღო: დაახლოებით 25 მეტრიდან **თენგიზ ჩიკვილაძემ** აუღებელი გაისროლა და მართლაც შთამბეჭდავი გოლი გაიტანა.

**მატჩის შემდეგ**

**თენგიზ სიჭინავა (გაგრა):** „მარცხმა ძალიან გაგვირთულა საქმე,პირველი ტაიმი ფაქტობრივად ჩაგვივარდა, მეორეში ვეცადეთ მდგომარეობის გამოსწორებას, თუმცა ბოლომდე ეს ვერ მოვახერხეთ. რაც შეეხება მსაჯობას, ვფიქრობ რომ პენალტის ეპიზოდში არბიტრი შეცდა. დანამდვილებით ამის თქმა ფირის ნახვის შემდეგ შეგვეძლება."

**ჯონი ჯაგიდისი (სიონი):** "გახარებული ვართ, როგორც იქნა, გავიმარჯვეთ. იმედია, ბიჭები ამის შემდეგ მაინც ირწმუნებენ საკუთარ ძალებს და წარმატებებსაც მივაღწევთ. დღევანდელი თამაშის ხარისხითა და ანგარიშით რასაკვირველია, კმაყოფილები ვართ. წინასწარ არ მინდა ვთქვა, მაგრამ მომავალ ტურში "მერცხალის" დამარცხება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**ბესიკ გვაზავა**

U 19

# დიდები და პატარები

კორლალიძის 19-წლამდელთა ნაკრები ელიტ რაუნდის შეხვედრებისთვის ემზადება. ამჟამად გუნდი სასტუმრო "ბომონდ გარდენშია" დაბინავებული და ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე' ვარჯიშობს.

გუნდი 10 აპრილს პორტუგალიაში გაემგზავრება, სადაც პორტუს საერთაშორისო ტურნირზე საფრანგეთის, ირლანდიისა და სერბეთს ნაკრებებს შეხვდება.

მანამდე კი 19-წლამდელთა ნაკრები საკონტროლო შეხვედრას გეგმავს. მთავარი მწვრთნელის, **ოთარ კორლალიძის** თქმით, მისი გუნდი **კახი კაჭარავას** 19-წლამდელთა ნაკრებს შეხვდება - კაჭარავა კორლალიძე შემდგომი თაობის, ანუ ერთი წლით უმცროს 19-წლამდელებს წვრთნის. შეხვედრა ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" დღეს 17:00 საათზე დაიწყება. გუშინ ვწერდით, რომ კორლალიძემ შეკრებაზე "გაგრას" ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი გამოიძახა: **გიორგი ჯგერენაია, ნიკა ჭკუასელი და ნოდარ კიკნაველიძე.** იმ დროისთვის გადაწყვეტილი არ იყო, ისინი 10 აპრილს სათასო შეხვედრას ჩაატარებდნენ თუ ნაკრებს პორტუგალიაში გაჰყვებოდნენ. კორლალიძის თქმით, საბოლოოდ გადაწყდა, რომ ეს სამეული "გაგრას" დაეხმარება და გუნდს პორტუგალიაში ერთი დღის დაგვიანებით, 11 აპრილს შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელები პორტუში პირველ შეხვედრას 12 აპრილს საფრანგეთთან ითამაშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000

**დავით თავართქილაძე**

# გახსოვთ რინუს მიხელსი?

ერთმა ქართველმა მწვრთნელა მათხოვა **რინუს მიხელსის** წიგნი "გუნდის შენება". ეს სახელმძღვანელო პირველ რიგში მწვრთნელისთვისაა განკუთვნილი და არ წარმოადგენს ავტობიოგრაფიას. მწვრთნელობა ჩემი პროფესია არ არის და ბევრ რამეს ვინძლო ვერც ჩავუღრმავდი ამ წიგნში, თუმცა იმაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ფეხბურთიცა და საფეხბურთო გუნდის მწვრთნელობაც გვარიანად რთული საქმეა.

მიხელსის წიგნი ქართულად არ არის ნათარგმნი და მასზე ხელი ალბათ ბევრ ჩვენებურ მწვრთნელს არ მიუწვდება, თუმცა მხოლოდ წიგნების კითხვაც ვერ არის საკმარისი. მწვრთნელი მოწოდებით უნდა იყო და ვფიქრობ, "დინამო თბილისის" დამრიგებელიც მასეთია.

**გიორგი დევდარიანის** გუნდმა გუშინ ზედიზედ მეექვსე ფრე ითამაშა ჩემპიონატში – ასეთია სტატისტიკა, რომელიც ხანდახან ოდენ დამხმარე საშუალებაა, ხანდახან კი ყველაფერზე მეტყველებს.

"დინამოში" რომ ყველაფერი რიგზე არ არის, მხოლოდ დევდარიანის და მისი წინამორბედის ბრალი არ უნდა იყოს. სტატისტიკაზე კი, გინდა არ გინდა, პირველ რიგში მწვრთნელია პასუხისმგებელი. დავუშვათ, "დინამოში" კიდევ ერთხელ შეიცვალა მწვრთნელი – როგორ ფიქრობთ, ამით საქმეს ეშველება?

მწვრთნელის შეცვლა სეზონის ბოლოს – როცა კლუბის ხელმძღვანელობა ამაზე დაფიქრდება, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უკვე დაშვებული აქვს მძიმე შეცდომები. ასეთი იალლიშები კი უცბად ვერ გამოსწორდება.

ჰოდა, მეც მგონია, რომ მიხელსის წიგნი მხოლოდ მწვრთნელებმა არ უნდა წაიკითხონ, წიგნი იმ ხალხმაც უნდა გადაშალოს, ფეხბურთში შემთხვევის და მომენტის წყალობით რომ მოგვევლინებიან და ჰგონიათ, ადვილად გაუძლვებიან საქმეს.

"დინამოს" უწინდელი მმართველი დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** გახლდათ, დიპლომატი, ნასწავლი და განათლებული კაცი. მაშინ ყველამ არ იცოდა, თუ რა იყო ჩადებული პოლოლიკაშვილის ასეთნაირად დაწინაურებაში, კულუარებში მერელა გაჩნდა ინფორმაცია იმაზე, რომ პოლოლიკაშვილს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ამზადებდნენ და "დინამო" მისთვის აუცილებელი ეტაპი იყო. რა გაენწყობა, საქართველო დღეს ასეთი ქვეყანაა, ყველაფერი, რაც მაღალ დონეზე კეთდება, რალაცას უნდა დაუკავშირონ, მიხელსი და მისი წიგნი კი არავის არ სჭირდება, რეფორმატორებმა ყველაფერი ისედაც კარგად იციან და ეს "დინამოც" ამ ყველაფრის პროდუქტია.

■ ■ ■

საქართველოს ჩემპიონატში დაიწყო მწვრთნელობა **გია გურულმა.** ის ჰუყაითი კაცი ჩანს. საფრანგეთში სამწვრთნელო საქმეს რომ ვსწავლობდი., დილის შვიდ საათზე მეწყებოდა დღის გრაფიკიო – ასე თქვა ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში და ისიც დააყოლა, სიყრმიდან მიყვარდა სირთულეებთან ბრძოლაო.

გურულმა სეზონის ბოლოს ჩაიბარა "ბათუმი" და ბევრის გამოსწორებას ვერ შეძლებს. მას ევროპაში უთამაშია ფეხბურთი, საქართველოს ნაკრებში **ალენ ჟირესის** თანაშემწე იყო – გემოვნების ჩამოსაყალიბებლად საკმაოდ კარგი ბიოგრაფია აქვს.

გურულის აქტივშია ისეთი კონტაქტებიც, საქართველოში კარგი აფრიკელი ფეხბურთელების ჩამოყვანა რომ შეუძლია. გურული ქართულ ფეხბურთში "ბათუმის" მწვრთნელობამდეც იყო ფიგურა – ზურგს ავტორიტეტი და რეპუტაციაც უმაგრებს.

ახლა ჯერი იმაზეა, რა საშუალებები ექნება გურულის დამსაქმებელ კლუბს. ბათუმში ფეხბურთის აღორძინება, რა ხანია, აქტუალურია, თუმცა ჯერ ჭაჭის შადრევანის ჯერია, მერე კი ვნახოთ....

■ ■ ■

გუშინ **სანდრო იაშვილის** თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა "ჩიხურას" გამარჯვება. რალაცნაირი, თითქოს სევდიანი ამბავია, რადგან იაშვილი ნიჭიერია და გაცილებით დიდ სარბიელზე უნდა შემოეტრიალებინა თამაშები. ასეთი ფეხბურთელი მართლაც ძვირი სანახავია, კარგი ცენტრფორვარდი "დინამოსაც" უჭირს. იაშვილი მალე ალბათ გოლების გატანასაც დაიწყებს და ჩვენს ჩემპიონატსაც უფრო გააფერადებს.

სევდა კი დარჩა და ესეც ფეხბურთის ნაწილია. მხოლოდ იაშვილს შეუძლია ასე მაღლა აიწიოს ჰაერში და ბურთი თავით თუ მკერდით მოათვინიეროს, მას სხვა კარგი ფორვარდული თვისებებიც აქვს და ის ისევ მოედანზეა, მისი გამოჩენით ალბათ ქომაგიც მოიმატებს "ჩიხურას" თამაშებზე...

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა



საფრანგეთი. ლიგა 1. XXXI ტურის წინ



ჟორდან აიუ (№ 23) მამადუ სახოს წინააღმდეგ. კვირას საღამოს მთელი საფეხბურთო საფრანგეთი ამ ბიჭების ფეხბურთს მიადევნებს თვალს

# ფრანგული დერბი პარკ დე პრენსზე

| დღეს | |
|---|---|
| აიაჩო-სტ. ეტიენი | 21:00 |
| ბრესტი-ლილი | 21:00 |
| დიჟონი-ნანსი | 21:00 |
| ევიანი-რენი | 21:00 |
| მონპელიე-სოშო | 21:00 |
| ვალანსიენი-ტულუზი | 21:00 |
| ლიონი-ოსერი | 23:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| კანი-ბორდო | 19:00 |
| ნიცა-ლორიანი | 19:00 |
| პსჟ-მარსელი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 29 | 18 | 6 | 5 | 53-27 | 60 |
| 2. პსჟ | 30 | 17 | 9 | 4 | 54-32 | 60 |
| 3. ლილი | 30 | 15 | 11 | 4 | 55-32 | 56 |
| 4. ლიონი | 30 | 15 | 5 | 10 | 47-37 | 50 |
| 5. ტულუზი | 30 | 14 | 8 | 8 | 32-26 | 50 |
| 6. სტ. ეტიენი | 30 | 13 | 7 | 10 | 37-34 | 46 |
| 7. რენი | 30 | 12 | 9 | 9 | 38-34 | 45 |
| 8. ბორდო | 30 | 10 | 12 | 8 | 36-33 | 42 |
| 9. მარსელი | 29 | 10 | 10 | 9 | 36-30 | 40 |
| 10. ევიანი | 30 | 10 | 9 | 11 | 42-43 | 39 |
| 11. ნანსი | 30 | 9 | 9 | 12 | 29-37 | 36 |
| 12. ვალანსიენი | 30 | 9 | 7 | 14 | 29-36 | 34 |
| 13. დიჟონი | 30 | 9 | 7 | 14 | 37-49 | 34 |
| 14. ლორიანი | 30 | 7 | 11 | 12 | 28-38 | 32 |
| 15. აიაჩო | 30 | 7 | 11 | 12 | 31-49 | 32 |
| 16. ნიცა | 30 | 7 | 10 | 13 | 30-36 | 31 |
| 17. ბრესტი | 30 | 5 | 15 | 10 | 24-29 | 30 |
| 18. კანი | 30 | 7 | 9 | 14 | 32-44 | 30 |
| 19. სოშო | 30 | 7 | 9 | 14 | 31-46 | 30 |
| 20. ოსერი | 30 | 5 | 12 | 13 | 35-44 | 27 |

რომელიმე კლუბზე რომ ვთქვათ, ჩემპიონატის ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას კარგ განწყობაზე ხვდება-თქო, მართალი არ ვიქნებით. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა მასპინძელთა ბანაკში, რადგან პროვანსელებს ბოლო 9 შეხვედრაში 1 ფრე და 8 წაგება აქვთ. ამის მიუხედავად კლუბის პრეზიდენტი **ვენსან ლაბრუნი** მწვრთნელის თანამდებობიდან გათავისუფლებას არ აპირებს. *"მე ძალიან მინდა, რომ დიდიემ მომდევნო სეზონშიც განაგრძოს გუნდთან ერთად მუშაობა. მესმის, რომ ჩემპიონატში ასეთი ხანგრძლივი წარუმატებელი სერიით ყველანი დაღლილები ვართ და საშინლად გაგვიცრუა იმედი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამაც, მაგრამ მოვუწოდებ გულშემატკივარს, გაიხსენოს შარშანდელი და იმის წინა სეზონი. მსგავსი მძიმე პერიოდები ადრეც გადაგვიტანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელი ჩავიქნიოთ. იმედი მაქვს, დიდიეს დავარწმუნებ, რომ ეს ნაბიჯი არც ახლა გადადგას. წარუმატებელი სეზონი? ნუ დავივიწყებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში გავედით. უკანასკნელად ამ ეტაპზე ჩვენ 20 წლის წინ გვქონდა ნათამაშები. წარმოიდგინეთ, ევროპის 8 საუკეთესო გუნდში მოვხვდით და ისეთ გრანდთან დავმარცხდით, როგორიც "ბაიერნია". ამას გარდა საფრანგეთის ლიგის თასის ფინალშიც ვართ. ასე რომ, გვეყოფა საშინელ სეზონზე ლაპარაკი".* მიუხედავად ლაბრუნის ოპტიმიზმისა, მიუხედავად მისი მჭევრმეტყველებისა, მისი გუნდის მდგომარეობა იმაზე მძიმეა, ვიდრე ეს ზედაპირზე ჩანს. გარდა სათამაშო კრიზისისა, მას ფინანსურიც თან ერთვის. ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ განწყობაზე კი ერთიც უარყოფითად მოქმედებს და მეორეც. ამჟამად **დიდიე დეშამის** უმთავრესი პრობლემა მაინც ტრავმირებული **ლოიკ რემის** არყოფნაა. მან ტრავმა "ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მიიღო და რამდენი ხანი ვერ ითამაშებს, ჯერ არავინ იცის.

"მარსელი" საინტერესო მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ პირველადგილოსანს 20 ქულით ჩამორჩება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოქროს მედლების ბედი რალაც წილად მის ხელშია. პროვანსელებს ჩემპიონობის ორივე პრეტენდენტთან დარჩათ სათამაშო. "მარსელისა" და პსჟ-ის ურთიერთობა იმდენად ვრცელი თემაა, რომ ახლა ამაზე წერა შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოკლედ გეტყვით, რომ არ არსებობს დედამიწაზე ორი კლუბი, ვის გულშემატკივრებსაც ერთმანეთი ასე ძალიან ეჯავრებათ. წელიწადში ორჯერ მათი დაპირისპირების დროს აღნიშნულ ქალაქებში ცხოვრება "ჩერდება" და როგორც ამბობენ, პოლიციელებსა და ექიმებსაც კი ცალი თვალი ტელევიზორისკენ აქვთ გაპარებული. თუკი "მარსელი" პსჟ-ს თავს შეაკლავს, ქულას მაინც აართმევს და მერე ორიოდე დღეში (11 აპრილს) "მონპელიეს" ასე გასავათებული დაუპირისპირდება... მოკლედ, ასეთ შემთხვევაში "მარსელს" ხელს არ დაადებენ და უპატიოსნო საქციელში ბრალს არ დასდებენ. ჩვენი მხრივ არ ვამტკიცებთ, რომ ასე მოხდება, მაგრამ მოვლენათა ამგვარ განვითარებას ნურც თქვენ გამორიცხავთ. "მარსელს" ყველაზე ძვირი ფასის გადახდაც კი შეუძლია, ოღონდ მოსისხლე მტრის საჩემპიონო ზეიმი არ იხილოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## კოულისა და ტერის გარეშე

"ჩელსის" კაპიტან **ჯონ ტერის** ტრავმაზე გუშინდელ ნომერში ვწერდით. ფეხბურთელს 2 ნეკნი აქვს გატეხილი და დიდი ალბათობაა, რომ ის სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს, თუმცა არც საწინააღმდეგოს გამორიცხავს ვინმე. გადაწყვეტილია, რომ "უიგანთან" შეხვედრას მასთან ერთად ტრიბუნაზე **ეშლი კოულიც**. "ჩელსის" შეიძლება კიდევ ერთი ვეტერანი ფრენკ ლემპარდიც ვერ დაეხმაროს.

## სიგურდსონი უკან გერმანიაში?

"სანის" ინფორმაციით, "ჰოფენჰაიმმა" "სუონსიში" სეზონის დასრულებამდე განათხოვრებული **გულფი სიგურდსონის** დაბრუნების სურვილი გამოთქვა. 22 წლის ისლანდიელი პრემიერლიგაში იმ დონეზე ათამაშდა, რომ ვეჭვობთ, გრანდებმა ის "სოფლელებს" დაუტოვონ. სიგურდსონის სამსახურით უკვე დაინტერესდნენ "არსენალი" და "ლივერპული". იანვრის შემდეგ ცენტრალური ნახევარმცველის ანგარიშზე 12 შეხვედრაში 6 გოლი და 4 საგოლე გადაცემაა. გარდა ამისა, ის მარტში პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

## ფრიდელი პენსიაზე არ ფიქრობს

"ტოტენჰემის" ამერიკელი მეკარე **ბრედ ფრიდელი** 1 თვეში 41 წლისა ხდება, მაგრამ მიუხედავად საპატიო ასაკისა, ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს, აცხადებს რა, რომ კონტრაქტის ამოწურვამდე აპირებს "უაით ჰართ ლეინზე" ასპარეზობას. პრინციპში ფეხბურთიდან წასასვლელი მას მართლა არაფერი სჭირს. ბრედი უბრალოდ "დაფრინავს". "ტოტენჰემში" ის ერთ-ერთი საუკეთესოა. *"როდემდე ვაპირებ თამაშს? იქამდე, ვიდრე მსოფლიოში თუნდაც ერთი მწვრთნელი გამოჩნდება, რომელსაც დავჭირდები. ისე 5 წლის წინ მართლა ვერ ვიფიქრებდი, რომ ამდენი ხანი ვითამაშებდი. ასაკის მიუხედავად როგორ ვახერხებ ფორმის შენარჩუნებას? არაფერი საიდუმლო არ არის - სწორი დიეტა, დისციპლინა და თავაუღებელი შრომა. მე დღემდე ძალიან სერიოზულად ვუდგები ჩემს საქმეს და ჯერჯერობით ფიქრადაც კი არ მომდის პენსიაზე გასვლა,"* – განუცხადა ფრიდელმა ინტერვიუში "ტაიმსს".

**ლევან ბიბილაშვილი**

შალკე

# MARCA: რაული ყატარში მიდის!

ესპანური მედიის ცნობით, **რაული** „შალკესთან" ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს და ზაფხულში ყატარში გადავა. ეს ინფორმაცია გუშინ „მარკამ" გაავრცელა – ჩვენი ესპანელი კოლეგები სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ 34 წლის თავდამსხმელს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს, მაგრამ არ ახმაურებს, რათა „შალკეს" ფანებს სეზონის ბოლომდე გული არ დასწყვიტოს. როგორც იცით, გელზენკირხენულმა კლუბმა რაულს კონტრაქტის მხოლოდ ერთი წლით გაგრძელება შესთავაზა და ხელფასსაც აკლებს, თავად ესპანელს კი მინიმუმ ორწლიანი ხელშეკრულების გაფორმება უნდა, რის გამოც მოლაპარაკებები გაიწელა და დღემდე უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას გონსალეს ბლანკო.

გერმანული პრესა წერს, რომ ყოფილმა თანაგუნდელებმა **ფაბიო კანავარომ** და **ფერნანდო იერომ** რაულს ყატარში გადასვლა არაერთხელ ურჩიეს. თვითონ ესპანელმა, „ბილბაოსთან" საპასუხო მატჩის შემდეგ თქვა, გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიმიღია, ამ ეტაპზე მთავარი ის არის, რომ „შალკემ" მესამე ადგილი დაიკავოსო...

**გოტფრიდ ლენცი**



რაული ოფიციალურად არაფერს ადასტურებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### იტალია. სერია A. XXXI ტურის წინ

**დღეს**

**მილანი-ფიორენტინა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩერჩი, მონტოლივო (ფიორენტინა).

**ტრავმა:** ვან ბომელი, ტიაგო სილვა, ინძაგი, შტრასერი, რომა, ფლამინი, პატო, ბოატენგი, ნესტა, ანტონინი, მესბა – გამბერინი, ვარგასი, კასანი, კროლდრუპი.

**ატალანტა-სიენა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბრიენცა (სიენა).

**ტრავმა:** ბრიგი, მარილუნგო, კაპელი – ანჯელო, კალაიო.

**კალიარი-ინტერი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუსიო, ჟულიო სეზარი (ინტერი).

**ტრავმა:** დესენა, რუი სამპაიო, ერიკსონი – მაიკონი, სნეიდერი, კასტაინოსი.

**ჩეზენა-ბოლონია 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** მუტუ, პუდილი (ჩეზენა).

**ტრავმა:** პაროლო, გუანა, მარტინესი, კალდერონი, პუდილი, იაკვინტა – გარიჩი, კაზარინი, ანტონსონი, კრხინი.

**კიევო-კატანია 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** დაინელი (კიევო).

**ტრავმა:** ურიბე, მორერო, აჩერბი, გულანი, მოსკარდელი – ბიაჯანტი, პოტენა.

**ლეჩე-რომა 17.00**

**ტრავმა:** ჟულიო სერჟიო, ესპოზიტო – ტოტი, ბორინი, ჟუანი, გრეკო, კასეტი, ლობონტი.

**ნოვარა-ჯენოა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბელუსკი (ჯენოა).

**ტრავმა:** ლუდი, მარიანინი, უიკანი, პაჩი, და სილვა – ანტონელი, კონსტანტი.

**უდინეზე-პარმა 17.00**

**ტრავმა:** ფერონეტი, ფლორო ფლორესი, ბასტა, ბატოკიო, ფაბრინი, ბადუ, ისლა – ფერარიო.

**პალერმო-იუვენტუსი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბერტოლო, მანტოვანი, დონატი, ერნანდესი (პალერმო).

**ტრავმა:** აგუირეგარაი, ბალცარეტი, სილვესტრი (პალერმო).

**ლაციო-ნაპოლი 23.00**

**დისკვალიფიკაცია:** ცუნიგა, გარგანო (ნაპოლი).

**ტრავმა:** ბროკი, დიასი, კლოზე, სტანკევიჩუსი, ლულიჩი – როზატი, დონადელი, მაჯო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 30 | 19 | 7 | 4 | 60-24 | 64 |
| 2. იუვენტუსი | 30 | 16 | 14 | 0 | 49-17 | 62 |
| 3. ლაციო | 30 | 15 | 6 | 9 | 44-37 | 51 |
| 4. ნაპოლი | 30 | 12 | 12 | 6 | 54-35 | 48 |
| 5. უდინეზე | 30 | 13 | 9 | 8 | 40-28 | 48 |
| 6. რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 47-37 | 47 |
| 7. ინტერი | 30 | 13 | 5 | 12 | 43-42 | 44 |
| 8. კატანია | 30 | 10 | 13 | 7 | 39-38 | 43 |
| 9. პალერმო | 30 | 11 | 6 | 13 | 44-47 | 39 |
| 10. კიევო | 30 | 10 | 9 | 11 | 27-37 | 39 |
| 11. ატალანტა | 30 | 10 | 13 | 7 | 33-31 | 37 |
| 12. კალიარი | 30 | 9 | 10 | 11 | 31-36 | 37 |
| 13. სიენა | 30 | 9 | 9 | 12 | 34-31 | 36 |
| 14. ბოლონია | 30 | 9 | 9 | 12 | 32-38 | 36 |
| 15. პარმა | 30 | 8 | 11 | 11 | 38-47 | 35 |
| 16. ჯენოა | 30 | 9 | 7 | 14 | 41-56 | 34 |
| 17. ფიორენტინა | 30 | 8 | 9 | 13 | 30-37 | 33 |
| 18. ლეჩე | 30 | 6 | 10 | 14 | 31-45 | 28 |
| 19. ნოვარა | 30 | 5 | 9 | 16 | 26-51 | 24 |
| 20. ჩეზენა | 30 | 4 | 7 | 19 | 18-47 | 19 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 22 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 19 – დი ნატალე (უდინეზე), კავანი (ნაპოლი); 17 - მილიტო (ინტერი); 16 - პალასიო (ჯენოა).



ანტონიო კასანო შეიძლება ფიორენტინასთან დაბრუნდეს

# მილანი უნდა გადმოერთოს

## იუვეს რთული მისია და მაცარის ექსპერიმენტი

XXXI ტურის აბსოლუტურად ყველა შეხვედრა დღეს გაიმართება, რომელთაგან სამი პაექრობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს: "სან სიროზე" "მილანი" "ფიორენტინას" უმასპინძლებს, სიცილიაზე "პალერმო" "იუვენტუსს" მიიღებს, ხოლო რომში „ლაციო" "ნაპოლის" დაუხვდება. ჯერ მილანში გადავინაცვლოთ და შემდეგ, მივყვეთ თანმიმდევრობით...

"მილანი" დიდ ვნებათაღელვაშია ჩაფლული, ჯერ კიდევ აქტიურად საუბრობენ ლომბარდიული გრანდის ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნასა და იმ ორ თერთმეტმეტრიანზე, რომელიც არბიტრმა "ბარსელონას" ხასარგებლოდ დანიშნა. განსაკუთრებით მეორე პენალტზე, რომელიც აშკარად არ იყო დასანიშნი. მოკლედ, მილანში ჯერ კიდევ ვერ მოინელეს კატალონიელებთან მარცხი და ასეთ დროს, "ფიორენტინასთან" უმნიშვნელოვანესი შეხვედრის ჩატარება უწევთ. ჯერ ლომბარდიელთა მთავარ მწვრთნელს, **მასიმილიანო ალეგრის** მოვუსმინოთ და შემდეგ, ტაქტიკა-შემადგენლობაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა:

*"რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ "ბარსელონასთან" პაექრობა და სერია A-ს ბატალიებზე გადავერთოთ. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან სხვა ყველა ტურნირიდან უკვე გამოვეთიშეთ. "ფიორენტინა" გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოსაა და ყველაფერს გააკეთებს, რომ მინიმუმ ერთი ქულა აიღოს. ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. ფლორენციელები კონტრშეტევებზე ააგებენ თამაშს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტოქის დაცვითი რუბიკონების გარღვევა მოგვიწევს. იმედი მაქვს, სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება და ლიდერობას შევინარჩუნებთ".*

შემადგენლობასთან დაკავშირებით ყველაზე საინტერესო **ანტონიო კასანოს** ამბავია, რომელიც უკვე გამოჯანმრთელდა და როგორც თავად აცხადებს, მზადაა ამ უქმეებზე დაუბრუნდეს დიდ ფეხბურთს – მოვუსმინოთ ანტონიოს: *"თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და თუ ალეგრი მათამაშებს, დიდი სიამოვნებით გავალ მინდორზე. კარგად მესმის, რომ ძირითად შემადგენლობაში ჯერ არავინ დამაყენებს, მაგრამ იქნებ თუნდაც რამდენიმე წუთით მომინიოს თამაშმა".*

ბუნებრივია, ამ საკითხზე ჟურნალისტები ალეგრის დაეკითხნენ და მისგან ძალიან მოკლე პასუხი მიიღეს: "ვნახოთ"... "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, კასანო განაცხადში, თუმცა სათადარიგოთა სკამზე იქნება, "მილანის" შემტევი ტანდემი კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **რობინიოსგან** დაკომპლექტდება. მათ უკან **ურბი ემანუელსონი** გაირჯება, კიდევ უფრო უკან კი **სალი მუნტარი, ალბერტო აკვილანი** და **ანტონიო ნოჩერინო** იმოქმედებენ.

"ფიორენტინას" ჯერ კიდევ **დელიო როსი** უდგას სათავეში და კიდევ რომ წააგოს, ალბათ ველარც გადაურჩება პოსტის დატოვებას. არადა, ამოცანა ურთულესი აქვს: "მილანთან" თამაში და თანაც, "სან სიროზე". "გაძეტას" ვარაუდით, როსი ფრთხილ სტრატეგიას აირჩევს და გუნდს 4-4-1-1 ტაქტიკით განალაგებს. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **სტევან იოვეტიჩი** იქნება, მის პასებით მომარაგებაზე კი მეტწილად **ადემ ლიაიჩი** იზრუნებს... ვნახოთ, რა გამოუვათ ბალკანელებს, რთული მისია რომ აკისრიათ, ეს ცხადზე უცხადესია. ამას დელიო როსიც ხვდება და ამად არის, რომ ფრთხილ კომენტარებს აკეთებს:

*"ვპირდებით გულშემატკივრებს, რომ თავს არ დავზოგავთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება. ფავორიტი, რა თქმა უნდა, "მილანია", გუნდი, რომელიც არა მარტო იტალიის, ევროპული მასშტაბით ერთ-ერთი უძლიერესია. დაცვაში ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ და თუ შანსი მოგვეცა, აუცილებლად გამოვიყენოთ. იმედი მაქვს, რომ სეზონში საუკეთესო თამაშს ჩავატარებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში "მილანთან" დადებითი შედეგის მიღწევა ფაქტობრივად წარმოუდგენელია".*

**მილანი-ფიორენტინა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ბონერა, მექსე, ანტონინი – აკვილანი, მუნტარი, ნოჩერინო – ემანუელსონი – რობინიო, იბრაჰოვიჩი.

**ფიორენტინა (4-4-1-1):** ბორუცი – კამპორეზე, ნატალი, ნასტასიჩი, დე სილვესტრი – ხარჯა, ბერამი, ლაძარი, პასკუალი – ლიაიჩი – იოვეტიჩი.

ერთი შეხედვით, უფრო რთული თამაში აქვს "იუვენტუსს", რომელსაც სიცილიაზე უწევს სტუმრობა. "პალერმოსთან" გასვლაზე თამაში იოლი ნამდვილად არაა და ეს **ანტონიო კონტემ** ყველაზე უკეთ იცის – სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

*"კიდევ ერთი ურთულესი გამოცდა, რომელსაც იმედი მაქვს წარმატებით ჩავაბარებთ. "პალერმოს" დარ გუნდებთან გასვლაზე თამაში ძალიან ძნელია და ეს ჯერ კიდევ ფეხბურთელობიდან კარგად მახსოვს. მთავარია, საკუთარი თავის ბოლომდე გჯეროდეს და შექმნილი მომენტები მაქსიმალურად გამოიყენო. პირველი ნომრიდან ვითამაშებთ, რადგან სხვაგვარად წარმატების მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება. თუ სიცილიელებმა თავისი თამაში იპოვეს, მათი შეჩერება ურთულესი ხდება, ამიტომ, ბურთზე კონტროლი უნდა დავაწესოთ".*

საგულისხმოა, რომ "იუვენტუსი" კუნძულზე დანაკლისის გარეშე ჩადის და ეს მაშინ, როდესაც ტურინული გუნდის უმთავრეს კონკურენტ "მილანს" თერთმეტი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული. ქებათა ქება "იუვეს' ექიმებს, მთელი სეზონია "ბიანკონერი" ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობს, რაც მხოლოდ იღბლის დამსახურება არ უნდა იყოს. "გაძეტას" ვერსიით, კონტე 3-5-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევაში **მირკო ვუჩინიჩს ფაბიო კვალიარელლას** შეუწყვილებს. რაც შეეხება "პალერმოს", **ფაბრიციო მიკოლია** სრულ მზადყოფნაში და ეს ყველაზე მთავარი მოვლენაა, დანარჩენს კი როგორმე ეშველება... ვნახოთ, წინ საინტერესო ჯახი გველის.

**პალერმო-იუვენტუსი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პალერმო (3-5-2):** ვივიანო – მუნიოსი, მილანოვიჩი, ლაზრინი – პიზანო, მილიაჩო, დელა როკა, ბარეტო, ასკუა – მიკოლი, ბუდანი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარცალი, ბონუჩი, კიელინი – კასერესი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, დე ჩელიე – ვუჩინიჩი, კვალიარელა.

უაღრესად საინტერესო მატჩი გაიმართება რომის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც "ლაციო" "ნაპოლის" უმასპინძლებს. ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სასწორზე მთელი ექვსი ქულა დევს, რადგან ერთმანეთის პირისპირ უშუალო კონკურენტები წარსდგებიან.

**ედუარდო რეია** ნაცად ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე გამწესებულ **ტომაზო როკის**, უკნიდან შემტევ ტრიოს დაახმარს: **ერნანესი, გონსალესი, მაური. ვალტერ მაცარი** კი ექსპერიმენტებს გვპირდება და პირველად ბოლო წლებში, საყვარელ ტაქტიკაზე უარის თქმას აპირებს. დიახ, 3-4-2-1-ის ნაცვლად, 4-3-1-2 სქემას გამოიყენებს და შეტევის წინა ხაზზე **ედინსონ კავანისა** და **ესეკიელ ლავეცის** ტანდემს გაამწესებს. გამთამაშებლის ფუნქციები **გორან პენდევს** დაეკისრება, მოედნის შუაგულში კი შემდეგ სამეულს ვიხილავთ: **ბლერიმ ჯემაილი, გეკჰან ინლერი, მარეკ ჰამშიკი**. მაცარის მართლაც საინტერესო ჩანაფიქრი აქვს და ვნახოთ, რამდენად გაამართლებს მისი ექსპერიმენტი.

**ლაციო-ნაპოლი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლაციო (4-2-3-1):** მარკეტი – სკალონი, ბიავა, დიაკიტე, კონკო – ლედესმა, ცანა – გონსალესი, ერნანესი, მაური – როკი.

**ნაპოლი (4-3-1-2):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, ბრიტოსი, არონიკა – ჯემაილი, ინლერი, ჰამშიკი – პანდევი – ლავეცი, კავანი.

### იუვენტუსი



იუვენტუსის მაისურს ახალი ლოგო დაამშვენებს

# ახალი სპონსორი და 35 მილიონი ევრო

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებმა სასპონსორო ხელშეკრულება კომპანია Chrysler Gruup-თან გააფორმეს, რომელიც ცნობილი საავტომობილო მარკის ჟეეპ-ის მფლობელია. კონტრაქტი 3-წლიანი გახლავთ და მთელ ამ პერიოდში, ტურინული გრანდის ბიუჯეტი ახალი სპონსორისგან მინიმუმ 35 მილიონი ევროთი გამდიდრდება. შესაბამისად, სამი სეზონის განმავლობაში, "იუვენტუსის" მაისურს ახალი ლოგო-ტიპი დაამშვენებს. ამ საკითხზე კომენტარი "ვეკია სენიორას" პრეზიდენტმა, **ანდრეა ანიელიმ** გააკეთა:

*"ეს ხელშეკრულება საშუალებას მოგვცემს, რომ საზაფხულო სატრანსფერო კამპანია აქტიურად წარვმართოთ. ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრა ისედაც დიდი შვებაა და როდესაც ამას ახალი სპონსორისგან მოზიდული თანხები დაემატება, უფრო თავისუფლად შევძლებთ მოქმედებას. ასე რომ, Chrysler Gruup-თან გაფორმებული ხელშეკრულებით უაღრესად კმაყოფილი ვარ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტურის წინ

**დღეს**

**ვოლფსბურგი-ბორუსია (დ) 17:30**

პირველ წრეში: 1:5
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: კრისი, თიოლკე, ჰიტცლშპერგერი, მედოიევიჩი – ფელიპე სანტანა, კოხი

**კიოლნი-ვერდერი 17:30**

პირველ წრეში: 2:3
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ანდრეზინიო, ჩიჰი, უთი – ნალდო, პრიოდლი, ბარგფრედე, ბოროვსკი, ექიჩი, არნაუტოვიჩი

**შტუტგარტი-მაინცი 17:30**

პირველ წრეში: 1:3
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ბულარუზი, დელპიერი, აუდელი – ბელი, სვენსონი, რისსე

**ფრაიბურგი-ნიურნბერგი 17:30**

პირველ წრეში: 2:1
დისკვალიფიკაცია: ვოლშაიდი (ნიურნბერგი)
ტრავმა: ბართი, ფერატი, პუცილა, როზენტალი, ს. ბრანდშტეტერი, დემბელე – პლუშეკი, აიგლერი, ესვაინი

**კაიზერსლაუტ.-ჰოფენჰაიმი 17:30**

პირველ წრეში: 1:1
დისკვალიფიკაცია: შაჰანი - რუდი
ტრავმა: კნალერი, შიმუნეკი, იორგენსენი, კუემაა, შეხტერი, ვაგნერი - იაისლე

**ბაიერნი-აუგსბურგი 17:30**

პირველ წრეში: 2:1
დისკვალიფიკაცია: ლუის გუსტავო (ბაიერნი)
ტრავმა: ბრენო, ვან ბუიტენი – დე იონგი, ბა, ბრინკმანი, გოგია, იორლი

**ბორუსია (მ)-ჰერტა 20:30**

პირველ წრეში: 2:1
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: მარქსი, ლეკიე – ფრანცი, მიატოვიჩი, ლუსტენბერგერი, რონი

**ხვალ**

**შალკე-ჰანოვერი 17:30**

პირველ წრეში: 2:2
დისკვალიფიკაცია: ჯონსი, მატიპი (ორივე შალკე)
ტრავმა: ფერმანი, ჰილდებრანდი, ფუხსი - შტინდლი

**ჰამბურგი-ლევერკუზენი 19:30**

პირველ წრეში: 2:2
დისკვალიფიკაცია: კაჩარი, გერერო (ორივე ჰამბურგი)
ტრავმა: მიკელი, დიკმაიერი, რინკონი, სალა – ჩორლუკა, და კოშტა, შვააბი, ლ. ბენდერი, სემი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 28 | 19 | 6 | 3 | 63-21 | 63 |
| 2. ბაიერნი | 28 | 19 | 3 | 6 | 67-18 | 60 |
| 3. შალკე | 28 | 17 | 3 | 8 | 61-35 | 54 |
| 4. ბორუსია (მ) | 28 | 15 | 6 | 7 | 41-20 | 51 |
| 5. ჰანოვერი | 28 | 10 | 11 | 7 | 37-39 | 41 |
| 6. შტუტგარტი | 28 | 11 | 7 | 10 | 48-38 | 40 |
| 7. ლევერკუზენი | 28 | 11 | 7 | 10 | 39-38 | 40 |
| 8. ვერდერი | 28 | 11 | 7 | 10 | 41-43 | 40 |
| 9. ვოლფსბურგი | 28 | 12 | 4 | 12 | 40-49 | 40 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 28 | 8 | 10 | 10 | 32-39 | 34 |
| 11. მაინცი | 28 | 8 | 9 | 11 | 42-44 | 33 |
| 12. ნიურნბერგი | 28 | 9 | 4 | 15 | 25-39 | 31 |
| 13. ფრაიბურგი | 28 | 8 | 7 | 13 | 37-53 | 31 |
| 14. აუგსბურგი | 28 | 6 | 12 | 10 | 30-42 | 30 |
| 15. ჰამბურგი | 28 | 7 | 9 | 12 | 32-50 | 30 |
| 16. კიოლნი | 28 | 8 | 4 | 16 | 35-58 | 28 |
| 17. ჰერტა | 28 | 6 | 8 | 14 | 30-52 | 26 |
| 18. კაიზერსლაუტ. | 28 | 3 | 11 | 14 | 17-39 | 20 |

**ბომბარდირები:** 23 – გომესი (ბაიერნი), ჰუნტელაარი (შალკე); 17 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პოდოლსკი (კიოლნი); 16 – პისარო (ვერდერი); 15 – როისი (ბორუსია /მ/); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი).



ბაიერნი-აუგსბურგი. დაემუქრება მიოლდერსი ნოიერის კარს?

# მოთელვა სეზონის ფინალის წინ

## დაეხმარება ვოლფსბურგი ბაიერნს?

29-ე ტურით გერმანიის ჩემპიონატის დასკვნითი ფაზა იწყება – ფინიშამდე ხომ ოთხი კვირა და ექვსი ტურია დარჩენილი. ჩემპიონობის მაძიებლები, „დორტმუნდი“ და „ბაიერნი“ მომდევნო ტურში ერთმანეთს ხვდებიან და ეს ბუნდესლიგის „ფინალია“, მანამდე კი, „ბორუსიას“ „ვოლფსბურგთან“, მიუნხენელებს კი „აუგსბურგთან“ ექნებათ საქმე და ვინც ფიქრობს, რომ იოლი გასეირნებები ელით, ძალიან ცდება. კიოლნში ერთმანეთს კრიზისში მყოფი გუნდები ხვდებიან, ხოლო ფრაიბურგში კი - მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების კანდიდატები. საღამოს „გლადბახი“ „ჰერტას“ უმასპინძლებს, ხვალ **კრისტიან პანდერი** „ჰანოვერთან“ ერთად გელზენკირხენში ბრუნდება, ტურს კი „ჰამბურგისა“ და „ლევერკუზენის“ დუელი დახურავს, რომელშიც **სამი ჰიიპიას** დებიუტი შედგება – „ბაიერის“ მთავარი მწვრთნელის რანგში.

### შეინარჩუნებს დორტმუნდი სამქულიან უპირატესობას?

როცა დორტმუნდის „ბორუსია“ „ვოლფსბურგთან“ ბრძოლას დაიწყებს, მიუნხენის „ბაიერნთან“ სეზონის უმნიშვნელოვანეს მატჩამდე ზუსტად 100 საათი იქნება დარჩენილი. წლის მატჩად მონათლული პაექრობა ოთხშაბათს უნდა გაიმართოს. მანამდე, დორტმუნდელები ვოლფსბურგში ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ „ბაიერნთან“ მინიმუმ სამქულიანი დისტანცია შეინარჩუნონ, რაც **იურგენ კლოპის** გუნდს ვოლფსბურგიდან სამი ქულის წაღებას ავალდებულებს. თამამად უნდა ვთქვათ, რომ „ბორუსიას“ ამ მიზნის მიღწევა გაუჭირდება, რადგან **ფელიქს მაგათის** გუნდი ძალიან კარგ ფორმაშია. „ვოლფსბურგმა“ ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო და ევროპალიგის საგზურს უმიზნებს. განსაკუთრებით კარგად „მგლების“ თავდამსხმელები, **მარიო მანჯუკიჩი და პატრიკ ჰელმესი** ათამაშდნენ და ბოლო დროს მოედანს უგოლოდ იშვიათად ტოვებენ. ასე რომ, დორტმუნდელებს სიფრთხილე მართებთ.

### სამი ქულა ჯიბეში არც ბაიერნს აქვს

მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, „აუგსბურგის“ სახით გაცილებით სუსტი მეტოქე ჰყავს და თანაც, საკუთარ მოედანზე თამაშობს, თამამად უნდა ვთქვათ: ისეთი იოლი გასეირნება, როგორიც შუა კვირაში „მარსელთან“ (2:0) ჰქონდა, არც „ბაიერნს“ ელის. მართალია, „აუგსბურგი“ მე-14 ადგილზეა, მაგრამ ამ გუნდის სახით მიუნხენში თავდაჯერებული და გადარჩენისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლი კლუბი ჩადის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „აუგსბურგი“ ის გუნდია, რომელსაც ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და რომელმაც მეორე წრეში ქულები „დორტმუნდსაც“ (0:0) აართვა. ალბათ ამიტომაც ამბობდა „ბაიერნის“ პრეზიდენტი **ული ჰოინესი** „მარსელთან“ მატჩის შემდეგ, მადრიდის „რეალთან“ თამაშებზე ჯერ არ ვფიქრობ, სიმართლე გითხრათ, ახლა „აუგსბურგის“ მეშინიაო. ზოგადად, „ბაიერნი“ ამ მატჩში, რა თქმა უნდა, ფავორიტია.

### კიოლნი-ვერდერი: ვინ გამოვა კრიზისიდან?

ბევრისთვის მოულოდნელად, „კიოლნის“ ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** პოსტზე დატოვეს. არადა, „თხები“ უმძიმეს კრიზისში არიან და სარელეგაციო მე-16 ადგილამდე ჩამოქვეითდნენ. თანაც, ბუნდესლიგაში არცერთ გუნდს არ აქვს იმდენი წაგება (16) და იმდენი გაშვებული გოლი (58), რამდენიც „კიოლნს“. დღეს თხები „ვერდერს“ მასპინძლობენ, რომელიც ბოლო დროს ასევე უდიდეს რეგრესს განიცდის. „მუსიკოსებმა“ ბოლო 12 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგეს, რასაც საკადრო პრობლემებიც დაემატა და „ვერდერმა“ იმდენი „მოახერხა“, რომ ევროპალიგის ზონიდან გამოვიდა.

ზოგადად, ევროპალიგის საგზურებისთვის ბრძოლა ძალიან დაძაბულია: მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილებისთვის ერთდროულად 5 გუნდი იბრძვის და თანაც, „ჰანოვერსა“ (მე-5 ადგილი) და „ვოლფსბურგს“ (მე-9 ადგილი) შორის განსხვავება სულ რაღაც ერთი ქულაა. ამ ხუთეულიდან, „ვოლფსბურგის“ გარდა, ბოლო დროს აღმავლობის გზას დაადგა „შტუტგარტიც“: დორტმუნდში მიღწეული 4:4-ის შემდეგ შვაბები მეექვსე ადგილამდე აღზევდნენ, მაგრამ არც „შტუტგარტის“ დღევანდელი მეტოქე, „მაინცია“ ხელწამოსაკრავი გუნდი. **თომას ტუხელის** სამწყსომ წინა ტურში „ვერდერი“ (ბრემენში) 3:0 გაანადგურა...

### ფრაიბურგი რეკორდს უმიზნებს

„ფრაიბურგისა“ და „ნიურნბერგის“ დაპირისპირება გადარჩენისთვის მებრძოლი გუნდების დუელია. თუკი „ფრაი“ კარგ ფორმაშია და ზედიზედ სამი მატჩის მოგება შეძლო (მეოთხე ამ გუნდისთვის რეკორდი იქნება), „ნიურნბერგს“ ზედიზედ მეხუთე წაგების საფრთხე ემუქრება. აღსანიშნავია, რომ ფრანკებს წინა ხაზზე უჭირთ (მხოლოდ 8 გოლი 2012 წელს), უკან კი დაცვის ბურჯი **ფილიპ ვოლშაიდი** დისკვალიფიცირებული ჰყავთ.

„კაიზერსლაუტერნის“ ფანებს იმედი გადაეწურათ და მხოლოდ უკიდურესად ოპტიმისტი, მეოცნებე ქომაგები თუღა ფიქრობენ იმაზე, რომ „ლაუტერნს“ გადარჩენა ჯერ კიდევ შეუძლია. 18-მატჩიანი მოუგებელი სერია და მხოლოდ 17 გოლი 28 ტურში, რბილად რომ ვთქვათ, საშინელი ბალანსია. საინტერესოა, ეყოფათ კი პფალცელებს ენერგია და ენთუზიაზმი იმისათვის, რომ „ჰოფენჰაიმთან“ საშინაო მატჩში გამარჯვებისთვის იბრძოლონ და ამით ხავსს მაინც მოეჭიდონ? თავის მხრივ, „ჰოფეს“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე რეალურად არ ემუქრება და ცხადია, რომ „სოფლელები“ სეზონის ბოლოს ისევ ცხრილის შუაში დაიდებენ ბინას. თუმცა „ჰოფენჰაიმს“ წინ „ჰამბურგთან“, „ფრაიბურგთან“, „ნიურნბერგთან“ და „ჰერტასთან“ პაექრობები ელის, რაც იმას ნიშნავს, რომ **მარკუს ბაბელის** შეგირდები მაინც ფრთხილად უნდა იყვნენ.

### კოზი და კომპანია მიონხენგლადბახში

მნიშვნელობა არ აქვს, ვის ეთამაშება მეორე წრეში „ჰერტა“ - **ოტო რეჰაგელის** გამო ნებისმიერ მეტოქესთან თამაშს წინ საინტერესო ისტორია უძღვის ხოლმე. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ამ ტურში ჩასატარებელი მატჩი: ბერლინელები მიონხენგლადბახში ჩადიან. „მეფე ოტომ“ ზუსტად 34 წლის წინ, სწორედ ამ ქალაქში იწვნია ისტორიული მარცხი (0:12) – ოღონდ, მაშინ დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცი გახლდათ. ცხადია, რეჰაგელი დღეს იმ კოლაფსისთვის შურისძიებაზე ნაკლებად იფიქრებს – ახლა მისთვის მთავარი „ჰერტას“ გადარჩენაა.

სამაგიეროდ, ბერლინელებს აქვთ შური საძიებელი, რადგან ამ სეზონში „გლადბახთან“ უკვე ორჯერ დამარცხდნენ – ერთხელ პირველ წრეში და ერთხელაც გერმანიის თასის მეოთხედფინალში. რეჰაგელმა „ჰერტას“ თავისი ხელი გარკვეულწილად კი დაატყო, მაგრამ ბერლინელები წინა ტურში მაინც აიჭრნენ და „ვოლფსბურგთან“ დიდი ანგარიშით, 1:4 დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო ტურებში აღარც „გლადბახია“ ისეთი ძლევამოსილი, როგორიც ადრე იყო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ **ლუსიენ ფავრის** შეგირდებმა ზედიზედ ორი მატჩი პირველად წააგეს (1:2-ები „ჰოფენჰაიმთან“ და ჰანოვერში), „გლადბახს“ მეოთხე ადგილი და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საგზური პრაქტიკულად განაღდებული აქვს.

### პანდერის დაბრუნება, ჰიიპიას დებიუტი

ხვალ, პირველი მატჩი ევროპალიგიდან გავარდნილი გუნდების, „შალკესა“ და „ჰანოვერის“ დაპირისპირებაა, რომელიც „ნითლების“ მარცხენა მცველ **პანდერისთვის** განსაკუთრებული შეხვედრა იქნება, რადგან ეს უკანასკნელი ყოფილი და მშობლიური კლუბის წინააღმდეგ ითამაშებს. თავის დროზე პანდერი „შალკედან“ იმის გამო გაუშვეს, რომ მის შესაძლებლობებში ეჭვი შეეპარათ, ახლა კი „ჰანოვერში“ მშვენივრად გამოიყურება და თამამად უნდა ითქვას, რომ დღეს ასეთი ფეხბურთელი გელზენკირხენულ კლუბს ნამდვილად არ აწყენდა, რადგან ძირითადი შემადგენლობის მარცხენა მცველ **ფუხსს** გრიპი აქვს. ზოგადად, „შალკეს“ **მატიპისა და ჯონსის** სახით კიდევ ორი უკანახაზელი აკლია (ორივე დისკვალიფიცირებულია). შეგახსენებთ, რომ „შალკეს“ მიზანი მესამე ადგილის შენარჩუნებაა, „ჰანოვერს“ კი საუკეთესო შვიდეულში მოხვედრა უნდა.

გასულ კვირას ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში რიგით მერვე სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა: „ლევერკუზენის“ ბოსებმა ზედიზედ მეოთხე წაგების შემდეგ **რობინ დუტი** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად **სამი ჰიიპია** დანიშნეს. ფინელის დებიუტი დღეს „ჰამბურგთან“ გასვლით მატჩში შედგება. HSV-მ წინა ტურში კაიზერსლაუტერნში 1:0 მოიგო და მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა, მაგრამ გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს. „ლევერკუზენისთვის“ კი ამ სეზონში პროგრამა მინიმუმიცა და მაქსიმუმიც უკვე ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა, რადგან საუკეთესო ოთხეულს „ფარმაცევტები“ ალბათ ველარ შესწვდებიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტურის წინ

### გუშინ

**სუონსი–ნიუკასლი 0:2**

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – რანხელი, კოლკერი, უილიამსი, ნ. ტეილორი – ბრიტონი, ალენი – ნ. დაიერი (66. სინკლერი), სიგურდსონი, რუტლეჯი – მური (66. გრემი)

**ნიუკასლი** (4-3-2-1): კრული – სიმპსონი, უილიამსონი, პერჩი, სანტონი – კაბაი (74. კაბაი), ტიოტე (46. რ. ტეილორი), ხონასი – ბენ არფა, პ. სისე – ბა (59. ფერგიუსონი)

**გოლები:** 0:1 სისე (5), 0:2 სისე (69)

**გაფრთხილება:** უილიამსი - უილიამსონი

**კარში დარტყმა:** 17-4(9-3), **კუთხური:** 7-0, **ჯარიმა:** 10-9, **თამაშგარე:** 0:1 **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 19 874

### დღეს

**სანდერლენდი–ტოტენჰემი 15:45**

**ტრავმა:** ბრაუნი, ბრამბლი, ო'ში, ანხელერი – გომესი, ჰადლსტოუნი, დოუსონი, ბენტლი, ჯენასი

**ბოლტონი–ფულჰემი 18:00**

**ტრავმა:** ლი, სტეინსონი, პრეტლი, მუამბა, გარდნერი, მირსი, ჰოლდენი – გრიგერა, ეტერიჯი, პოგრებნიაკი, ჯონსონი, სა, სიდუელი

**ჩელსი–უიგანი 18:00**

**ტრავმა:** დროგბა, ტერი, კოული, ლემპარდი – როდალიეგა, დიამე

**ლივერპული–ასტონ ვილა 18:00**

**ტრავმა:** ჯონსონი, ლეივა, აგერი, კელი, ადამი, რობინსონი – ბენტი, ნ'ზოგბია, კლარკი, დანი, დელფი, პეტროვი, ჰატონი,

**დისკვალიფიკაცია:** რეინა -

**ნორვიჩი–ევერტონი 18:00**

**ტრავმა:** რუდი, ტირნი, აიალა, პიკლინგტონი, ვონი – ოსმანი, როდუელი, კოულმენი

**ვესტ ბრომვ.–ბლექბერნი 18:00**

**ტრავმა:** ტომასი, გერა, რიდი, ფულოპი, მორისონი – გრელა, სალგადო, ჟივე,

**სტოკ სიტი–ვულვზი 20:30**

**ტრავმა:** დიაო, ეთერინგტონი, ვუდგეიტი, სიდიბე, პენანტი - კრედოკი, ო'ჰარა,

### ხვალ

**იუნაიტედი–ქუინზ პარკი 16:30**

**ტრავმა:** ლინდეგორი, ნანი, ფლეტჩერი, ანდერსონი, მაკედა, ვიდიჩი, ოუენი – ფორლინი, ჰელგუსონი, ჰოლი, ტრაორე, დაიერი

**დისკვალიფიკაცია:** სისე -

**არსენალი–მანჩესტერ სიტი 19:00**

**ტრავმა:** მერტეზაკერი, ფრიმპონგი, უილშირი, კოკლენი – რიჩარდსი, ლესკოტი, ნასრი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 31 | 24 | 4 | 3 | 76-27 | 76 |
| 2. სიტი | 31 | 22 | 5 | 4 | 75-25 | 71 |
| 3. არსენალი | 31 | 18 | 4 | 9 | 62-41 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 31 | 15 | 8 | 8 | 53-36 | 53 |
| 5. ნიუკასლი | 32 | 16 | 8 | 8 | 48-42 | 56 |
| 6. ჩელსი | 31 | 15 | 8 | 8 | 53-36 | 53 |
| 7. ევერტონი | 31 | 12 | 7 | 12 | 32-32 | 43 |
| 8. ლივერპული | 31 | 11 | 9 | 11 | 36-33 | 42 |
| 9. სანდერლენდი | 31 | 11 | 8 | 12 | 42-37 | 41 |
| 10. ფულჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 39-42 | 39 |
| 11. სუონსი | 31 | 10 | 9 | 12 | 42-49 | 39 |
| 12. ნორვიჩი | 31 | 10 | 9 | 12 | 42-49 | 39 |
| 13. სტოკ სიტი | 31 | 10 | 8 | 13 | 29-43 | 38 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 10 | 6 | 15 | 36-43 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 30 | 7 | 12 | 11 | 33-42 | 33 |
| 16. ბოლტონი | 30 | 9 | 2 | 19 | 36-60 | 29 |
| 17. ქუინზ პარკი | 31 | 7 | 7 | 17 | 35-54 | 28 |
| 18. ბლექბერნი | 31 | 7 | 7 | 17 | 43-64 | 28 |
| 19. უიგანი | 31 | 6 | 10 | 15 | 29-55 | 28 |
| 20. ვულვზი | 31 | 5 | 7 | 19 | 33-68 | 22 |

**ბომბარდირები:** 26 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 21 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - დემბა ბა (ნიუკასლი); 14 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი) 13 - ედინ ჯეკო, მარიო ბალოტელი (ორივე მანჩესტერ სიტი), კლინტ დემპსი (ფულჰემი), ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი)


ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალისა და სიტის შეხვედრებს ბოლო წლებში დაძაბულობა არასოდეს აკლდათ

# ოცდაჩვიდმეტი წლის წინ

წინა ტურში "სანდერლენდმა" ტურის უმთავრესი მოულოდნელობა შემოგვთავაზა, როცა "მანჩესტერ სიტისთან" გასვლაზე ქულა აილო. მეტიც. 85-ე წუთამდე "შავი კატები" ახლოს იყვნენ, რომ პრემიერლიგის იმ ერთადერთ გუნდად ქცეულიყვნენ, რომელმაც "ქალაქელები" სეზონში ორჯერ დაამარცხა, მაგრამ "სიტიმ" თამაში 2 წუთში შემოატრიალა და 2-ბურთიანი ჩამორჩენა გააბათილა. **მარტინ ონილის** გუნდმა ცხრილის სათავეში სიტუაცია მთლად თავდაყირა თუ ვერ დააყენა, ბევრიც არაფერი დაუკლია. რაც შეეხება "ტოტენჰემს", ჩრდილოლონდონელებმა 31-ე ტურში როგორც იქნა მოიგეს და "არსენალს" ქულებით ხელახლა გაუთანაბრდნენ. მოგების შემთხვევაში "დეზებს" აქვთ შანსი, რომ მესამე ადგილს დაუბრუნდნენ, თუმცა "სტედიუმ ოფ ლაითიდან" 3 ქულის წაღება ძალიან ძნელი იქნება. ისე, თუკი სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ლონდონელები ამას ხშირად ახერხებდნენ.

**ფაბრის მუამბას** თავს დატრიალებულმა ამბებმა "ბოლტონი" ერთ მუშტად შეკრა. მას მერე გუნდი თავდაუზოგავად იბრძვის ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად და აი, როგორც იქნა "ვულვზთან" წინა ტურში 3:2-ის გამარჯვების შემდეგ გუნდმა დატოვა გასავარდნი ზონა. თუმცა ყველას ესმის, რომ ეს ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს, რადგან მე-18 ადგილს ისინი სულ რალაც კინკილა ქულით არიან დაშორებულები. "ფულჰემი" ის გუნდია, რომლის შინაურ კედლებში დამარცხება არ არის შეუძლებელი. ბუნებრივია, მიზნის მისაღწევად მასპინძელი ყველა ლონეს მიმართავს. რაც შეეხება სტუმარს, "კოტეჯელებმა" წინა ტურში ტრავმის გამო **პაველ პოგრებნიაკი** დაკარგეს და დღეს მინდორზე მისი გამოსვლა პრაქტიკულად გამორიცხულია. სამაგიეროდ, ფორმაშია გუნდის ლიდერი **კლინტ დემპსი**.

## კარგი განწყობით

"ჩელსი" დიდებულ განწყობაზეა. "ლურჯებმა" შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაში არცთუ ისე შთამბეჭდავი ასპარეზობის მიუხედავად "ბენფიკა" მეორეჯერაც დაამარცხეს და 1/2-ფინალის საგზური გაინაღდეს, სადაც "ბარსელონასთან" მოუწევთ ჭიდაობა. ლონდონელებმა მოიგეს პრემიერლიგის ბოლო ტურის შეხვედრაც "ასტონ ვილასთან". ბრწყინვალედ ითამაშა **ფერნანდო ტორესმა**, ვინც გოლის გარდა საგოლე გადაცემაც მიითვალა. ძვირს ვერაფერს ვიტყვით "უიგანზეც". **რობერტო მარტინესის** გუნდმა 4-თამაშიანი წაუგებელი სერია გამოაცხო და თუკი ასეთივე მონდომებით განაგრძეს ასპარეზობა... თუმცა მათი გზა ლიგაში დასარჩენად ყველაზე უფრო რთულია, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. "უიგანს" დღევანდელი თამაშის ჩათვლით მომდევნო 5 ტურში 4 თამაში გრანდებთან (ჩელსი, მანჩესტერ იუნაიტედი, არსენალი, ნიუკასლი) უწევს. ასე რომ, ამ გუნდს თავს ზემოთ ახტომა მოუწევს.

## ორი იმედგაცრუება

"ლივერპულის" აშკარა კრიზისზე გუნდის ყოფილი ვარსკვლავებიც ალაპარაკდნენ და "წითლებს" გადამწყვეტი მოქმედებებისკენ მოუწოდეს. ის, რომ მძიმე დღეში არიან, გარკვეულწილად **კენი დალგლიშმაც** დაადასტურა, როცა სამომავლო გეგმებზე და გუნდიდან ბალასტის მოშორებაზე ალაპარაკდა. დასახელდა სამი გვარი **დირკ კუიტი, მაქსი როდრიგესი** და **ფაბიო აურელიო**. ახლა რაც შეეხება უშუალოდ ბირმინგემელებთან შეხვედრას: მიუხედავად ყველაფრისა, აშკარაა, რომ ფავორიტი მაინც მასპინძელია. "ასტონ ვილა" ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საუკეთესო მდგომარეობაში ნამდვილად არ არის. მიზეზი ყველასთვის ცნობილია. რამდენიმე დღეა, რაც გუნდის კაპიტან **სტილიან პეტროვს** მწვავე ლეიკოზის დიაგნოზი დაუსვეს. ბულგარელის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ არის. დაწყებული "ენფილდის" შეხვედრიდან ვილაპარკელებმა ყველაფერი უნდა ილონონ, რომ გუნდს საქმე გასავარდნად არ დაუდგეს. სხვაობა კი "ტრაგედიის ზონასთან" სულ 5 ქულაა.

"ნორვიჩი" სეზონს ნება-ნება, ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ასრულებს. მას არაფერი ემუქრება - არც გავარდნა და ევროთასებზე გასვლის პერსპექტივა. თუმცა მეორე მხრივ ბოლო 7 თამაშში კინკილა მოგება გულშემატკივართა თავმოყვარეობაზე დადებითად სულაც არ მოქმედებს. მასპინძელს "კეროუ როუდზე" ნამდვილად შეუძლია "ევერტონის" დამარცხება. ლივერპულელები მშვენიერ ფორმაში არიან. "ლურჯებმა" მიჯრით სამი თამაში მოიგეს, სამივე 2:0. ბუნებრივია, ისინი არც დღეს აპირებენ რამის დათმობას. ბუკმეკერები ფავორიტად სწორედ **დევიდ მოიესის** გუნდს ასახელებენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ვესტ ბრომვიჩი"-"ბლექბერნის" მატჩი ტურში ყველაზე ნაკლებ ინტერესს იწვევს. მასპინძლებს თვეზე მეტია არ მოუგიათ. "ვარდებს" კი წინა ტურში "მანჩესტერ იუნაიტედი" ჰყავდათ მეტოქე და რა გასაკვირია, რომ დამარცხდნენ. "ჰოუტორნსზე" ნებისმიერი შედეგი მოსალოდნელია, თუმცა მიზერულ უპირატესობას ბუკმეკერები მაინც "ბლექბერნს" ანიჭებენ. სხვა თუ არაფერი, საფრთხე მას მეტი ემუქრება და შესაბამისად მეტად უნდა მოინდომოს.

პრემიერლიგის საშუალოწონოსანი "სტოკ სიტი" წყალწაღებულ აუტსაიდერ "ვულვზთან" დღევანდელ დაპირისპირებაში აშკარა ფავორიტია. "მგლები" არც **მიკ მაკარტის** ხელში ეთამაშებოდნენ ვარსკვლავებს, მაგრამ ირლანდიელის გუნდიდან დათხოვნის შემდეგ **ტერი კონორის** თავკაცობით მათ ელიტაში დარჩენის მიზერული შანსიც არ აქვთ. "ვულვზს" ზედიზედ 5 წაგება დაუგროვდა (ორჯერ 5:0), საიდანაც სამში გოლიც ვერ გაიტანა. ასე რომ, "მგლებს" ახლა შეიძლება უწყინარ ცხვრებთანაც აუკანკალდეთ მუხლები. "სტოკს" 5-თამაშიანი მოუგებელი სერია აქვს და რატომღაც გვგონია, რომ ეს სერია დღეს შეწყდება.

## რას იზამს ფავორიტი?

ახლა იმას რომ მოვყვეთ, "მანჩესტერ იუნაიტედი" უპირობო ფავორიტიაო, ვფიქრობთ, გატკეპნილი ჭეშმარიტების მტკიცებაში დაგვდებთ ბრალს. უბრალოდ გეტყვით, რომ "ეშმაკებს" ჩემპიონატის ბოლო 11 თამაშიდან 10 მოგება (აქედან 7 ზედიზედ) და ფრე აქვთ. რაც მთავარია, "იუნაიტედი" იმ კონდიციებშია, როცა შედარებით ცუდად თამაშის ფონზეც კი შეუძლია მიზნის მიღწევა. **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა ეს ორშაბათს ბლექბერნის "ივუდ პარკზე" დაამტკიცა. "წითელმა ეშმაკებმა", რასაც ჰქვია, კლასის ხარჯზე იძალეს. და რა შანსი შეიძლება ჰქონდეს "ქუინზ პარკს" 75 ათასი თვალებანთებული ფანის წინაშე მოთამაშე "იუნაიტედთან"? ვერ გეტყვით...

უკანასკნელად ჩემპიონატში "მანჩესტერ სიტიმ" "არსენალს" გასვლაზე 1975 წლის 4 ოქტომბერს მოუგო. მას მერე ხდებოდა, რომ "ქალაქელებს" ლონდონიდან ქულა მიჰქონდათ, მაგრამ გამარჯვება კი არ ღირსებიათ. **რობერტო მანჩინის** გუნდმა "ემირეტსზე" მიმდინარე სეზონში ერთხელ უკვე იმარჯვა და ეს ლიგის თასის 1/4-ფინალში მოხდა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ნოემბრის გმირობის გამეორებას ეს გუნდი. წესით, თუკი რამე წესს ექვემდებარება ფეხბურთში მოგება და წაგება, მას ეს უნდა გაუჭირდეს.

### მანჩესტერ იუნაიტედი



## ვალენსიას ოპერაცია ელის

"მანჩესტერ იუნაიტედის" საექიმო შტაბს **ანტონიო ვალენსიასთვის** სეზონის დამთავრების შემდეგ, არაუგვიანეს მაისისა, კოჭზე უმნიშვნელო ოპერაციის ჩატარება სურდა, მაგრამ ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით მისი გადადება მოუხდა. მიზეზი ის არის, რომ ეკვადორელებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის უმნიშვნელოვანესი შეხვედრები ელით არგენტინასა და კოლუმბიასთან. პირველად ვალენსიამ ფეხი 2010 წლის სექტემბერში "რეინჯერსთან" შეხვედრაში დაიზიანა, რის გამოც მას მთელი 6 თვე გაუცდა. ქირურგებმა ფეხბურთელს კოჭთან ლითონის ფირფიტა ჩაუდეს, რომლის ამოღება ახლაა დაგეგმილი. როდის დაინიშნება ოპერაცია, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, მაგრამ აღდგენითი პროცესი ყველა ვარიანტში ხანმოკლე იქნება, ასე რომ, ანტონიო "იუნაიტედს" სეზონისწინა მოსამზადებელ პირველივე შეკრებაზე შეუერთდება.

აქვე მოკლედ მოგახსენებთ "იუნაიტედთან" დაკავშირებულ კიდევ ორ ინფორმაციას. პორტუგალიური პრესა დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, ალექს ფერგიუსონს "პორტუდან" ნიკოლა გაიტანის გადაბირება სურსო. ამჯერად "ა'ბოლას" ცნობით, "ეშმაკები" 20 წლის **ჯეიმს როდრიგესის** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. ტრანსფერის ღირებულებაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

დაბოლოს, "იუნაიტედის" 32 წლის ვეტერანი ფორვარდის **მაიკლ ოუენის** თქმით, ვინც ოლდ "ტრეფორდს" სეზონის დასრულებისთანავე ტოვებს, ის არც კი განიხილავს არაპრემიერლიგური კლუბების წინადადებას.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXI ტურის წინ

# როცა პირველიდან მესამემდე 30 ქულაა

## დამაინც, მოედანზე რეალი და ვალენსია გავლენ

### დღეს

**ესპანიოლი-სოსიედადი 20:00**

**ტრავმა:** მარკესი, მატიონი, გალანი (?) - მარტინესი, გონსალესი (?), ბერგარა

**ხეტაფე-სპორტინგი 20:00**

**ტრავმა:** ლოპესი, ლოპო, უსტარი, ბარადა (?), პედრო ლეონი (?) - მენდი (?), გრეგორი, ეგურენი (?)

**ვალეკანო-ოსასუნა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლამა (ოსას)

**ტრავმა:** მიჩელი (?) - ბერტრანი (?), რუბენი (?), კიკე სოლა, რაიტალა (?), მასუდი

**სარაგოსა-ბარსელონა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** მატეოსი (სარ)

**ტრავმა:** აპონიო, ლაკრუსი - ვილია, აფელაი, ფონტასი, პიკე (?), აბიდალი, ჩავი (?)

**ბეტისი-ვილიარეალი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** საპატა (ვილ)

**ტრავმა:** კასტრო (?), ბენატი (?), სერხიო, უსტარიცი, მარიო - ნილმარი (?), როსი, კატალა

### ხვალ

**ლევანტე-ატლეტიკო 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** კოკე (ატლ)

**ტრავმა:** ლოპესი, სილვიო (ატლ)

**მალიორკა-გრანადა 18:00**

**ტრავმა:** ტეხერა, კევინი, ოგუნჯიმი - დიახატე, იებდა, რობერტო

**ბილბაო-სევილია 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** მარტინესი - კოკე, ტროხოვსკი

**ტრავმა:** კასტილიო, გურპეგი, ლოპესი (?), ოსიო - კამპანია (?), მედელი (?)

**რეალი-ვალენსია 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** სერხიო რამოსი (რეალი)

**ტრავმა:** დიარა (?), ხედირა (?), რ. კარვალიო - მიგელი, ბანეგა, კანალესი

### ზეგ

**მალაგა-რასინგი 23:00**

**ტრავმა:** ხუანმი, ბაპტიშტა, როსარიო, ტულალანი, კაბალიერო, ხოაკინი - აკოსტა (?), ტონიო (?)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 30 | 25 | 3 | 2 | 100-27 | 78 |
| 2. ბარსელონა | 30 | 22 | 6 | 2 | 86-22 | 72 |
| 3. ვალენსია | 30 | 13 | 9 | 8 | 46-37 | 48 |
| 4. მალაგა | 30 | 14 | 5 | 11 | 44-43 | 47 |
| 5. ლევანტე | 30 | 13 | 6 | 11 | 42-41 | 45 |
| 6. ოსასუნა | 30 | 10 | 13 | 7 | 35-46 | 43 |
| 7. ატლეტიკო | 30 | 11 | 9 | 10 | 42-35 | 42 |
| 8. სევილია | 30 | 11 | 9 | 10 | 36-32 | 42 |
| 9. ესპანიოლი | 30 | 11 | 8 | 11 | 37-39 | 41 |
| 10. ხეტაფე | 30 | 10 | 9 | 11 | 31-39 | 39 |
| 11. ბილბაო | 30 | 9 | 11 | 10 | 44-42 | 38 |
| 12. ვალეკანო | 30 | 11 | 4 | 15 | 42-53 | 37 |
| 13. მალიორკა | 30 | 9 | 9 | 12 | 32-40 | 36 |
| 14. სოსიედადი | 30 | 10 | 6 | 14 | 36-45 | 36 |
| 15. ბეტისი | 30 | 10 | 5 | 15 | 35-43 | 35 |
| 16. გრანადა | 30 | 10 | 4 | 16 | 28-46 | 34 |
| 17. ვილიარეალი | 30 | 7 | 11 | 12 | 30-42 | 32 |
| 18. სარაგოსა | 30 | 7 | 7 | 16 | 27-52 | 28 |
| 19. სპორტინგი | 30 | 6 | 7 | 17 | 29-56 | 25 |
| 20. რასინგი | 30 | 4 | 13 | 13 | 23-45 | 25 |

**ბომბარდირები:** 37 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 36 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 20 - გონსალო იგუაინი (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო).

პირველ და მესამეადგილოსანთა ორთაბრძოლა უთუოდ ტურის ცენტრალური დაპირისპირებაა, რაც უნდა ჩამორჩებოდეს ეს უკანასკნელი, მით უფრო, როცა ლაპარაკი „რეალსა“ და „ვალენსიაზეა“. ეს მატჩი „ევროსპორტმა“ ევროვიქენდის ყველაზე საინტერესო დაპირისპირებადაც შერაცხა. კვირას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში რიხით გასული „რეალი“ ევროპალიგის ნახევარფინალში რიხითვე გასულ „ვალენსიას“ შეუტევს.

ბუნებრივია, 31-ე ტურის სხვა მატჩებიც არაა ინტერესმოკლებული, ჩემპიონი დღეს ესტუმრება არაგონს, სადაც „სარაგოსას“ ეთამაშება. „ბარსას“ ფეხის დაცდენის უფლება აღარ აქვს, მან უნდა მოიგოს, რომ ტიტულის შენარჩუნების შანსი შეინარჩუნოს. კვირის ორ დაპირისპირებასაც გამოვყოფთ - ვალენსიაში „ლევანტე“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობს, „ბილბაო“ კი „სევილიას“ დაუხვდება.

### ემერის განსჯის საათი?

„ალკმაარის“ განადგურებით **უნაი ემერიმ** შვებით ვერ ამოისუნთქა, რადგან მის გუნდს ლა ლიგაში ძალზე სათუო გაუხდა მესამე ადგილი. ადგილი, რომელიც, ერთ დროს, ლამის გარანტირებული ჰქონდა. „ღამურები“ მხოლოდ ქულით უსწრებენ „მალაგას“, რომელსაც გაცილებით იოლი ამოცანა აქვს ამ ტურში - ორშაბათს აუტსაიდერ „რასინგს“ მასპინძლობს. ემერიმ კი, რომლის ფეხბურთელებიც გადაღლილები არიან, ზუსტად უნდა გათვალოს, რა ტაქტიკით ეთამაშოს „რეალს“, რომელიც „ვილიარეალთან“ სკანდალური ფრის შემდეგ იგებს და იგებს.

„ვალენსია“ „რეალის“ უშუალო კონკურენტი ვერაფრით იქნება - მათ შორის 30 ქულაა სხვაობა. „სამეფო კლუბმა“ რვავე დარჩენილი შეხვედრა, რომ წააგოს, „ვალენსია“ მაინც ვერ დაეწევა. წარმოიდგინეთ, ესპანეთში ისეთი ორხელისუფლებიანობაა, რომ სეზონის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე ტიტულის მოგების შანსი მესამეადგილოსანს თეორიულიც კი აღარ აქვს.

გავიხსენოთ ამ გუნდების პირველი მატჩი - ნოემბერში, „მესტალიაზე“ 44 ათასი გულშემატკივრის თვალწინ 5-გოლიანი თრილერი ვიხილეთ. **რობერტო სოლდადო** ბევრს ეცადა, მაგრამ მარტო „რეალთან“ ვერას გახდა, მასპინძელთა კარში თითო გოლი **ქარიმ ბენზემამ, სერხიო რამოსმა** და **კრიშტიანო რონალდომ** გაიტანეს. პრიმერაში „ვალენსია“ 2009 წლის მაისის მერე სულ აგებს. ბოლოს „ღამურებმა“ მაშინ მოუგეს „სამეფო კლუბს“, თანაც დიდი ანგარიშით 3:0. მართალია, ჯერ 3 წელიწადიც არ გასულა ამ მატჩიდან, მაგრამ „ვალენსიაში“ ერთი გოლის ავტორიც აღარაა: **ხუან მატა** „ჩელსიში“ თამაშობს, **დავიდ სილვა** „მანჩესტერ სიტიში“, ხოლო **რუბენ ბარახა** ფეხბურთიდან წავიდა. ვინც მაშინ ითამაშა, იმათგან „ვალენსიაში“ მხოლოდ **მადურო, მიგელი** და **პაბლო ერნანდესია,** ხოლო **ალბიოლი** ახლა სწორედ „რეალში“ თამაშობს.

„ვალენსიამ“ წინა ტურში დერბი ვერ მოიგო, რის გამოც აღშფოთებულმა პუბლიკამ გუნდი გასახდელში თეთრი ცხვირსახოცების ფრიალით გააცილა. ბოლო 14 მატჩიდან „ღამურებმა“ მხოლოდ 3 მოიგეს. ლა ლიგა 1 იანვარს რომ დაწყებულიყო, „ვალენსია“ ახლა მე-17 ადგილზე იქნებოდა!

ასეა თუ ისე, უნაი ემერი ზაფხულში არ აპირებს კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას. აქ საკითხი სხვანაირად დგას - მიატანს კი ტაქტიკოსი მწვრთნელი ზაფხულამდე? *„ჩემი მომავლის შესახებ ათასგვარი სპეკულაცია მესმის, მაგრამ მე ვმუშაობ და ამ ხმებს ყურადღებას არ ვაქცევ. ვფიქრობ, რომ ეს სპეკულაციები არც ფეხბურთელებზე მოქმედებს და ძალიან მიხარია“*, - აცხადებს ემერი.

ყოფილი ვალენსიელი რაულ ალბიოლი დიდ გულზეა, მას მიაჩნია, რომ „რეალი“ მზად არის მოიგოს, როგორც ლა ლიგა, ასევე ჩემპიონთა ლიგაც. *„ჩვენ ძალიან ამბიციური გუნდი გვყავს, ორივე ტიტული გვინდა. მიზნებთან ძალიან ახლოს ვართ, ახლა ყველამ ბოლო ძალები უნდა მოვიკრიბოთ და ოცნებას ავისრულებთ“*, - განაცხადა ცენტრალურმა მცველმა.

**ანხელ დი მარია** უკვე სრული დატვირთვით შრომობს და მზადაა მოედანზე პირველივე წუთებიდან გამოვიდეს. არგენტინელმა აპოელ-თან ულამაზესი გოლი გაიტანა. **ჟოზე მოურინიომ** კვიპროსელებთან **ჩაბი ალონსო**, ქარიმ ბენზემა და **მესუთ იოზილი** დაასვენა. ეს ტრიო „ვალენსიასთან“ აუცილებლად დაბრუნდება. ითამაშებს **ალვარო არბელოაც**, აი, სერხიო რამოსი კი დააკლდება „სამეფო კლუბს“. წინა ტურში სერხიომ მე-10 ყვითელი ბარათი მიიღო სეზონში და მეორედ გამოიწერა დისკვალიფიკაცია (ესპანეთში ყოველი 5 გაფრთხილების შემდეგ 1-მატჩიანი დისკვალიფიკაციაა). ჟოზეს ლაზარეთიდან 25 წლის სამი ხედირა დაუბრუნდა, გუშინ გერმანელმა გუნდთან ერთად ყოველგვარი პრობლემის გარეშე ივარჯიშა.

ვალენსიელებიც არ არიან უიმედოდ. არგენტინელი ნახევარმცველი **ტინო კოსტა** აცხადებს, რომ „ვალენსიას“ თავისუფლად შეუძლია მოუგოს „რეალს“. *„რა თქმა უნდა, „ალკმაარი“ ახლოსაც ვერ მივა „რეალთან“, მაგრამ ჩვენ ამ გამარჯვებამ ფრთები შეგვასხა და ახლა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოგებას ვაპირებთ“.*

**ცოტა რამ სტატისტიკიდან**

| | რეალი | ვალენსია |
|---|---|---|
| გოლი | 100 | 46 |
| საშუალოდ | 3,33 | 1,53 |
| დარტყმა | 454 | 299 |
| პასი | 16 381 | 13 851 |
| ჩაწოდებები | 614 | 729 |
| მიღებული ბურთი | 27 | 37 |
| საშუალოდ | 0,90 | 1,23 |
| ორთაბრძოლა | 661 | 612 |
| ჯარიმა | 415 | 514 |
| გაფრთხილება | 66 | 107 |
| გაძევება | 5 | 6 |

### მატარებლით არაგონში

ჩემპიონი კატალონიიდან შორს არ მიდის, არაგონის დედაქალაქს ესტუმრება და „სარაგოსას“ დაუპირისპირდება. გუნდს, რომელმაც საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა, თუმცა მაინც გასავარდნ ზონაშია. „ლა რომარედაზე“ **მანოლო ხიმენესის** გუნდი გააფთრებით იბრძოლებს. სხვა საქმეა, რის მიღწევას ეყოფა ეს ბრძოლა.

ხიმენესს ჩემპიონთან ბრძოლის წინ რამდენიმე საკადრო პრობლემაც აქვს - „მალაგადან“ იჯარით გადასული აპონიო ზურგს იტკიებს, ნახევარმცველის თამაში საეჭვოა. არ იქნება „რეალიდან“ გადასული **დავით მატეოსიც**, ვინც კუნთმა დაალალატა. **ლუის გარსიას** გრიპი აქვს, თანაც საკმაოდ მძიმე ფორმით. ვერ ივარჯიშა მცველმა **პაბლო ალვარესმაც.**

იმ ფეხბურთელებმა, რომელთაც „მილანთან“ ითამაშეს, ხუთშაბათს ცალკე ივარჯიშეს მსუბუქად. გუნდთან ერთად იყვნენ **იბრაჰიმ აფელაი** და **ერიკ აბიდალი.** ჰოლანდიელს ჯერ კიდევ ცოტა აკლია სრულ მზადყოფნამდე, აბიდალს კი დღე-დღეზე ოპერაცია ელის და მათი თამაში გამორიცხულია. **ჩავიმ** და **კარლეს პუიოლმა** „მილანთან“ ითამაშეს. ამ ორს კი განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდებათ (ხშირი ტრავმიანობის გამო) ასე რომ, გასაკვირი არ იქნება, თუკი **ხოსეპ გვარდიოლა** ორივეს დაასვენებს. ყოველ შემთხვევაში, სასტარტო შემადგენლობაში არ შეიყვანს. **დავიდ ვილიას** კი ჯერ ბევრი უკლია მწყობრში ჩადგომამდე. როგორც გაირკვა, პიკე მაინც ვერ ითამაშებს - „ბარსას“ ოფიციალურ საიტს თუ ვენდობით, მცველის თამაში გამორიცხულია.

რადგან ბარსელონადან სარაგოსამდე არცთუ შორია, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდი დღეს ჩქაროსნული მატარებლით გაემგზავროს არაგონში. მგზავრობას საათზე ოდნავ მეტი დასჭირდება.

ხოსეპ გვარდიოლა: *„ექვს გარეშეა, „სარაგოსას“ მაშინ ვეთამაშებით, როცა ეს კლუბი საუკეთესო კონდიციებში შევიდა. „ატლეტიკოს“ და „ვალენსიას“ დამარცხება არ არის იოლი საქმე. მეტოქის თამაშები ვნახე, „სარაგოსა“ ინტენსიურად უტევს, სულ ვერ იტყვი, რომ აუტსაიდერია. ძალიან რთული მატჩი გველის, რადგან ის ორივე გუნდისთვის ბევრს ნიშნავს“.*




ვალენსიას დაცვას ამათთან მოუწევს ბრძოლა

**ფაქტები**

* წინა შეხვედრაში, „კამპ ნოუზე“ გვარდიოლას გუნდმა უპრობლემოდ, 4:0 მოიგო. მაშინ გოლები ჟერარდ პიკემ, **ლიონელ მესიმ**, კარლეს პუიოლმა და დავიდ ვილიამ გაიტანეს.

* მანოლო ხიმენესის გუნდი შესანიშნავ ფორმაშია: ბოლო 4 მატჩში 10 ქულა მოიპოვა. ორი მოგება განსაკუთრებით აღსანიშნავია, არაგონელებმა „ვალენსია“ და „ატლეტიკო“ დატოვეს უქულოდ.

* „სარაგოსას“ გოლეადორი ამ სეზონში პორტუგალიელი ელდერ პოშტიგაა - 7 გოლი 23 მატჩში.

* ლა ლიგაში „ბარსამ“ 86 გოლი გაიტანა, „სარაგოსამ“ კი - 27. ლიონელ მესიმ არაგონულ გუნდზე 9 გოლით მეტი გაიტანა!

* „ბარსელონამ“ „ლა რომარედაზე“ ბოლო 6 ვიზიტიდან 5-ჯერ მოიგო.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სარაგოსა:** *რობერტო - ლანძარო, და სილვა, პარედესი, აბრაამი - რუბენ მიკაელი, სუკულინი - ბარერა, გარსია, ლაფიტა - პოშტიგა.*

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პუიოლი, ადრიანო - ტ. ალკანტარა, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, ფაბრეგასი, სანჩესი.*

**ლა ლიგის სტატისტიკიდან**

| გოლი | ფეხბურთელი | გუნდი |
|---|---|---|
| **გოლები თავით** | | |
| 7 | ფ. ლორენტე | ბილბაო |
| 4 | რონალდო | რეალი |
| 4 | ფალკაო | ატლეტიკო |
| 4 | რ. კასტრო | ბეტისი |
| 4 | აგირეჩე | სოსიედადი |
| 4 | ფაბრეგასი | ბარსელონა |
| 4 | დ. კოშტა | ვალეკანო |
| **გოლები საჯარიმო დარტყმით** | | |
| 4 | კასორლა | მალაგა |
| 2 | მესი | ბარსელონა |
| 2 | ჩავი | ბარსელონა |
| 2 | სუარესი | ლევანტე |
| 2 | ბენატი | ბეტისი |
| 2 | სენა | ვილიარეალი |
| **გოლები პენალტით** | | |
| 10 | რონალდო | რეალი |
| 5 | ფალკაო | ატლეტიკო |
| 4 | მესი | ბარსელონა |
| 3 | სუარესი | ლევანტე |

### იცით, თუ არა რომ...

„რეალის“ ლიდერი კრიშტიანო რონალდო ლისაბონის „სპორტინგმა“ 12 წლისა 22,5 ათას ევროდ შეიძინა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



გვარდიოლა არაგონში ბრძოლას ელის

ძიუდო

# შავდათუაშვილი აფრიკამ ლონდონთან დააახლოვა

მაროკოულ აგადირში მიმდინარე აფრიკის ძიუდოისტთა პირველობაზე 66 კილოგრამში მოვლენები ისე განვითარდა, საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა ლამის ბოლო ლიცენზიაც გაინაღდა. ბევრისთვის მოულოდნელად აფრიკის შარშანდელი ჩემპიონი და სალიცენზიო 22-კაციან სიაში მყოფი ამ კონტინენტის ერთადერთი წარმომადგენელი, ეგვიპტელი **აჰმედ ავადი** მეორე წრეში ტუნისელ **ჰოუცემ ჰალფაუისთან** დამარცხდა ანუ შარშანდელი შედეგის გამეორების შანსი დაკარგა. ამით მას ქულებიც დააკლდება, რაც საბოლოოდ 22-კაციანი სიიდან გამოვარდნად დაუჯდება, მის ნაცვლად კი იქ ებრაელი **გოლან პოლაცკი** შევა. სადღეისოდ ევროპულ კვოტაში პირველი სწორედ ებრაელია და მისი 22-ში შესვლით პირველზე ლატვიელი **დენის კოზლოვსი** გადადის, მეორეზე - სადღეისოდ ევროპელთაგან მესამე **ლაშა შავდათუაშვილი** ანუ ჩვენებური ევროპისთვის განკუთვნილ ორკაციან სალიცენზიო კვოტაში ხვდება. შავდათუაშვილი აქამდეც ინარჩუნებდა ლიცენზიის მოპოვების კარგ შანსს - საამისოდ ევროპის პირველობაზე კოზლოვსისთვის უბრალოდ გასწრებაც კი, დაკავებული ადგილის მიუხედავად, საგზურს მოუტანდა, ეს კი მათი წლევანდელი პაექრობებიდან გამომდინარე, სავსებით რეალური ჩანდა. ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი შავდათუაშვილი წლეულს გადმოვიდა უფროსებში და ჯერ მხოლოდ ოთხ სალიცენზიო ტურნირში იჭიდავა, ჯერ რეიტინგისთვის აუცილებელი ხუთი შეჯიბრებაც არ ჩაუმთავრებია, თუმცა კარგი ასპარეზობით ლიცენზიის მოპოვების მშვენიერი შანსი მაინც გაუჩნდა. თბილისისა და პრაღის მსოფლიოს თასების მოგების გარდა, მან წლეულს თბილისში პირად შეხვედრაშიც დაამარცხა ლატვიელი და 6-ქულიანი სხვაობით მიუახლოვდა. თუმცა ესეც დროებითია, რადგან საევროპოდ კოზლოვსს კიდევ დააკლდება 4 ქულა და მხოლოდ 2-ით იქნება წინ. 2 ქულას ქართველი ევროპაზე მხოლოდ მონაწილეობისთვისაც კი მიიღებს, თუმცა ახლა მოვლენები ისე განვითარდა, ეს კალკულაცია ლამის აზრს კარგავს.

## აფრიკა გამონაკლისია

კონტინენტთა რეგიონული პირველობები ბოლო სალიცენზიო შეჯიბრებებია, რომლებიც საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნით, ყველა კონტინენტზე ერთსა და იმავე დროს - 26-28 აპრილს ტარდება, თუმცა აფრიკა გამონაკლისია და იქ ახლა მიმდინარეობს.

ავადი აფრიკის პირველობაზე საბოლოოდ მესამეზე გავიდა და რეიტინგში მხოლოდ 72 ქულა შეიმატა. მას შარშან მოპოვებული 180 ქულა გაუნახევრდება და დარჩენილი 90 ქულა 50%-იანებში გადავა, ბოლო ერთწლიან მონაგარში კი საუკეთესო ხუთეულში იმ 180-ის ნაცვლად ახლანდელი 72 შევა. ამდენად, ახალი კალკულაციით მისი შედეგი 288-დან 270-მდე დავა და 10 ქულით ჩამორჩება პოლაცკის.

მოვლენათა ასეთ განვითარებას ძნელად თუ წარმოვიდგენდით, რადგან აფრიკაში ძიუდო ახლა იკიდებს ფეხს, თუმცა ეგვიპტე გამონაკლისია და არც მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსნები უკვირს. ავადი თითქოს ლიდერი ჩანდა იქაურებში, მაგრამ, ეტყობა, ტუნისელს ბევრად მეტი მოტივაცია გააჩნდა - ეგვიპტელს თუ რეგიონული კვოტა განაღდებული აქვს, მას აფრიკის ჩემპიონობა კონტინენტური კვოტით მოუტანდა საგზურს. ის ფინალში კი გავიდა, მაგრამ ჩემპიონობამდე მასავით აფრიკულ კვოტაზე მონადირე ლიბიელმა **აჰმედ იოუსეფ ელკავისენმა** არ მიუშვა.

**აფრიკული ტურნირის შემდეგ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ჩვენებურის ლიცენზიაზე პან-ამერიკისა და ოკეანიის პირველობები ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს. პან-ამერიკიდან 22-ში ამერიკელი** ბრედფორდ ბოლენი **შედის, რომელიც ავადის გამოვარდნის შემდეგ 21-ზე გადავა, თუმცა რაკი პოლაცკიც სალიცენზიო ზონაშია, მისი შედეგი ჩვენთვის ინტერესს კარგავს. სამაგიეროდ, მას შეიძლება, ოკეანიიდან ავსტრალიელმა** სტივენ ბრაუნმა **გადაუსწროს და 22-ში შევიდეს, ოლონდ საამისოდ ჩემპიონი უნდა გახდეს. ამ შემთხვევაში პოლაცკი ისევ გამოვარდება, თუ ევროპაზე წარმატებით არ იასპარეზა და ქულები არ შეიმატა. ბრაუნი ზედიზედ ორი წელიწადია, ოკეანიის პირველობაზე მეორეზე გადის. შარშანწინდელი 54 ქულა წლეულს გაუნულდება, თუმცა მის ნაცვლად შარშანდელის განახევრებით ისევ იმდენივე გადაუვა, წლევანდელ მონაგარს კი მხოლოდ ჩემპიონობის შემთხვევაში თუ გააუმჯობესებს. აი, ამ ვარიანტში გაუსწრებს ამერიკელს, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაში ქულებს დაკარგავს.**

## თეორიები და საფრთხე

თუმცა, რაც ზემოთ ითქვა, ეს მაინც თეორიებია, შავდათუაშვილს მთავარი საფრთხე კი ისევ ევროპიდან და... საკუთარი თავიდან თუ ემუქრება - უნდა შეძლოს მობილიზება და ევროპაზე არც ისე ძნელი ამოცანა წარმატებით გადაჭრას, რაც კოზლოვსზე მინიმუმ, ერთით მეტი წრის გავლას ნიშნავს.

ჩვენებურს კიდევ ერთი საფრთხე ჰოლანდიელ **იესპერ დე იონგისგან** ელოდება, რომელსაც მხოლოდ 12 ქულით უსწრებს, თუმცა ჰოლანდიელი ბოლო თვეებში ძალზე ცუდად ირჯებოდა. მთავარია, შავდათუაშვილმა იჭიდაოს წარმატებით და დე იონგი დიდი შედეგის მომპოვებელი არ ჩანს. აი, სხვა საქმეა, რომ ევროპის ძიუდოს კავშირის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე **იან სნაიდერსიც** ჰოლანდიელია - ეს გასათვალისწინებელი ფაქტორია. მოგეხსენებათ, შავდათუაშვილი ახლა გერმანიაშია ნაკრებთან ერთად ერთობლივ შეკრებაზე და როგორც გუნდის ხელმძღვანელობისგან ვიცით, გულმოდგინედ ემზადება ჩელიაბინსკისთვის. მის შანსებს ისიც ზრდის, რომ 22-ის ახლოს ძირითადად არაევროპელები ან ევროპის ის წარმომადგენლები არიან, რომლებსაც უკვე ჰყავთ წარმომადგენლები სალიცენზიო ზონაში. ამდენად, ისინი იქიდან პოლაცკის ვერ გამოაგდებენ.

**ირაკლი თავაძე**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

მშვილდოსნობა




# მადრიდიდან შანხაიში

საქართველოს მშვილდოსან ქალთა და ვაჟთა გუნდებმა დაასრულეს ერთთვიანი შეკრება მადრიდში, სადაც მასპინძელთა ნაკრებთან ერთად ივარჯიშეს. ჩვენების კორეელმა მთავარმა მწვრთნელმა **ან ჰეიუნ სანმა** ესპანეთში ქალებთან ერთად ვაჟების წაყვანაც გადაწყვიტა, რადგან მათი პროგრესით კმაყოფილია და სურს, ისინი სალიცენზიო შეჯიბრებებშიც გამოიყვანოს.

ჩვენი გუნდები სამი დღეა, რაც დაბრუნდნენ მადრიდიდან, თუმცა სამშობლოში დიდხანს გაჩერება არ უწერიათ - ამ საღამოს შანხაიში გაფრინდებიან, სადაც 10-15 აპრილს მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი იმართება. იქ ქალებთან ერთად ვაჟებიც მიდიან. კორეელის გადაწყვეტილებით ქალთა გუნდში ოთხი მშვილდოსანი შევიდა: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე** და **ნათია ცინცაძე**, ვაჟთა ღირსებას კი **თორნიკე რიჟამაძე, ირაკლი ქვლივიძე** და **ლაშა ფხაკაძე** დაიცავენ. აღსანიშნავია, რომ ეს ტრიო [illegible] მაგრამ სამივე მათგანი ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია. კორეელი მადრიდიდან მათი გარჯით კიდევ უფრო კმაყოფილი დაბრუნდა და აღნიშნავს, რომ ამ ბიჭებმა საგრძნობლად მოუმატეს. შედეგად, უახლოეს შეჯიბრებებში ქალებთან ერთად მათი წასვლაცაა დაგეგმილი - 1-6 მაისს ორივე გუნდი ანთალიაში გამოვა მსოფლიოს თასის მეორე ეტაპზე, 21-26 მაისს ამსტერდამში ევროპის ჩემპიონატზე ისვრიან, 18-24 ივნისს კი ამერიკულ ოგდენში მსოფლიოს თასის მესამე ეტაპზე იასპარეზებენ. სეზონის მთავარი შეჯიბრებაც ამერიკული ასპარეზობაა, სადაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურები გაიცემა - გუნდურ ჩათვლაში სამეულში შესვლაზე. ლიცენზიები ამსტერდამულ ევროპირველობაზეც გათამაშდება, ოღონდ მასში ჩვენგან მხოლოდ ვაჟები თუ გამოვლენ, ქალთა ნაკრებს კი რაკი ერთი საგზური უკვე აქვს (შარშან მსოფლიოსზე ესებუამ მოიპოვა), მონაწილეობა ეკრძალება. ამდენად, ვაჟებს თუ ორი შანსი ეძლევათ, ქალებს ტურინში მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე უნამუსოდ წართმეული ლიცენზიების დაბრუნება მხოლოდ ოგდენში შეუძლიათ.

შანხაიში ოფიციალური ვარჯიში 10 აპრილს გაიმართება, საკვალიფიკაციო ეტაპი კი 11-ში ჩატარდება. მაშინვე გაირკვევიან პლეი ოფებისა და გუნდურ ტურნირის მონაწილეები. 12-ში პირადი პირველობის პლეი ოფები ჩატარდება და მედლებისთვის მებრძოლები გამოვლინდებიან. 13 აპრილს შეჯიბრება შერეულ წყვილებსა და გუნდურ ასპარეზობებში გაიმართება და იქაც მედლებისთვის მებრძოლ წყვილებამდე მივა საქმე, ფინალები კი 14-15 აპრილს ჩატარდება. ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ გუნდი დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გამართავს ორკვირიან შეკრებას, რომლის დასრულების შემდეგაც ანთალიაში გაემგზავრებიან.

დასასრულს გეტყვით, რომ უკვე თბილისშია **იულია ლობჟანიძე**, რომლის უკრაინიდან გადმობარგების პროცესი საბოლოოდ დასრულდა. უახლოეს დღეებში ფედერაცია საქართველოს ხელისუფლებასაც მიმართავს მისთვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, თავად ლობჟანიძე კი ჩვენს გუნდთან ერთად შეუდგება ვარჯიშს.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი



# მასპინძლებმა აზიის ჩემპიონებს სძლიეს

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ სტარტი აიღო ჭაბუკ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა სახელოვანი ქართველი სპორტსმენის, მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან და საბჭოთა კავშირის ჩემპიონ **ნოდარ გვახარიას** თასზე. შეჯიბრებას შარშან ჩაეყარა საფუძველი. მაშინ მთავარი პრიზი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. ტურნირში წლეულსაც ოთხი გუნდი ჩაება — საქართველო, თურქეთი, ბელარუსი და ყაზახეთი. გუშინ ორი მატჩი გაიმართა.

**ბელარუსი — თურქეთი 9:16**

**(1:5, 3:2, 2:4, 3:5)**

**ბელარუსი: კისიალაუ, დანილკევიჩი, შაპურაო (2), პანინი, იერემჩუკი, შალამიტსკი (3), ტუმასი (1), სავჩუკი, კანივსკა, მარტსულევიჩი, ხრუპაშოვი, მელნიკი (1), შაკურა (2). მთავარი მწვრნთელი ფროლოვი**

**თურქეთი: ორდემისი, ქამალი, იკრიზი (1), აზერი (2), ეიმსეკი (2), იამანი, ოგუზი, ბილენი, გონოლი (1), ალბაირაკი (5), ორბაკისი (4), გოლაკი (1), გუნუე, მთავარი მწვრთნელი ორპურაკი.**

ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად თურქეთის ჭაბუკთა ნაკრებსაც მიიჩნევენ. ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა ეს გუშინდელ მატჩშიც დაამტკიცეს. პაექრობა მათი იერიშებით დაიწყო და მე-2 წუთზე ორბაკისმა ანგარიში გახსნა. მალევე ალბაირაკმა და გონოლმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. პირველი პერიოდის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე ბელარუსებმა ერთი გოლი გაქვითეს, მაგრამ თურქებმა პირველ შესვენებამდე ოთხბურთიანი სხვაობის აღდგენა შეძლეს — 5:1. სლავებმა მეორე რვაწუთიანი მონაკვეთი 3:2 მოიგეს, თუმცა მატჩის თავიანთ სასარგებლოდ შემობრუნება მაინც ვერ მოახერხეს და დამარცხებულებმა დატოვეს სარბიელი — 9:16.

**საქართველო-ყაზახეთი 15:6**

**(5:1, 4:1, 4:2, 2:2)**

**საქართველო: ინწკირველი, ჩიკვაიძე (1), რევია, იმნაიშვილი (1), გაბადაძე (3), ბითაძე (4), ჯახაია (3), თუხარელი, კახეთელიძე, ყაზახიშვილი (2), ჩომახაშვილი, კაკულია (1), ციხელაშვილი, მთავარი მწვრთნელი პოპოვიჩი.**

**ყაზახეთი: სუხოპაროვი, საფიულინი, იეშპაიევი, გოდოვანჩუკი (1), აუბაკიროვი, ბაბენკო, მუდრიკი (1), ბერბელიუკი (2), კარმანოვი, ჩერსანოვი, ალტაიევი (1), ცოი (1), კლიმანი, მთავარი მწვრთნელი კნეზევიჩი.**

ყაზახეთში წყალბურთი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მიიჩნეოდა წამყვან სპორტის სახეობად. ახლაც ასეა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ მათი ეროვნული ნაკრები აზიის ორგზის ჩემპიონია. უფროსებს არც ჭაბუკები ჩამორჩებიან, რომლებსაც ჩერნოგორიელი სპეციალისტი წვრთნის. შარშან მათაც კონტინენტის პირველობა მოიპოვეს და თბილისის ტურნირზეც დიდი ამბიციებით ჩამოვიდნენ, მაგრამ ასპარეზობის სტარტზევე შუააზიელთა ოცნებას ცივი შხაპი გადაესხა. შეხვედრა მასპინძლების იერიშით დაიწყო და პირველსავე წუთზე ამ მატჩში შესანიშნავად მოთამაშე **ანდრო ბითაძემ** ანგარიში გახსნა. ყაზახები მაშინვე მოეგნენ გონს და სამი წუთის განმავლობაში რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს ინწკირველის კარს, ბერბელიუკმა წონასწორობაც კი აღადგინა. თითქოს ამას ელოდნენო, ქართველმა წყალბურთელებმა აქედან დაიწყეს სტუმართა რბევა – პირველი პერიოდის დარჩენილ 4 წუთსა და მეორე რაუნდის 6 წუთში რვა უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. შესვენებამდე წუთით ადრე მუდრიკმა მეორე ბურთი მოათავსა ჩვენს კარში – 9:2.

მატჩის მესამე-მეოთხე პერიოდები მეტი სიმწვავითა და დაძაბულობით გამოირჩეოდა, მეტოქეები ცდილობდნენ, უფრო რაციონალურად გამოეყენებინათ საგოლე მომენტები. ბოლო რვაწუთიან მონაკვეთში ქართველი წყალბურთელები მეტ ყურადღებას მეტოქეთა იერიშების გაუვნებელყოფას აქცევდნენ, ამიტომაც მე–4 პერიოდი ფრედ – 2:2 დამთავრდა. საბოლოოდ მასპინძლებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს შუააზიელები – 15:6.

პირველი დღის ორთაბრძოლებმა დაგვარწმუნა, რომ მთავარი პრიზის მფლობელის ვინაობა კვირას საქართველო-თურქეთის მატჩში (12.00 სთ) გადაწყდება. დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **თურქეთი-ყაზახეთი** (13.00), **საქართველო-ბელარუსი** (14.30).

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ქართული სპორტი

### არა არს რა დაფარული...

ალექსანდრე ჯინორიძის რუბრიკა

# მსაჯი ყოველთვის მართალია

1956 წლის 16 აგვისტოს 18 საათი. მოსკოვის ლენინის სახელობის სტადიონზე სრული ანშლაგია-102000 მაყურებელი. ტარდება საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება-საფეხბურთო ტურნირის ფინალი: მოსკოვი-საქართველო, ანუ მაშინდელი თბილისის 'დინამო'გასვლით მატჩს ეთამაშება სსრკ-ს ნაკრების საბაზო გუნდს, რომელმაც ცოტა ხნით ადრე მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია დაამარცხა და 4 თვის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი გახდება.

მთავარი მსაჯი ლენინგრადელი ბელოვია.

პირველი ტაიმი 1:1 დამთავრდა. ახალგაზრდა სტრელცოვის მოედანზე ყოფნის მიუხედავად, სტუმრები ტექნიკურად ბევრად სჯაბნიან მასპინძლებს.

75-ე წუთი, ე. სტრელცოვმა თბილისელთა კარისკენ დაარტყა, მ. პირაევი გადახტა, მაგრამ ბურთს არ შეხებია. ბურთი ჰაერში 'ჩაიჭრა' და თითქმის ერთი წამით უყურადღებოდ მიტოვებულ ბურთს ვიდრე საქართველოს ნაკრების იქვე დაცემული მეკარე დაეუფლებოდა, მიუსწრო ა. ილინმა და გამარჯვების გოლი გაიტანა./ვ. მამულიაშვილი, 'დიდი ფეხბურთის მოედნებზე', თბილისი. 1957წელი/.

გავიდა 30 წელი, აი რა უამბო იმ ფინალის მონაწილე ქართველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ზაურ კალოევმა**, კინორეჟისორ **ალექსანდრე ჟღენტს**, როდესაც იგი ფილმს 'გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!' იღებდა: „მინდორზე გასასვლელად ვემზადებოდით, გვერდით ცნობილმა მსაჯმა ლატიშევმა ჩამიარა, ხელი მთავრობის ლოჟისკენ გაიშვირა და მითხრა: ხედავ, ვინ ზის იქ?

ვხედავ-თქო ვუპასუხე. ლოჟაში ხრუშჩოვი იჯდა. ხვდები, დღეს ვინ უნდა მოიგოს? დაასრულა სათქმელი 1962 წლის მსოფლიოსჩემპიონატის ფინალური მატჩის მომავალმა მსაჯმა და ტრიბუნების წინ ჩამწკრივებული ჯარისკაცების ზურგს ამოეფარა".

### ჭადრაკი

# სანიკიძე ლიდერებშია

შტუტგარტთან ახლოს დაიციზაუში გრძელდება მოჭადრაკეთა ნეკარის მე-16 საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდია 15.000 ევრო. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის - 24 დიდოსტატი. რეიტინგფავორიტები არიან 2700-იანთა კლუბის წევრები - ფრანგი **ეტიენ ბაკრო** (2706) და მასპინძელი **არკადი ნაიდიჩი** (2702). საპრიზო ადგილებისთვის ოთხი ქართველიც იბრძვის: დიდოსტატები - საქართველოს ექსჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე, კონსტანტინე შანავა,** გერმანიის სახელით მოასპარეზე **დავით ბარამიძე** და თბილისელი საერთაშორისო ოსტატი **დავით ლობჟანიძე.**

უკვე გათამაშდა სამი ტური. ლიდერთა შორისაა თორნიკე სანიკიძე, რომელმაც ზედიზედ სამი პარტია მოიგო. გაუწყებთ რეიტინგფავორიტთა და ჩვენებურთა შეხვედრების შედეგებს ტურების მიხედვით:

**I ტური.** პაულ დემელი-ეტიენ ბაკრო 0:1, არკადი ნაიდიჩი-მარკუს ბრენერი 1:0, თორნიკე სანიკიძე-რადეკ თურნერი 1:0, ანდრეას დიურინგი-კონსტანტინე შანავა 0:1, ჰეინრიხ ლიურხერი-დავით ლობჟანიძე 0.5:0.5, კამილე დე სერიუსი-დავით ბარამიძე 1:0.

**II ტური.** სიან ჟოუ-ნაიდიჩი 0.5:0.5, ბაკრო-მატიას ბურხოვსკი 1:0, ბარამიძე-დავიდ ჰიუფერი 1:0, ალექსანდერ პილვერდა-სანიკიძე 0:1, შანავა-კლაუს ზეიერი 1:0, ლობჟანიძე-ალდო ჰართლი 0.5:0.5.

**III ტური.** დენის ვაგნერი-ბაკრო 0:1, ნაიდიჩი-პატრიკ ჩანდლერი 1:0, რუსლან კურაიანი-ბარამიძე 0.5:0.5, სანიკიძე-ჰენრი გოჰილი 1:0, ანდრეას სტრუნსკი-შანავა 0.5:0.5, მაქს ვან დენ ჰასენედი-ლობჟანიძე 0:1.

ნეკარის ტურნირზე შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

### მილოცვა

## ომარ მიქელთაძე 70 წლისაა



თუ გინდა ბედნიერი იყო, იყავ კეთილისმყოფელი.

*ვეისი*

### ჩვენო ომარ!

მოგესალმებით ამ ღირსშესანიშნავ დღეს, როგორც მამულიშვილს, კოლეგასა და მრავალი უანგარო სიკეთის მთესველს.

დიდია შენი დამსახურება ქალაქ ქუთაისის, მთელი ქართული სპორტის წინაშე. დაუღალავ შრომაში, მუდამ გარჯასა და სიკეთის ქმნაში გაირბინეს წლებმა. ძმობის, ერთგულების, ვაჟკაცობის გრძნობითაა განმსჭვალული მთელი შენი ცხოვრება, შენ ყოველთვის იძლეოდი მიმტევებლობის, კეთილშობილების, გაჭირვებაში მხარში მდგომის სანიმუშო მაგალითს.

დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას გისურვებთ შენს დიდ ოჯახთან ერთად. სულის სიმხნევე და იმედიანი განწყობილება ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ჩვენო ომარ!

*ვახტანგ ბალავაძე, როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, გურამ სალარაძე, ზარზეგ ბერიაშვილი, ვლადიმერ კანკავა, დავით ხახალეიშვილი, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ აფხაზავა, თემურ ხითარიშვილი, გურამ ძაგანია, გივი კახაბრიშვილი, ვასილ საგანელიძე, ბიჭიკო მარიდაშვილი, თამაზ მაჭავარიანი, ბაქსან ლეკვეიშვილი, მირზა საკანდელიძე, გიტო შეყრილაძე, ჯემალ ბალანჩივაძე, გურამ ლორთქიფანიძე, ბორია ქვირია, ნოდარ გულიაშვილი, ბათუ კანკავა, რეზო კარტოზია.*

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

### ოლიმპიური ფილატელია










### პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** პოლონელი მრბოლი, რომელმაც ფორმულა 1-ის ბაჰრეინის გრან-პრი მოიგო, იყო უილიამსის პილოტი **რობერტ კუბიცა**. ეს მოხდა 2008 წლის 9 აპრილს.

■ ■ ■

**პირველმა** იტალიაში (ქ. გენუაში) საფეხბურთო სექცია გახსნა ინგლისელმა ექიმმა **ჯეიმს რიჩარდსონმა** 1897 წელს.

■ ■ ■

**პირველად** სამხტომი თანამედროვეობის პირველსავე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს 1896 წ. გაიმარჯვა ამერიკელმა **ჯეიმს კონოლმა.**

### ვიქტორინა

**1. 1962 წელს რომელი ქვეყნის ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები ეწვია თბილისს ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად?**

ა — იაპონიის

ბ — საფრანგეთის

გ — ჰოლანდიის

**2. სად მოიპოვა თავისი პირველი ტიტული მოჭადრაკე გარი კასპაროვმა 1976 წელს ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე?**

ა — მოსკოვში

ბ — ერევანში

გ — თბილისში

**3. ბრიტანეთის იმპერიის რაინდის (სერ) წოდება ფეხბურთელთაგან პირველს მიენიჭა:**

ა — გარი ნევილს

ბ — სტენლი მეტიუზს

გ — ბობი ჩარლტონს

**4. სად ცხოვრობდა საბჭოთა სპორტული დელეგაცია მელბურნის 1956 წლის ოლიმპიური თამაშების დღეებში?**

ა — ოლიმპიურ სოფელში

ბ — 12 სხვადასხვა სასტუმროში

გ — თბომავალ „გრუზიაზე"

**5. რომელია დედამიწის რიგით მეათე 8 ათასიანი მწვერვალი?**

ა — ანაპურნა

ბ — მაკალუ

გ — ჩო ოიუ

პასუხები: 1 — ბ, 2 — ბ, 3 — ბ, 4 — ბ, 5 — ა.

### ნაკლებად ცნობილი თამაშები

# ვოლატა

**ვოლატა** ფეხბურთის, რაგბისა და კალათბურთის ეკლექტიკური ნაზავია. სპორტის ეს სახეობა 1928 წელს გამოიგონა იტალიის ფაშისტური ეროვნული პარტიის გენერალურმა მდივანმა, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა აუგუსტო ტურატიმ, რომელიც მუსოლინის შემდეგ მნიშვნელობით მეორე პოლიტიკოსი იყო ქვეყანაში. მას სურდა ინგლისური წარმოშობის ფეხბურთი ეროვნულ იტალიურ თამაშს შეეცვალა. ვოლატაში ასპარეზობს 2 გუნდი. თითოეულში 8-8 წევრია (1 მეკარე, 2 მცველი, 3 შუა ხაზის მოთამაშე, 2 თავდამსხმელი). თამაში ნებადართულია როგორც ხელით, ისე ფეხით, მაგრამ ბურთის ფლობა მხოლოდ 3 წამს შეიძლება. შეხვედრა გრძელდება 60 წუთს და სამ 20-20-წუთიან პერიოდად იყოფა. კარის სიმაღლეა 2,44 მ, სიგანე — 5 მ. მოედნის სიგრძეა 60-90 მ, სიგანე — 40-60 მ. თანამედროვე ხელბურთის მსგავსად, ვოლატაში ბურთის კარში დარტყმა მხოლოდ მეკარის მოედნის გარედან შეიძლება. ნებადართულია მეტოქის შებოჭვა ბურთის წართმევის მიზნით. მცველებს მეტოქის მოედანზე გადასვლის უფლება არა აქვთ. კუთხურს ხელით აწვდიან. იმარჯვებს გუნდი, რომელიც მეტ გოლს გაიტანს.

1930 წელს დაფუძნდა ვოლატას ფედერაცია, ჩამოაყალიბეს 1000-ზე მეტი გუნდი, დაიწყეს იტალიის ჩემპიონატების გამართვა. ვოლატა გამოცხადდა ყველაზე ფაშისტურად ყველა სპორტს შორის, მაგრამ, ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, თამაშმა ხალხში ნამდვილი პოპულარობა ვერ მოიპოვა და ფეხბურთს რეალური კონკურენცია ვერ გაუწია. 1936 წლის შემდეგ ვოლატაში იტალიის ჩემპიონატი აღარ გამართულა.



### თარიღი 7-13 აპრილი

**07. 1983 წ.** დაიბადა **ფრანკ რიბერი** — ფეხბურთი (საფრანგეთი).

**07. 1895 წ.** შვეიცარიაში დაარსდა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია.

**08. 1920 წ.** დარეგისტრირდა ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი „ტილბურგი".

**08. 1950 წ.** დაიბადა **გჟეგოჟ ლიატო** — ფეხბურთი (პოლონეთი)

**09. 1978 წ.** დაიბადა **ჟორჟე ანდრადე** — ფეხბურთი (პორტუგალია).

**09. 1980 წ.** დაიბადა **იერკო ლიეკო** — ფეხბურთი (ხორვატია).

**10. 1887 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „გრონინგენი" (ჰოლანდია).

**10. 1985 წ.** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისთვის ახალი ჯილდო 53 პროექტიდან შეირჩა. ჟიურიმ მოიწონა **სილვიო გაცინგის** ნამუშევარი. „ფიფას მსოფლიო თასი" დამზადდა ბაჯაღლო ოქროსგან (წონა 4970 გრ. სიმაღლე 36 სმ).

**11. 1916 წ.** დაიბადა **გრიგორ ფედოტოვი** — ფეხბურთი (სსრკ). მის სახელს ატარებს ბომბარდირთა კლუბი. გარდაიცვალა 1957 წელს.

**12. 1941 წ.** დაიბადა **ბობი მური** — ფეხბურთი (ინგლისი).

**12. 1949 წ.** დაიბადა **ოტმარ ჰიტცფელდი** — ფეხბურთი, მწვრთნელი (შვეიცარია).

**13. 1960 წ.** დაიბადა **რუდი ფიოლერი** — ფეხბურთი (გერმანია).

**13. 1963 წ.** დაიბადა **გარი კასპაროვი** — ჭადრაკი (რუსეთი).

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

### კვიმატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● სუპერლიგის „ოლ სტარი“




# სიახლე ვარსკვლავთა ისტორიაში: საქართველო VS ლეგიონი



გიორგი ზაბახიძე.

დღეს 13 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში სუპერლიგის ვარსკვლავთა მატჩი გაიმართება. პირველად ქართული „ოლ სტარების“ ისტორიაში ქართველთა გუნდი ლეგიონერებს დაუპირისპირდება. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან წლეულს სუპერლიგაში მაღალი დონის უცხოელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

ვარსკვლავთა მატჩთან დაკავშირებით გუშინ სპორტის სასახლის საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც სუპერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი ზაბახიძემ** 2012 წლის „ოლ სტარზე“ ილაპარაკა:

*- მიმდინარე სეზონის ვარსკვლავთა მატჩი წინა წლებისგან განსხვავებული იქნება. ადგილობრივი გუნდი ლეგიონერთა კრებულს დაუპირისპირდება. „ოლ სტარის“ მატჩი-აქციის მონაწილეთა გამოსავლენი გამოკითხვა სუპერლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.superleague.ge) 6 აპრილის 18:00 საათიდან 26 აპრილის 23:00 საათამდე გასტანს. ქართველ მოთამაშეებს „არმიას“ მწვრთნელი კოტე ტულუში უთავკაცებს, ლეგიონერთა გუნდს — „შსს აკადემიის“ დამრიგებელი გიორგიოს კეცელიდისი.*

ხმის მიცემის პროცედურა მარტივია: ერთ მხარეს თავს მოიყრიან ქართველი მოთამაშეები, მეორე მხარეს - უცხოელი კალათბურთელები. გამოკითხვაში მონაწილე გულშემატკივარმა უნდა აირჩიოს სასტარტო ხუთეულები (2 უკანახაზელი, 2 ფორვარდი და 1 ცენტრი) და ხმა მისცეს საკუთარ ვერსიას.

როგორც წესი, თითოეული გუნდის განაცხადში 12 მოთამაშეა. ამიტომ დარჩენილ 7-7 მოთამაშეს მწვრთნელები საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩევენ.

ვარსკვლავთა მატჩთან ერთად ჩატარდება კონკურსები სამქულიან სროლებსა და ბურთის ჩატენვებში. სნაიპერთა კონკურსში მონაწილეობას ის მოთამაშეები მიიღებენ, რომლებსაც მიმდინარე სუპერლიგის გათამაშებაში სამქულიანების რეალიზების საუკეთესო პროცენტული მაჩვენებლები აქვთ. რაც შეეხება ჩატენვებს, აქ მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

● სუპერლიგა. XXI ტური

# ესეც სუპერლიგა
## მწვრთნელნაკლულნი

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში საინტერესო თამაშები ვიხილეთ, მაგრამ წერა მწვრთნელების თემით უნდა დავიწყოთ: ოთხი მატჩის მონაწილე სამ გუნდს მთავარი მწვრთნელი არ გაუძღვა. „სამედიცინოსა“ და სტუ-ს თავკაცები, შესაბამისად, **კახა შენგელია** და **ზურაბ ტომარაძე** დარბაზში ავადმყოფობის გამო არ იყვნენ. „სოხუმის“ მწვრთნელი **რიმვიდას სამულენასი** კი ლიტვაში გაფრინდა და მთავარი მწვრთნელის სტატუსი **ვაჟა კვარაცხელიას** დაუბრუნდა.

დაბრუნებასთან დაკავშირებით: ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ითამაშა თსუ-ს უკანახაზელმა **ბექა ჩიკვილაძემ** და კალათბურთს მოწყურებულმა დიდი წვლილი შეიტანა ფავორიტი „შსს აკადემიას“ დამარცხებაში. ჩიკვილაძემ 28 ქულა და 5-5 პასი-ჩაჭრა მიითვალა. ტურის საუკეთესოობაც არავის დაუთმო.

6 აპრილი. თბილისი

სპორტის სასახლე

**დინამო-სტუ 102:81**

28:16, 20:16, 24:22, 30:27

**დინამო:** ლეჟავა (14ქ, 6მ, 6პ), ლომიძე, კეიდია (12ქ, 5მ), ალხანაიძე (8ქ), მეხრიშვილი (2ქ), ზეჩევიჩი (16ქ, 7მ), ოლუიჩი (19ქ, 18მ, 3პ, 6დ), კარტერი (30ქ, 15მ, 3პ, 4ჩ).

**სტუ:** ტეტელაშვილი (9ქ, 7პ), თევზაძე, ჭოხონელიძე, ხანიაშვილი (28ქ, 6მ), კობიძე (2ქ, 6მ), ახლაია, დეკანოიძე, ძიძიგური (7ქ, 4პ), კოპალიანი (7ქ), ნოზაძე (13ქ), ანთაძე (15ქ, 5მ, 3ჩ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი.

თუ სტუ-ს მთავარი მწვრთნელი აკლდა, „დინამომ“ ორი ნამდვილი კალათბურთელის გარეშე იასპარეზა: **ბექა ნივნივაძის** და **დუდა სანაძის**. მათი უთამაშებლობის მიზეზებზე გუნდის მწვრთნელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა, აქ კი მოგახსენებთ, რომ **ქიენ კარტერისა** (15 მოხსნა) და **მილან ოლუიჩის** (18 მოხსნა, 6 დაფარება) დამსახურებით „დინამომ“ ახალგაზრდა მეტოქეს ფარქვეშ დიდი უპირატესობით აჯობა: მოხსნებში 51:30, ხოლო სამწამიანი ზონიდან 60 ქულა მოაგროვა, მაშინ როცა იმავე ადგილიდან მხოლოდ 18 ქულა გაუშვა.

**ირაკლი ხოშტარია** („დინამოს“ მწვრთნელი):

- გუნდში გარკვეული ცვლილებები იყო და როგორც შევძელით ისე ვითამაშეთ. კმაყოფილი არ ვარ, რადგან საკუთარ კალათში ბევრი ბურთი მივიღეთ. გადავწყვიტე სანაძე დამესვენებინა, რაც შეეხება ნივნივაძეს, იგი „დინამოს“ წევრი აღარ არის. გუნდის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, კონტრაქტი შეუწყდა.

**გია ტეტელაშვილი** (სტუ-ს მეორე მწვრთნელი):

- სტუ-ს მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე შეუძლოდაა და დღეს გუნდთან ერთად არ იყო. ვფიქრობ, ამ ფაქტმა გარკვეული გავლენა იქონია. რაც შეეხება მატჩს, „დინამომ“ ჩვენზე უკეთესად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**გიორგი ტეტელაშვილი** (სტუ):

- ეს იყო ჩვენი ბოლო შანსი პლეი ოფში გასვლისა, მაქსიმალური მობილიზების მიუხედავად, სამწუხაროდ, დავმარცხდით.

**ოლიმპი-სამედიცინო 96:76**

27:11, 20:27, 25:23, 24:15

**ოლიმპი:** გამყრელიძე (9ქ, 12პ, 5მ, 3ჩ), გულისაბედაშვილი (5ქ), მილუტინოვიჩი (13ქ, 9მ), მ. ბერიშვილი (8ქ, 5მ, 5პ), სლიუკა (7ქ), ტუტუსი (11ქ, 3პ), ცინცაძე (14ქ, 11პ, 7მ), ტოდოროვიჩი (9ქ), ჰოგერი (16ქ, 10მ).

**სამედიცინო:** ტომარაძე (9ქ, 10მ), პირველაშვილი (2ქ), გაბისონია, აბაიშვილი (3ქ, 5მ), ჭოჭუა (18ქ, 5მ, 3პ, 3დ), ილიჩი (9ქ, 7მ), დვალიშვილი (15ქ, 13მ, 5პ), ფერიაშვილი, სამოილოვიჩი (15ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი.

„ოლიმპს“ სეზონის რეკორდის გამეორებამდე ორი პასი დააკლდა. ერთ მატჩში მოგროვილი შედეგიანი გადაცემების მიხედვით „არმია“ ლიდერობს - 38. „ოლიმპმა“ „სამედიცინოსთან“ 36 პასი შეასრულა, საიდანაც 23 ლაშა გამყრელიძისა და გიორგი ცინცაძის ანგარიშზე იყო.

„მედიკოსების“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტანმაღალ „ოლიმპს“ მოხსნებში არათუ ჩამორჩა, აჯობა კიდეც - 49:47. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა პირველივე მეოთხედში მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნეს და 96:76 გაიმარჯვეს.

**თემურ აბულაძე** („ოლიმპის“ მეორე მწვრთნელი):

- კმაყოფილი ვარ დღევანდელი თამაშით. თავად განსაჯეთ: შედეგიან გადაცემებში ორი მოთამაშე გადასცდა 10-იან ზღვარს. ბიჭებმა ჩინებულად ითამაშეს.

**თენგიზ ფიცხელაური** („სამედიცინოს“ მეორე მწვრთნელი):

- გუნდის თავკაცი კახა შენგელია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დღეს გუნდს ვერ გაუძღვა... რაც შეეხება მატჩს, მეტოქემ შესანიშნავად ითამაშა.

**არმია-სოხუმი 89:69**

19:30, 21:10, 18:18, 31:11

**არმია:** რიჩარდსონი (14ქ, 6მ), ბოისა (9ქ), კვიმსაძე, ტომასი (16ქ, 7მ), შელბომი (10ქ, 7მ, 5დ), დიასი (17ქ), ვუდსაიდი (19ქ, 10პ, 9მ), საყვარელიძე (4ქ).

**სოხუმი:** ფარლალავა (8ქ, 5პ, 5მ), როგავა (4ქ), ჩლაიძე (5ქ), ჩაჩიბაია (4ქ), ათუაშვილი (15ქ, 9მ), ფაცაცია (21ქ, 5მ, 4პ, 3ჩ), გაფრინდაშვილი, ქადარია, ჯგერენაია (12ქ, 6მ), ჯანაშია.



ოლიმპი-სამედიცინო. ლაშა გამყრელიძემ 12 პასი შეასრულა



არმია-სოხუმი. ბურთით ანატოლი ბოისა

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ზ. მაჩალაძე.

მოტივაცია, ფაცაცია... ამ ორი ფაქტორის გამო „არმია“-“სოხუმის“ მატჩის მიმოხილვას ნაგებული გუნდით ვიწყებთ. ბევრისთვის მოულოდნელად სოხუმელებმა ჩემპიონატის ფავორიტს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მეორე პერიოდში 13 ქულითაც დაწინაურდნენ, ხოლო მეოთხე ათწუთეულის წინ ტაბლოზე 58:58 ეწერა. გადამწყვეტ რაუნდში სოხუმელებს ძალა აღარ ეყოთ. მათმა ფორვარდმა **ლევან ფაცაციამ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა მაღალი კლასი. იგი ბურთსაც კარგად ათამაშებდა, დრიბლინგებსაც შედეგიანად ასრულებდა და 6-დან 3 სამქულიანიც ჩააგდო.

„არმიაში“ კი ტრავმის მოშუშების შემდეგ საუკეთესო თამაში ჩაატარა **გილერმო დიასმა** (17 ქულა), გამთამაშებელ **ბენ ვუდსაიდს** სამმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა (19 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა).

**კოტე ტულუში** („არმიას“ მწვრთნელი):

- განვლილი ორი მატჩი, „ბათუმთან“ და „რუსთავთან“ არცთუ კარგად ჩავატარეთ. შეიძლება ითქვას, გუნდს გარკვეული ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ სპორტში ასეთი შემთხვევები ხშირია და კვლავ აღმასვლის გზაზე ვართ. ამის მაგალითი დღევანდელი მატჩია. მადლობა „სოხუმს“ რომელმაც ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია და კარგი კალათბურთი აჩვენა.

**ვაჟა კვარაცხელია** („სოხუმის“ მწვრთნელი):

- „არმია“ ძლიერი გუნდია და კმაყოფილი ვარ მის წინააღმდეგ ჩვენი ბიჭების თამაშით. მითუმეტეს, რომ ბოლო დროს გუნდში არცთუ სახარბიელო ვითარება გვქონდა. მოგეხსენებათ, მწვრთნელი, რიმვიდას სამულენასი კლუბიდან წავიდა... მიუხედავად ამისა ბიჭებმა ბრწყინვალე თამაში აჩვენეს, სამი პერიოდი მეტოქეს თანაბრად ვებრძოლეთ.

**თსუ-შსს 77:65**

21:18, 22:21, 18:11, 16:15.

**თსუ:** კოხრეიძე (7მ), ჩიტაშვილი (17ქ, 6მ, 3პ, 3ჩ), ხიზანიშვილი (3ქ), შერმადინი (2ქ), ჩქარეული (24ქ), ბაქრაძე (1ქ, 3პ), ჩიკვილაძე (28ქ, 5პ, 5ჩ), ვ. ბერუაშვილი (2ქ).

**შსს:** მუდი (10ქ), ლაფანაშვილი (1ქ), ბოქოლიშვილი (12ქ, 3პ), ნიკოლაძე (5ქ, 3პ), ლონდარიძე (5ქ, 5მ), თენიეშვილი (2ქ), ტრეპალოვაცი (3ქ, 6მ), ბექაური (12ქ, 14მ), იმნაძე (8ქ, 9მ), ტაბსი (7ქ, 3ჩ).

**მსაჯები:** ს. საინერისი, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

ისევე როგორც „სოხუმი“ „არმიასთან“, თსუ „შსს აკადემიასთან“ სათამაშოდ სათანადოდ მოემზადა და შედეგიც მოიმკო. სტუდენტებს **თორნიკე ნინიაშვილი** აკლდათ, თუმცა მასაც რომ ეთამაშა, ფარქვეშ აკადემიელებთან უპირატესობას მაინც ვერ მოიპოვებდნენ. ამიტომ აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე გააკეთეს და სარეკორდო 41 სამქულიანი სტყორცნეს, საიდანაც 15 ჩააგდეს. საპირისპიროდ, ფარქვეშ დიდი უპირატესობა ჰქონდა შსს-ს - სამწამიანი ზონიდან 40 ქულა მოაგროვა (18-ის წინააღმდეგ).

საბოლოოდ რომელმა სტრატეგიამ გაამართლა, ანგარიშიდანაც ჩანს. ჩიკვილაძის გვერდით გამოსარჩევია **ვახტანგ ჩქარეულისა** და **მიხეილ ჩიტაშვილის** შედეგიანობა. შსს-დან კი 12-12 ქულა **მერაბ ბოქოლიშვილმა** და **ბექა ბექაურმა** მოაგროვეს. გუნდს ვერ დაეხმარნენ ტრავმირებული **ტრეისი სმიტი** და **ლარი ბლერი**.

**გიორგიოს კეცელიდისი** („შსს აკადემიას“ მწვრთნელი):

- მარცხი ჩემი ბრალია და არა მოთამაშეების. მათი გარჯით კმაყოფილი ვარ, ბოლომდე დაიხარჯნენ და ყველაფერი გააკეთეს რაც შეეძლოთ.

**ნუგზარ ჭეიშვილი** (თსუ-ს მწვრთნელი):

- ის შრომა, რომელიც ბოლო ერთი კვირის მანძილზე გავწიეთ, დაგვიფასდა. კალათბურთელებმა დავალებები ბრწყინვალედ შეასრულეს და დაივიწყეს წინა ტურში „რუსთავთან“ მარცხი. ხისტი დაცვით მეტოქის მაღალ კალათბურთელებს ფარქვეშ მუშაობის საშუალება არ მივეცით.

**ვახტანგ ჩქარეული** (თსუ):

- მინდა სიხარული გამოვხატო ბექა ჩიკვილაძის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომელმაც ერთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ შესანიშნავად ითამაშა.

**მერაბ ბოქოლიშვილი** („შსს აკადემია“):

- ისეთი შეცდომები დავუშვით, რომელიც აქამდე არც ერთ მატჩში არ გვქონია. ალბათ, საკმარისად მობილიზებულნი არ ვიყავით.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 19 | 19 | 0 | 1737/1230 | 38 |
| 2. ოლიმპი | 19 | 16 | 3 | 1625/1377 | 35 |
| 3. ქუთაისი | 19 | 15 | 4 | 1621/1444 | 34 |
| 4. შსს აკადემია | 19 | 11 | 8 | 1660/1469 | 30 |
| 5. სოხუმი | 19 | 10 | 9 | 1502/1466 | 29 |
| 6. დინამო | 19 | 10 | 9 | 1563/1615 | 29 |
| 7. სამედიცინო | 20 | 7 | 13 | 1591/1724 | 27 |
| 8. თსუ | 19 | 7 | 12 | 1534/1642 | 26 |
| 9. სტუ | 19 | 5 | 14 | 1424/1658 | 24 |
| 10. რუსთავი | 19 | 3 | 16 | 1336/1640 | 22 |
| 11. ბათუმი-რსუ | 19 | 2 | 17 | 1376/1704 | 21 |

გვერდი მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა

● ევროპის ჩემპიონატი, U-18


ბურთით გიორგი აფციაური

# კიდევ ერთი გმირობის მოლოდინში

*საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები დღეს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მიმდინარეობს, მეხუთე ადგილისთვის მატჩში შოტლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა", თამამად შეიძლება ითქვას, რომ 3 აპრილს ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. მათ პირველად შეძლეს ასაკობრივი ნაკრებების დონეზე ექვსი ერის გათამაშების წარმომადგენლის, იტალიის ნაკრების დამარცხება.*

ამჯერად ჩვენი გუნდის მეტოქე კიდევ უფრო სერიოზულია, ვიდრე „სკუადრა აძურინი", (ასაკობრივ ნაკრებებს იტალიელები ასე ეძახიან). ამ მატჩის შემდეგ იტალიელთა ნაკრების მწვრთნელმა აღიარა, რომ საქართველო მზარდი სარაგბო ქვეყანაა.

„დრამატული მატჩი იყო. თავიდან თითქოს ჩვენთვის ყველაფერი კარგად წარიმართა, მაგრამ მერე ქართველებმა დაამტკიცეს, რომ რაგბი ამ ქვეყანაში ვითარდება, სრულიად ახალ, მაღალ საფეხურზე ადის და მატჩის ბოლო წუთებზე გამარჯვება ხელიდან გამოგვგლიჯეს. ამ მარცხს საკუთარ თავზე ვიღებ, მიმაჩნია, რომ როგორც მწვრთნელმა ბევრი შეცდომა დავუშვი" - თქვა მან.

შოტლანდიის 18-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **ედი პოლოკმა** პორტუგალიასთან მატჩისგან განსხვავებით, ხუთი ცვლილება განახორციელა. ჩვენი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილებაა. ფულბეკის პოზიციაზე დაბრუნდა **გიორგი აფციაური**, რომელიც ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბეა ცხრა ნომერ **რევაზ ბროძელთან** და გარემარბ **გიორგი ფრუიძესთან** ერთად.

*„ჩვენ ვნახეთ საქართველოს ნაკრების თამაში იტალიასთან. ეს გუნდი ძალიან ჰგავს ამავე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს. ქართველები ფიზიკურად ძლიერები და დინამიკურები არიან. იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ, ყურადღებით გარჯა გვმართებს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება სათამაშო დისციპლინის ზედმიწევნით დაცვას."* - თქვა ედი პოლოკმა.

### საქართველოს ნაკრები

**პირველი ხაზი:** ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ბადრი ალხაზაშვილი (აკადემია), მიხეილ ზურიკაშვილი (ხარები), ლექსო ცისკარიშვილი (არმია), ზურაბ ხარებავა (რაინდები), გიორგი მარგველანი (ივერია).

**მეორე ხაზი:** შოთა თევზაძე, მიხეილ მასხარაშვილი (ორივე-ჯიქები), შალვა შაშიაშვილი (აია).

**მესამე ხაზი:** საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე (ორივე-აკადემია), ვახტანგ ამირანაშვილი (ივერია), ონისე მოგელაშვილი (ჯიქები), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი).

**№9:** რევაზ ბროძელი (არმაზი), ლაშა ნადირაძე (ჯიქები).

**№10:** იოსებ ტუკვაძე (ყოჩები), ილია მელაძე (აკადემია), რევაზ ჯინჭველაშვილი (აია).

**№12-13:** ნიკა ამაშუკელი (ჯიქები), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები).

**№11-14:** დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), იოსებ კიკვაძე, გიორგი ფრუიძე (აია).

**№15:** გიორგი აფციაური (არმია).

### შოტლანდიის ნაკრები

15. გევინ ლავი, 14. ედ ფარქუარსონი, 13. კემერონ მაკენზი, 12. ნეილ ჰერონი, 11. სემ მონკური, 10. ბენ კუპერი, 9. მარდო მაენდრიუ. 1. დარსი რეი, 2. ბლკერ ჯარდინი, 3. კრის ბარნსი, 4. კემერონ ტერნერი, 5. ნეილ ირვინი, 6. კემერონ სიმპსონი, 7. რობი ტაიტი, 8. კრის დინი.

16. როს მურეი, 17. კემერონ ფენტონი, 18, ჯეიმზ მალკოლმი, 19. დანკან კემბელი, 20. ენდრიუ კრამონდ, 21. ტომი სპინქსი, 22. ალექს გლეშანი, 23. კალუმ ირვინი, 24. ფრენკი რობინსონი, 25. სემ პეკაერი, 26. შონ მაკდონალდი.

### ევროპის ჩემპიონატი, U-18

**7 აპრილი**

**VII ადგილისთვის**
იტალია-პორტუგალია

**V ადგილისთვის**
საქართველო-შოტლანდია

**III ადგილისთვის**
უელსი-საფრანგეთი

**ფინალი**
ინგლისი-ირლანდია

● გაზაფხულის ტურნირი

# გარდამავალი მატჩები, მზადება ჩემპიონატისთვის

გაზაფხულის ტურნირზე დღეს მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება. A ჯგუფში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლიდერების - თბილისის „არმაზისა" და „არმიას" დაპირისპირება. ორივე გუნდს წარმატებული სტარტი ჰქონდა. არმიელებმა, რომლებსაც საქართველოს A ნაკრებში მივლინებული ათი მოთამაშე აკლდათ, დიდი ანგარიშით მოუგეს პირველლიგელ ქუთაისის „ბაგრატს". „არმაზმა" კი საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში სძლია „ბათუმი XV"-ს, რომელიც თბილისის „აკადემიას" დაუპირისპირდება.

ამავე ჯგუფში პირველ მატჩს გამართავს თბილისის „ლელო", მისი მეტოქე „ბაგრატი" იქნება.

### II ტური

**A ჯგუფი**

აკადემია-ბათუმი XV, არმია-არმაზი, ლელო-ბაგრატი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არმია - 5 ქულა, 2. არმაზი - 4, 3. ბათუმი - 1, 4. ლელო - 0, 5. აკადემია - 0, 6. ბაგრატი - 0.

B ჯგუფში საინტერესო იქნება რუსთავის „ხარებისა" და ქუთაისის „აიას" დაპირისპირება. ორივე გუნდმა პირველ ტურში გამარჯვებას მიაღწია და წესით, ამ მატჩში უნდა გამოვლინდეს ის გუნდი, რომელიც პირველობისთვის კონკურენციას საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივს" გაუწევს. რკინიგზელები მეორე ტურში პირველლიგელ „თიბისის" ხვდებიან.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი თბილისის „ჯიქები", რომელსაც, სავარაუდოდ, ასევე ექნება პლეი ოფში თამაშის პრეტენზია, თბილისის „ყოჩებს" დაუპირისპირდება.

**B ჯგუფი**

თიბისი-ლოკომოტივი, ხარები-აია, ყოჩები-ჯიქები

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია - 5 ქულა, 2. ლოკომოტივი - 5, 3. ხარები - 4, 4. ჯიქები - 1, 5. ყოჩები - 0, 6. თიბისი - 0.

● ლეგიონერები

# ევროთასები ქართველი მორაგბეების სამიზნეში

ევროთასების გათამაშებაში ბოლო, პლეი ოფების ეტაპის დრო დადგა. ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში, მეოთხედფინალში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი „კლერმონი" და „ტულუზი" იასპარეზებს.

საფრანგეთის ჩემპიონი, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **აქვსენტი გიორგაძის „ტულუზი"**, სტუმრად ითამაშებს შოტლანდიაში „ედინბურგთან", რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **მაიკლ ბრედლი** თავკაცობს. აღსანიშნავია, რომ ამ შოტლანდიურ გუნდთან კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონიდან მის ღირსებას დაიცავს საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია**.

„ედინბურგს" შანსი აქვს გახდეს პირველი შოტლანდიური გუნდი, რომელმაც „ჰაინეკენის თასის" ნახევარფინალში გააღწია. თუმცა „ტულუზი", რომელიც ამ თასის ოთხგზის მფლობელია ედინბურგში არაფრის დათმობას აპირებს და ძირითადი შემადგენლობით ჩადის. ეს გუნდები აქამდე თერთმეტჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ათჯერ „ტულუზმა" მოიგო.

*„ღია, ლაღი თამაში ორივე გუნდის ხელწერაა, რაც ქომაგებს კარგ სანახაობას ჰპირდება. „ტულუზი" ედინბურგში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით გვეწვევა და ყველაფერს იღონებს მატჩის მოსაგებად. მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ მას ბრძოლა გავუმართოთ."* - თქვა ედინბურგის მთავარმა მწვრთნელმა მაიკლ ბრედლიმ.

ტულუზელებს ამ შეხვედრაში ტრავმირებული **მაქსიმ მედარი, კლემან პუატრენო** და **ლუკ მაკალისტერი** დააკლდება. განაცხადში არ არის საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე, აქვსენტი გიორგაძე კი ტრავმირებულია.

planetrugby-ს მიაჩნია, რომ „ტულუზი" მინიმუმ შვიდი ქულის სხვაობით მოიგებს.

**დავით ზირაქაშვილის „კლერმონი"** სტუმრად ეთამაშება ინგლისურ „სარასენზს". აღსანიშნავია, რომ ნისლიანი ალბიონის ჩემპიონი ერთადერთი გუნდია „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში, რომელიც ამ ქვეყნიდან შემორჩა. ამიტომ „სარასენზი" გაათკეცებული ენერგიით შეეცდება ინგლისური რაგბის ღირსების დაცვას. მით უფრო, რომ ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში ისევ შინ მოუწევს თამაში. ფინალი კი სულაც ლონდონში, „თვიქენემზე" გაიმართება.

„კლერმონი" წლეულს „ჰაინეკენის თასის" გათამაშებას სერიოზულად მიუდგა და ამ თასის საფრანგეთში ჩატანა სურს. „ვულკანების" რიგებში დაბრუნდნენ ტრავმამოშუშებული ცხრა ნომერი **მორგან პარა**, მგეზავი **დავიდ სკრელა** და გარემარბი **სიტივენი სივივატუ**. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი.

planetrugby-ს პროგნოზით ხუთი ქულის სხვაობით მასპინძლები მოიგებენ. შეგახსენებთ, რომ პლეი ოფის შეხვედრები თითო მატჩისგან შედგება.

### ჰაინეკენის თასი

**მეოთხედფინალი**

**სარასენზი-კლერმონი, ლენსტერი-კარდიფი, მანსტერი-ალსტერი, ედინბურგი-ტულუზი**

ორი „ქართული გუნდი", „ტულონი" და „ბრივი" იასპარეზებს „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების მეოთხედფინალშიც. **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" შინ მიიღებს ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ჰარლიქვინზს". ტულონელებმა ამ გათამაშების ფინალში 2010 წელს იასპარეზეს, მაშინ, როცა „ჰარლიქვინზი" ამ თასის ამჟამინდელი მფლობელია.

ერთი სიტყვით, მეოთხედფინალში ერთმანეთს უმთავრესი ფავორიტები გადაეყარნენ. უპირატესობა, ცხადია, ვარსკვლავებით მოჭედილ „ტულონს" აქვს, მით უფრო, რომ საკუთარ მოედანზე ის თითქმის უძლეველია. წლეულს „სტად დე მაიოზე" „ტულონმა" მხოლოდ „კლერმონთან" წააგო.

*„ტულონი" საკუთარ მოედანზე გაავებული მხეცივით იბრძვის. ძნელია მას რაიმე დაუპირისპირო, თუმცა ჩვენი გუნდი უკან დახევას არ აპირებს. „ჰარლიქვინზი" ყველაფერს იღონებს ტიტულის დასაცავად"* - თქვა ინგლისური კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **კონორ ოშიმ**.

ქუბრიაშვილი ამ შეხვედრაში გუნდის სათადარიგოთა შორის იქნება. planetrugby-ს მიაჩნია, რომ მინიმუმ შვიდი ქულით „ტულონი" მოიგებს.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი" შინ მიიღებს უელსურ „ჰლანეჰლის". ბრიველებმა ჯგუფურ ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზეს და ექვსი თამაშიდან ექვსივეში გაიმარჯვეს. ჩვენებურთა გუნდმა ამ თამაშის წინ საფრანგეთის ჩემპიონატში შინ „ტულონი" დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. გამორიცხული არ არის, „ბრივმა" ბოლომდე, თასის მოსაპოვებლად იბრძოლოს.

„ჰლანეჰლი" ჯგუფურ ეტაპზე „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში ასპარეზობდა და 15 ქულით მეორე ადგილს დასჯერდა. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა აქ პლეი ოფში გაღწევა და „ემლინ ჩელენჯ პაზე" მოსინჯავს ძალას.

*„ბრივი" ძალიან კარგი გუნდია. მაგრამ ჩვენ საგარეო მატჩებში წარმატებით ვთამაშობთ. ვეცდებით ზედმეტად არ შევიბოჭოთ ფსიქოლოგიური წნეხით და თავისუფლად, ლაღად ვითამაშოთ. გვინდა, იმ აურით, რაც „ბრივის" სტადიონზე იქნება და ლამაზი რაგბის თამაშით მაქსიმალური სიამოვნება მივიღოთ"* - თქვა „ჰლანეჰლის" შუამარბმა **ჯონათან დევისმა**.

### ჩელენჯ კაპი

**მეოთხედფინალი**

სტად ფრანსე-ექსეტერი 22:17, ტულონი-ჰარლიქვინზი, ვოსფსი-ბიარიცი, ბრივი-ჰლანეჰლი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



მარჯვნივ დავით ქუბრიაშვილი

ოლიმპიზმი



# შარიათი თუ ოლიმპიადა?

საუდის არაბეთი უარს ამბობს ლონდონის ოლიმპიადაზე ქალი სპორტსმენების გაგზავნაზე. ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, პრინც **ნავაფ იბნ ფეისალის** მკაცრი პოზიციის გამო, საუდის არაბეთი, შესაძლოა, საერთოდ არ დაუშვან 2012 წლის ოლიმპიადაზე.

პრინცმა გამორიცხა ზაფხულის თამაშებზე სამეფოს ქალთა გუნდის გამოსვლა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ბრიტანეთის დედაქალაქში მხოლოდ მამაკაცი სპორტსმენები გაემგზავრებიან.

*"ჩვენ არ მივესალმებით ქალების მონაწილეობას ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებში,* - ამბობს ნავაფ იბნ ფეისალი. – *არსებობენ ათასობით არაბი ქალები, რომლებიც სპორტს მისდევენ, მაგრამ ამას კერძო ხასიათი აქვს".*

რამდენიმე წლის წინ, ქვეყნის მთავრობამ ყველა სპორტული დარბაზი დახურა, რომლებიც ქალებისთვის იყო განკუთვნილი. გარდა ამისა, შემოიღეს უფრო მკაცრი კანონები იმაზე, როგორი ტანსაცმელი უნდა ატარონ სპორტსმენმა ქალებმა. შარიათის წესებით დადგენილი ტანსაცმლის მიხედვით, დილით სირბილიც კი პრაქტიკულად შეუძლებელია. მთავრობის აზრით, თუ ქვეყანაში ქალები სპორტით აქტიურად დაკავდებიან, ისინი "უხამსი ტანსაცმლის" ტარებას მიეჩვევიან და ბევრ დროს გაატარებენ სახლის მიღმა. გარდა ამისა, მათ უცხო მამაკაცებთან ურთიერთობის საშუალება ექნებათ, რაც შარიათის მიხედვით, აბსოლუტურად დაუშვებელია.

მარტში საუდის არაბეთში გამოქვეყნდა ლონდონის ოლიმპიადაზე წამსვლელთა პოტენციური სია, რომელშიც რამდენიმე ქალის გვარიც ეწერა. მაშინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იმედი გამოთქვა, რომ საუდის არაბეთი მზად არის პირველად გაუშვას ქალი სპორტსმენები უმაღლეს სპორტულ ფორუმზე. მაგრამ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია უცვლელი დარჩა, რამაც სპორტული საზოგადოების კრიტიკა გააძლიერა.

ასე მაგალითად, ქალთა სპორტისა და ფიტნესის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა **სიუ ტიბალსმა** საუდის არაბეთის ოლიმპიადიდან მოკვეთა მოითხოვა. *"იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავისი რიგებიდან გარიცხავს საუდის არაბეთს,* - განაცხადა მან. – *ქალი სპორტსმენებისთვის დაწესებული აკრძალვები ეწინააღმდეგება სოკ-ის ფუნდამენტალურ პრინციპებს. ოლიმპიური ქარტია გვეუბნება, რომ ქვეყნის ან ადამიანის მიმართ ნებისმიერი დისკრიმინაცია შეუთავსებელია ოლიმპიურ მოძრაობასთან".*

*"მოლაპარაკებები გრძელდება და ჩვენ ჯერ კიდევ ვმუშაობთ იმაზე, რომ იქაურ ქალებს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება მისცენ"*, - თავის მხრივ, წერია სოკ-ის განცხადებაში.

2012 წლამდე სამი ქვეყნის ქალები არ იყვნენ წარმოდგენილი ოლიმპიადაზე – საუდის არაბეთი, ბრუნეი და კატარი. ამ უკანასკნელის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ორ სპორტსმენს გაგზავნის ლონდონში – მოცურავე **ნადა არკაჯისა** და **ნურ ალ-მაქლის**, რომელიც მოკლე მანძილებზე სირბილში ცდის ბედს.

# ფედერერი ნადალზე წინ



ბორის ბეკერი

ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **ბორის ბეკერმა** ინტერვიუ მისცა გაზეთ "ბილდს", სადაც განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩია.** უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა ისიც აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სერბის მთავარი მეტოქე არა **რაფაელ ნადალი**, არამედ **როჯერ ფედერერია.**

*"დღეს ჯოკოვიჩი – მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელია. მან ამ სეზონშიც უკვე ძალიან ბევრს მიაღწია: მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, მაიამის მასტერსი და შეუძლია იმედი იქონიოს, რომ ამ წელს მსოფლიოს პირველი ჩოგანის რანგში დაასრულებს.*

*ამ მომენტისთვის მისი მთავარი მეტოქე როჯერ ფედერერია და არა რაფაელ ნადალი. ადრე, ფიზიკური თვალსაზრისით, რაფა გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე დღეს. ხოლო, თუ ასი პროცენტით არ ხარ მზად სათამაშოდ, დღეს უმაღლესი დონის ტურნირებზე გამარჯვება გამორიცხულია"*, - განაცხადა ბეკერმა.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პლეი ოფი ცნობილია, წყვილები ჯერ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი დღით ადრე სტენლის თასის ყველა მონაწილე გაირკვა. აღმოსავლეთში ბოლო, მერვე საგზურისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ „ბაფალო" და „ვაშინგტონი", მაგრამ ამ დავაში გუშინ ყველაფერი გადაწყდა. „სეიბრზმა" სტუმრად წააგო „ფილადელფიასთან". სტუმრებმა პირველებმა გაიტანეს, მაგრამ მესამე პერიოდში **ბურდონისა** და **რიდის** გოლებმა „მფრინავებს" გამარჯვება მოუტანეს, „ბაფალოს" მოთამაშეებს - ნაადრევი შვებულება. „ვაშინგტონმა" კარგად ისარგებლა კონკურენტის წაფორხილებით და „ფლორიდას" 4:2 მოუგო. დედაქალაქელები 3:0-ს იგებდნენ, „პანტერებმა" ორი შაიბა გაქვითეს, მაგრამ მასპინძლებმა გაძლეს და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

უფრო მეტიც, „ვაშინგტონს" შეუძლია დივიზიონის ჩემპიონი გახდეს და შესაბამისად, კონფერენციის სამეულში მოხვდეს. ამისთვის ბოლო დღეს „ვაშინგტონს" სჭირდება „რეინჯერსის" დამარცხება და „ფლორიდას" ძირითად დროში დამარცხება „კაროლინასთან". ნებისმიერ შემთხვევაში, „ფლორიდა" ქებას იმსახურებს, რადგან კლუბი 2000 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფში.

იმის გათვალისწინებით, რომ გუშინ „ოტავამ" 1:3 წააგო „ბოსტონთან", „ვაშინგტონის" კიდევ ერთი სავარაუდო პოზიცია შეიძლება გახდეს მეშვიდე ადგილი.

აღმოსავლეთ კონფერენციაში პლეი ოფის წყვილებზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ „პიტსბურგი" და „ფილადელფია" შეხვდებიან ერთმანეთს და „პინგვინებს" საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნებათ. მათ ეს უფლება „რეინჯერსის" დამარცხების შემდეგ მოიპოვეს - 5:2. 49-ე გოლი გაიტანა ამ მატჩში **ევგენი მალკინმა.** ასევე ახლოა სეზონში მე-60 შაიბასთან **სტივენ სტემკოსი**, რომლის 59-ე გოლი ვერ დაეხმარა „ტამპას" „ტორონტოსთან" მატჩში - 2:3.

■ ■ ■

დასავლეთშიც ცნობილია ის რვა გუნდი, რომელიც პლეი ოფში ითამაშებს. „ფინიქსი" გუშინ მოედანზე არ გასულა, მაგრამ „დალასის" მარცხის წყალობით გაიფორმა სტენლის თასზე გამოსვლა. როგორც ჩანს, „ვარსკვლავები" საბოლოოდ გამოიფიტნენ სეზონის ბოლოს და ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგეს. „დალასმა" სტუმრად ვერაფერი მოუხერხა „ნეშვილსა" და მის მეკარე **პეკა რინეს**, რომელმაც სეზონში მეხუთე შათაუტი გაიფორმა. „სტარზთან" ერთად თავისი შეხვედრა წააგო „კოლორადომ" და ეს ორი გუნდი ოფიციალურად გამოეთიშა საგზურებისთვის ბრძოლას.

„კოლორადოს" მარცხი იმას ნიშნავდა, რომ „სან ხოსე" და „ლოს ანჯელესი" ავტომატურად გახდნენ პლეი ოფის მონაწილეები. ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებოდნენ და ლამაზი თამაში აჩუქეს მაყურებელს. ძირითადი დრო 5:5 დასრულდა, თანაც „სან ხოსემ" 1:3-დან და 3:4-დან გადაარჩინა თამაში, ბოლოს წინ გასვლაც მოახერხა, მაგრამ „კინგზმა" სირენამდე ორი წუთით ადრე მოასწრო ანგარიშის გათანაბრება. ათიდან შვიდი გოლი რიცხობრივი უპირატესობისას გავიდა. „შარქსი" ძლიერი აღმოჩნდა ბულიტების სერიაში და დაეწია მეტოქეს ქულების რაოდენობით.

ეს გუნდები დივიზიონის ჩემპიონის ტიტულის ბედს ბოლო დღეს გაარკვევენ. დასავლეთში ჯერ არც ერთი წყვილი არ არის შემდგარი, რადგან ბევრი რამ არის გასარკვევი: კონფერენცია შეიძლება მოიგონ „ვანკუვერმა" და „სენტ ლუისმა", წყნარი ოკეანის დივიზიონში პირველობაზე სამი გუნდი აცხადებს პრეტენზიას: „ლოს ანჯელესი", „სან ხოსე" და „ფინიქსი", მეოთხე ადგილისთვის ებრძვიან ერთმანეთს „ნეშვილი" და „დეტროიტი".

**ვაშინგტონი–ფლორიდა 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ბიგლი-4 (ბროუერი-15, ელზნერი-16), 2:0 ოვეჩკინი-37 (მ. იოჰანსონი-31), 3:0 ლეიჩი-16 (კ. ოკუანი-7, ჰამრლიკი-9), 3:1 სამუელსონი-13 (ბერგენჰაიმი-6, გოკი-15), 3:2 ჯოვანოვსკი-3 (ბ. კემპბელი-49, გარისონი-16), 4:2 სიომინი-21 (ლეიჩი-24, ორლოვი-16).

**პიტსბურგი–რეინჯერსი 5:2**

2:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 კუნიტცი-25 (ლეტანგი-31, მალკინი-58), 1:1 დუბინსკი-10 (ბ. ბოილი-14, ფედოტენკო-11), 2:1 კენედი-11 (ჯ. სტაალი-22, ზ. მიხალეკი-11), 3:1 პარკი-7 (დუპუი-34, ტანგრადი-2), 4:1 მალკინი-49 (კუნიტცი-34, კროსბი-28), 4:2 ანისიმოვი-16 (ბ. ბოილი-15, ჟირარდი-24), 5:2 ლეტანგი-10 (ჯ. სტაალი-23).

**ოტავა–ბოსტონი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 პულიო-16 (როლსტონი-17, კერონი-8), 0:2 ზენონი-3, 1:2 სპეცა-34 (ე. კარლსონი-59, კუბა-26), 1:3 ლუჩიჩი-26 (კრეისი-39, კრუგი-1).

**ნეშვილი–დალასი 2:0**

0:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ბუიონი-4 (ჰორნკვისტი-16, ა. კოსტიცინი-19), 2:0 ჰორნკვისტი-26 (იიპი-4, ფიშერი-27).

**კაროლინა–მონრეალი 2:1 (ბ)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯოფრიონი-2 (ბლუნდენი-2, გორჯესი-13), 1:1 ლაროუზი-19 (მაკბეინი-19, პიტკანენი-12).

ბულიტები გაიტანეს: ე. სტაალი (კაროლინა).

**ფილადელფია–ბაფალო 2:1**

0:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:

1 ლეინო-8 (სტეფორდი-30, რეგერი-4), 1:1 ბურდონი-4 (ლილია-6, კ. ჟირუ-65), 2:1 რიდი-24 (ვორაჩეკი-31, ბურდონი-3).

**აილენდერსი–ვინიპეგი 5:4**

2:2, 1:0, 2:2

**გოლები:** 1:0 მოულსონი-36 (ტავარესი-49), 2:0 ოკსოპო-22 (ბეილი-19, ნილსენი-28), 2:1 ენსტრიომი-6 (სლეიტერი-8, ბაფლინი-40), 2:2 ლედი-28 (ლიტლი-22, ბოგოსიანი-25), 3:2 ოკსოპო-23 (ტავარესი-50), 3:3 ბოგოსიანი-5 (ტორნბურნი-7, ბაფლინი-41), 4:3 გრაბნერი-18 (ბულიტი), 4:4 ბაფლინი-12 (ენსტრიომი-26), 5:4 გრაბნერი-19 (ჰამონიკი-22, ნილსენი-29).

**ტორონტო–ტამპა ბეი 3:2**

1:1, 0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სან ლუი-25 (ლი-14, მელოუნი-28), 1:1 კონოლი-13 (გარდინერი-23, შტეკელი-5), 1:2 სტემკოსი-59 (ჟერვე-7, სან ლუი-48), 2:2 გარდინერი-7, 3:2 ფანოფი-11 (კესელი-45).

**დეტროიტი–ნიუ ჯერსი 1:2**

0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 პონიკაროვსკი-14 (ჰაროლდი-1, კლარკსონი-16), 1:1 ჰოლმსტრიომი-11 (ჰუდლერი-25, ფილპულა-43), 1:2 სიკორა-20 (ელიაში-51, ზუბრუსი-26).

**მინესოტა–ჩიკაგო 2:1 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 მეიერსი-6 (ფროლიკი-10), 1:1 კლატერბეკი-15 (სკანდელა-9, ჰიტლი-29).

ბულიტები გაიტანეს: სეტოგუჩი (მინესოტა).

**კოლორადო–კოლამბუსი 2:5**

1:2, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ატკინსონი-3 (ბოისი-4, ჟილისი-6), 1:1 დ. ჯონსი-20 (მაკგინი-17, პ. შრასტნი-32), 1:2 ნეში-28 (ლეტესტუ-13, პროსპალი-37), 2:2 პ. შრასტნი-21 (ლანდესკოგი-30, მიულერი-9), 2:3 ნეში-29 (ბრასარი-25, ჯ. ჯონსონი-25), 2:4 ატკინსონი-4 (უმბერგერი-20), 2:5 ატკინსონი-5 (მესიონი-2).

**კალგარი–ვანკუვერი 3:2**

0:1, 0:0, 3:1

**გოლები:** 0:1 ბაროუზი-28 (ჰამჰუისი-32), 1:1 კამალერი-19 (ბოუმისტერი-23, ალიუ-1), 2:1 გლენკროსი-26, 3:1 კამალერი-20 (სტემპნიაკი-14, ჯორდანო-18), 3:2 ჰანსენი-16 (ბიეკსა-35, ჰამჰუისი-33).

**ედმონტონი–ანაჰაიმი 2:3**

0:0, 1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 სემ განიე-18 (პეტრი-23, რ. ჯონსი-16), 1:1 კოლიანო-13 (სბისა-19), 1:2 რაიანი-29 (სმიტ-პელი-6, ბონინო-13), 2:2 ებერლე-34 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-34, ჰემსკი-26), 2:3 გეტცლაფი-11.

**ლოს ანჯელესი–სან ხოსე 5:6 (ბ)**

1:1, 2:1, 2:3, 0:0

**გოლები:** 1:0 მარტინესი-6 (დ. ბრაუნი-32, კოპიტარი-49), 1:1 დემერსი-4 (ვინიკი-15, მური-21), 2:1 სტოლი-6 (კინგი-9, უ. მიტჩელი-16), 3:1 დ. ბრაუნი-22 (კოპიტარი-50, უ. მიტჩელი-17), 3:2 ჯ. ტორნტონი-18 (დ. ბოილი-39, ვ. ტური-32), 3:3 ქლოუ-17, 4:3 ჯასტინ უილიამსი-20 (მარტინესი-5, უ. მიტჩელი-18), 4:4 მარლო-29 (პაველსკი-29, ჯ. ტორნტონი-59), 4:5 ჰავლატი-7 (ქლოუ-28, მარლო-34), 5:5 ჯასტინ უილიამსი-21 (მ. რიჩარდსი-26, კოპიტარი-51).

ბულიტები გაიტანეს: პაველსკი (სან ხოსე).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-რეინჯერსი* | 81 | 51 | 23 | 7 | 109 |
| 2. y-ბოსტონი* | 81 | 48 | 29 | 4 | 100 |
| 3. x-ფლორიდა* | 81 | 37 | 26 | 18 | 92 |
| 4. x-პიტსბურგი | 81 | 50 | 25 | 6 | 106 |
| 5. x-ფილადელფია | 81 | 47 | 25 | 9 | 103 |
| 6. x-ნიუ ჯერსი | 81 | 47 | 28 | 6 | 100 |
| 7. x-ოტავა | 81 | 41 | 30 | 10 | 92 |
| 8. x-ვაშინგტონი | 81 | 41 | 32 | 8 | 90 |
| 9. ბაფალო | 81 | 39 | 32 | 10 | 88 |
| 10. ვინიპეგი | 81 | 37 | 35 | 9 | 83 |
| 11. ტამპა ბეი | 81 | 37 | 36 | 8 | 82 |
| 12. კაროლინა | 81 | 33 | 32 | 16 | 82 |
| 13. ტორონტო | 81 | 35 | 36 | 10 | 80 |
| 14. აილენდერსი | 81 | 34 | 36 | 11 | 79 |
| 15. მონრეალი | 81 | 30 | 35 | 16 | 76 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-ვანკუვერი* | 81 | 50 | 22 | 9 | 109 |
| 2. y-სტ. ლუისი* | 80 | 48 | 21 | 11 | 107 |
| 3. x-ლოს ანჯელესი* | 81 | 40 | 27 | 14 | 94 |
| 4. x-ნეშვილი | 81 | 47 | 26 | 8 | 102 |
| 5. x-დეტროიტი | 81 | 48 | 28 | 5 | 101 |
| 6. x-ჩიკაგო | 81 | 44 | 26 | 11 | 99 |
| 7. x-სან ხოსე | 81 | 42 | 29 | 10 | 94 |
| 8. x-ფინიქსი* | 80 | 40 | 27 | 13 | 93 |
| 9. დალასი | 81 | 42 | 34 | 5 | 89 |
| 10. კალგარი | 81 | 36 | 29 | 16 | 88 |
| 11. კოლორადო | 81 | 41 | 34 | 6 | 88 |
| 12. მინესოტა | 81 | 35 | 35 | 11 | 81 |
| 13. ანაჰაიმი | 81 | 34 | 35 | 12 | 80 |
| 14. ედმონტონი | 81 | 32 | 39 | 10 | 74 |
| 15. კოლამბუსი | 81 | 28 | 46 | 7 | 63 |

* - დივიზიონის ლიდერი; z - კონფერენციის ჩემპიონი; y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გავიდა პლეი ოფში

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ვაშინგტონი პლეი ოფში გავიდა

## კრივი


ტონი განზე წარმოსადეგია

# ჩააქრეთ შუქი, ტონი დაბრუნდა

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი, სახელგანთქმული ამერიკელი **ჯეიმს ტონი** შაბათს, მისისიპის შტატის ქალაქ საუთჰევენში იბრძოლებს ნაკლებად ცნობილი **ბობი განის** წინააღმდეგ, რომელსაც აშშ-სა და კანადის მოქალაქეობა გააჩნია. 12-რაუნდიანი ბრძოლა სუპერმძიმე წონითი კატეგორიის ეგიდით გაიმართება და გათამაშდება ნაკლებად მნიშვნელოვანი ვერსიის – IBA-ის საჩემპიონო ტიტული, რომელიც ტონის მფლობელობაშია.

ჯეიმს ტონიმ კარიერა 1988 წელს დაიწყო და სამი წლის შემდეგ პირველი საჩემპიონო ბრძოლა ჩაატარა – 11 რაუნდში ნოკაუტით მოუგო **მაიკლ ნანს**. 1994 წლის ნოემბრისთვის მის ანგარიშზე იყო 44 გამარჯვება, 2 ფრე და არც ერთი წაგება.

პირველი მარცხი ტონიმ **როი ჯონსთან** ბრძოლაში იწვნია. იმ ჩხუბის მესამე რაუნდში ტონი ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ მოახერხა წამოდგომა და ბრძოლის გაგრძელება. თუმცა დარჩენილი დრო რინგზე ჯონსი დომინირებდა და მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოიგო. ამის შემდეგ, ტონი დიდი ხანი კრუზერვეიტში (90.8 კილოგრამამდე კატეგორია) ჩხუბობდა.

2003 წელს ტონიმ **ვასილი ჟიროვის** ნოკაუტში გაგზავნა შეძლო და მორიგ წონით კატეგორიაში გახდა ჩემპიონი, თუმცა ჯეიმსი ამაზე არ შეჩერებულა და ყველაზე პრესტიჟულ – სუპერმძიმე კატეგორიაში გადავიდა, სადაც ლეგენდარული **ევანდერ ჰოლიფილდი** დაამარცხა.

მოკრივემ, რომლის მეტსახელი გახლავთ "ჩააქვრეთ შუქი", 2005 წელს ჩემპიონის ტიტული მოიგო პრესტიჟული WBA-ის ვერსიით - ქულებით დაამარცხა **ჯონ რუისი**. თუმცა მალე დადებითი დოპინგ-ტესტის გამო საჩემპიონო ქამარიც ჩამოართვეს და დისკვალიფიკაციაც მისცეს. მომავალი წლის მარტში ის უკვე WBC-ის ტიტულისთვის იბრძოდა. **ჰასიმ რაჰმანთან** 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ საყაიმო შედეგი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ 2008 წელსაც ვერ შეძლეს ამ მოკრივეებმა გამარჯვებულის გამოვლენა, თუმცა თავიდან ტონის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიენიჭა.

2006 წლის სექტემბერში ჯეიმსმა მსაჯების საკამათო გადაწყვეტილებით დაამარცხა ნიგერიელი **სემუელ პიტერი**, რომელმაც რამდენიმე თვის შემდეგ ამერიკელი მატჩ-რევანშში გამოიწვია და ნოკაუტით დაამარცხა ის. ამის შემდეგ ტონის კარიერა დაღმავალი გზით წავიდა. 2010 წელს მან ძალები მოსინჯა შერეულ ორთაბრძოლებში, სადაც პირველივე ბრძოლა **რენდი კუტურთან** ვადაზე ადრე დამარცხებით დასრულდა – ამერიკელმა მხოლოდ სამი წუთი და 19 წამი გაძლო. ამით მისი კარიერა UFC-ში დასრულებული იყო.

კრივში ტონი 2011 წლის თებერვალში დაბრუნდა და **დეიმონ რიდი** დაამარცხა. ახლა კი ტონიმ სუპერმძიმე წონაში დაბრუნება გადაწყვიტა. ამერიკელი დარწმუნებულია, რომ მომავალ ბრძოლაში გამარჯვებას მოიპოვებს. *"განის ბევრი ბრძოლა ვნახე*, - ამბობს ჯეიმსი. – *მზად ვარ მასთან შესახვედრად. ვფიქრობ, მთელი ბრძოლის განმავლობაში უპირატესობა მექნება და ბოლოს მას ნოკაუტში ჩავაგდებ. ვერ ვხედავ, რის ხარჯზე უნდა მოახერხოს მან ჩემი შეჩერება"*.

რაც შეეხება 38 წლის განს, ის ორჯერ იბრძოდა ტიტულისთვის პირველ მძიმე წონაში, მაგრამ ორივეჯერ ვადაზე ადრე დამარცხდა: 2007 წელს, პირველივე რაუნდში დაეცა WBO-ის მაშინდელი ჩემპიონის, უელსელი **ენცო მაკარინელის** წინაშე, 2009 წელს კი მხოლოდ ხუთი რაუნდი გაუძლო პოლონელ **ტომაშ ადამეკს**, რომელიც იმ დროს IBF-ის საჩემპიონო ქამარს ფლობდა.

*"ჯეიმს ტონი – დიადი ჩემპიონი და რთული მეტოქეა*, - განაცხადა განმა. – *ამ შანსს მთელი ცხოვრება ველოდი. მზად ვარ ამისთვის. გამარჯვებისთვის ტონის ჩემი მოკვლა მოუწევს"*.

## მძლეოსნობა

# საბერძნეთში სპორტი კვდება

საბერძნეთის მძლეოსნობის ფედერაციამ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების შემცირების გამო, ყველა საშინაო ტურნირის ჩატარება შეწყვიტა. ფედერაციის მუშაობის შეჩერება არ ემუქრება ბერძენი მძლეოსნების ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას და საფრთხის წინაშე არ აყენებს ძველ ოლიმპიაში ოლიმპიური ცეცხლის დანთების ცერემონიას. მაგრამ სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნათ იმ ბერძენ ათლეტებს, რომლებიც ჰელსინკიში ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლას გეგმავდნენ.

თავის განცხადებაში ფედერაცია იტყობინება, რომ ადგილობრივი ტურნირების ჩატარება შეჩერებულია იქამდე, სანამ ფედერაციისთვის დაფინანსების არასამართლიანად შეწყვეტის გადაწყვეტილებას საბერძნეთის მთავრობა არ განიხილავს. თუ მინისტრთა კაბინეტი რეაგირების გარეშე დატოვებს წამოყენებულ ულტიმატუმს, საბერძნეთის მძლეოსნობის ფედერაცია გაავრცელებს მორატორიუმს, რითაც გზას დაუხურავს თავის სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| სუონსი-ნიუკასლი | 2:0 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| რიდინგი-ლიდსი | 2:0 |
| ბარნლი-ბრაიტონი | 1:0 |
| უოტფორდი-ბლეკპული | 0:2 |
| ბარნსლი-ვესტ ჰემი | 0:4 |
| **I ლიგა** | |
| კოლჩესტერი-ჰარტლპული | 1:1 |
| ლეიტონი-ნოტსი | 0:3 |
| სკანთორფი-ექსეტერი | 1:0 |
| ტრანსერი-სტევენეიჯი | 3:0 |
| უიკომბი-კარლაილი | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| უიმბლდონი-როტერჰემი | 1:2 |
| ალდერშოტი-პორტ ვეილი | 1:2 |
| ბრედფორდი-საუთენდი | 2:0 |
| ბრ. როვერსი-ჯილინგემი | 2:2 |
| ჩელტენემი-ბარნეტი | 2:0 |
| ქროული-ქრიუ | 1:1 |
| დაგენჰემი-ბარტონი | 1:1 |
| ჰერეფორდი-პლიმუტი | 1:1 |
| მორეკამბი-სუინდონი | 0:1 |
| ტორკი-აკრინგტონი | 1:0 |
| მაკლსფილდი-შრიუსბერი | 1:3 |
| ნორთჰემპტონი-ოქსფორდი | 2:1 |
| **კონფერენსი** | |
| ფორესტი გრინი-ებსფლიტი | 3:1 |
| რექსჰემი-ალფრეტონი | 0:1 |
| ნიუპორტი-ტელფორდი | 0:0 |
| ტამუორტი-ბეტი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბრეშა-ვერონა | 2:1 |
| ვიჩენცა-იუვე სტაბია | 0:3 |
| ასკოლი-ალბინოლეფე | 1:0 |
| ბარი-გროსეტო | 1:1 |
| ჩიტადელა-გუბიო | 2:1 |
| კროტონე-სამპდორია | 1:0 |
| ლივორნო-პადოვა | 1:2 |
| ნოჩერინა-ემპოლი | 2:1 |
| სასუოლო-მოდენა | 0:0 |
| ტორინო-რეჯინა | 1:0 შეწყდა |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ერკულესი-ხირონა | 4:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-მეცი | 1:1 |
| ანჟერსი-შატორუ | 2:0 |
| არლი-ტური | 2:2 |
| ბასტია-გინგამი | 3:1 |
| ბულონი-ისტრი | 1:1 |
| ლავალი-სედანი | 5:1 |
| ლანსი-ლე მანი | 1:3 |
| ტრუა-ჰავრი | 1:0 |
| მონაკო-ნანტი | 2:1 |
| **ნასიონალი** | |
| ბეზანსონი-ეპინალი | 1:1 |
| ნიმი-კევილი | 3:0 |
| რუანი-გფკო აიაჩო | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-იგლზი | 0:2 |
| დენ ბოში-ეინდჰოვენი | 0:2 |
| დორდრეხტი-აპელდოორნი | 4:0 |
| ცვოლე-ემენი | 1:0 |
| ჰელმონდი-ვოლენდამი | 1:0 |
| მაასტრიხტი-სპარტა | 1:1 |
| ტელსტარი-ოსი | 2:1 |
| ვეენდამი-კამბური | 1:1 |
| ვილემი-ფორტუნა | 1:1 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-ანდერლეხტი | 0:0 |
| ბეერსხოტი-ლოკერენი | 4:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვიზე-შარლერუა | 2:2 |
| სტ. ნიკლაასი-ოსტენდე | 1:1 |
| ეუპენი-აალსტი | 3:3 |
| **პორტუგალია** | |
| ლეირია-ჟილ ვისენტე | 0:0 |
| ბეირა მარი-აკადემიკა | 2:1 |
| სეტუბალი-გიმარაეში | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ავეში-პორტიმონენსე | 1:1 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ჰორსენსი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| ატვიდაბერგი-გაის | 2:1 |
| გეფლე-სირიანსკა | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ტრელებორგი-ანგელჰოლმი | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| ქარაბუქი-ბეშიქთაში | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| სტ. პატსი-შემროკი | 5:1 |
| ბოჰემიანსი-კორკი | 1:0 |
| ბრეი-სლიგო | 1:2 |
| დერი-უნივერსიტი | 0:0 |
| დანდალკი-შელბურნი | 0:0 |
| მონეგანი-დროგედა | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-უექსფორდი | 0:1 |
| ფინ ჰარპსი-გალვეი | 3:0 |
| ლიმერიკი-ლონგფორდი | 1:2 |
| მერვუ-უოტერფორდი | 0:0 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-ნიუთაუნი | 1:6 |
| ბანგორი-ბალა | 4:2 |
| პორტ ტელბოტი-ებერისტვიტი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| დუკლა-ბოჰემიანსი 1905 | 2:0 |
| ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 0:1 |
| ბოლესლავი-სიგმა | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| იულავა-სპარტა B | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვოლგა-კრილია | 0:0 |
| ტერეკი-ნალჩიკი | 2:0 |
| **უკრაინა** | |
| ვოლინი-ვორსკლა | 0:0 |
| არსენალი-ობოლონი | 4:1 |
| **ხორვატია** | |
| ლუჩკო-[illegible] | 2:2 |
| ლოკომოტივა-ციბალია | 1:2 |
| **უნგრეთი** | |
| დი[illegible]რი-კაპოშვარი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| ტარგუ-გაზ მეთანი | 1:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (პ)-ვიდიმა | 3:2 |
| **ბელარუსი** | |
| სლავია-შახტიორი | 0:2 |
| ბელშინა-ნემანი | 0:0 |
| დინამო (ბრ)-ბატე | 0:2 |
| გომელი-ტორპედო | 2:0 |
| მინსკი-დინამო (მნ) | 0:0 |
| **ლიტვა** | |
| კრუოია-ბანგა | 1:0 |
| **მოლდოვა** | |
| ზიმბრუ-შერიფი | 1:0 |
| ოლიმპია-ცსკა | 3:0 |
| მილსამი-სფინტული | 3:0 |
| დაჩია-კოსტულენი | 3:0 |
| ისკრა-აკადემია | 1:1 |
| ტირასპოლი-ნისტრუ | 2:3 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კოლრეინი-კლიფტონვილი | 1:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| კანტუ-კაზალე | 70:55 |
| **თურქეთი** | |
| ტურკ ტელეკ.-გალათასარაი | 74:82 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ტულონი | 92:68 |
| შალონი-ნანტი | 99:109 (ო) |
| გრაველენი-ნანსი | 83:61 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ტრაქტორი-ავანგარდი | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-ბოლესლავი | 2:1 (ო) |
| სლავია-კარლოვი ვარი | 3:4 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **დევისის თასი** | |
| **ესპანეთი-ავსტრია** | |
| ალმაგრო-მელცერი | 6:2, 6:2, 6:4 |
| ფერერი-ჰაიდერ მაურერი | 6:1, 6:3, 6:1 |
| **საფრანგეთი-აშშ** | |
| ცონგა-ჰარისონი | 7:5, 6:2, 2:6, 6:2 |
| სიმონი-ისნერი | 3:6, 2:6, 5:7 |
| **ჩეხეთი-სერბეთი** | |
| ბერდიხი-ტროიცკი | 6:2, 6:1, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-შტეპანეკი | 5:7, 6:4, 6:4, 4:6, 9:7 |
| **არგენტინა-ხორვატია** | |
| ნალბანდიანი-ჩილიჩი | 7:5, 4:6, 6:4, 6:7, 3:6 |
| დელ პოტრო-კარლოვიჩი | 6:2, 7:6, 6:1 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| ლისიცკი-ს. უილიამსი | 1:6, 0:6 |
| ვ. უილიამსი-სტოსური | 3:6, 6:4, 3:6 |

## TV პროგრამა

### 7 აპრილი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. სუონსი-ნიუკასლი.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
12:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტური. კიევო-კატანია (LIVE).
16:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტური. მილანი-ფიორენტინა (LIVE).
19:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
20:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტური. პალერმო-იუვენტუსი (LIVE).
22:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
23:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ლაციო-ნაპოლი (LIVE).
01:05 არგენტინის ჩემპიონატი. IX ტური. ბოკა ხუნიორსი-არგ. ხუნიორსი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:45 NBA Action.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მემფისი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ვოლფსბურგი-დორტმუნდი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:15 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ედინბურგი-ტულუზა.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXXI ტური. სარაგოსა-ბარსელონა (LIVE).
00:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ლენსტერი-კარდიფი.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
13:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-დალასი.
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ბაიერნი-აუგსბურგი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
21:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXI ტური. მონპელიე-სოშო (LIVE).
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXI ტური. ლიონი-ოსერი (LIVE).

### 8 აპრილი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXI ტური. სარაგოსა-ბარსელონა.
12:00 იტალიის შოუ.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXI ტური. ლევანტე-ატლეტიკო (LIVE).
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტურის წინ.
16:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. მანჩესტერ იუნ-ქუინზ პარკი (LIVE).
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
21:00 ჰოლანდიის თასი. ფინალი. ეინდჰოვენი-ჰერაკლესი.
23:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXI ტური. რეალი-ვალენსია (LIVE).
01:30 არგენტინის ჩემპიონატი. IX ტური. ბელგრანო-ესტუდიანტესი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. IX ტური. ბოკა ხუნიორსი-არგ. ხუნიორსი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-ლეიკერსი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-მაკაბი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. შალკე-ჰანოვერი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
20:15 სუპერკოლაჟი.
20:30 NBA Action.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო (LIVE).
00:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. სარასენი-კლერმონი.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
16:00 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
16:45 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. მანსტერი-ალსტერი (LIVE).
18:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ჰამბურგი-ლევერკუზენი (LIVE).
21:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მემფისი.
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXI ტური. პსჟ-მარსელი (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 25 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 14 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 16 | 23 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 2 | 24 | (მზე) |
| თელავი | 6 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -2 | 15 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -2 | 12 | (მზე) |
| მესტია | -1 | 17 | (მცირე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1460 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6418 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6000 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5786 |

კალათბურთი. ევროლიგა



პანათინაიკოსი-მაკაბი

# ჩემპიონი სტამბოლში მიდის

საკალათბურთო ევროლიგაზე ერთადერთ წყვილში რჩებოდა გასარკვევი ნახევარფინალისტი.

მეხუთე მატჩის თამაში დასჭირდათ "პანათინაიკოსსა" და "მაკაბის". საკუთარი მოედნის უპირატესობა ევროლიგის მოქმედ ჩემპიონს ჰქონდა, ამიტომაც შეხვედრა ათენში გაიმართა.

თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ, "პანათინაიკოსმა" მეორე მეოთხედში სერიოზული ჰადიკაპი მიილო – 10-წუთიანი მონაკვეთი 11 ქულით მოიგო და დიდი შესვენებისთვის 9-ქულიან უპირატესობას მიაღწია. მესამე მეოთხედში არაფერი შეცვლილა - თანაბარი 10 წუთის შემდეგ, ბოლო მეოთხედის წინ "პანათინაიკოსი" ისევ 9 ქულით იყო წინ. ბოლო მეოთხედში ეს უპირატესობა შენარჩუნდა და სირენამდე 2 წუთითა და 23 წამით ადრე მასპინძლები ისევ კომფორტულად გრძნობდნენ თავს – 78:69.

მაგრამ აქ "მაკაბიმ" კინალამ სასწაული მოახდინა. დაახლოებით წუთნახევრიან მონაკვეთში ისრაელის ჩემპიონი **ლენგფორდისა** და **ბლუს** მონდომებით 13:5 გაიქცა და "პანათინაიკოსის" უპირატესობა ერთ ქულამდე დავიდა. ბოლოს კი, **პნინის** ზედიზედ სამი საჯარიმოთი სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს – 85:85.

"პაომ" ბოლო შეტევა მატჩის საუკეთესო მოთამაშეს, **დიამანტიდისს** (25 ქულა) მიანდო, რომლის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ. ბერძნების მცველმა ორიდან ერთი თავისუფალი ჩააგდო და "მაკაბის" ბოლო შეტევისთვის ხუთი წამი დარჩა, მაგრამ სტუმრებმა მეტოქის ნახევარზე გადასვლაც ვერ მოასწრეს და "პანათინაიკოსმა" 86:85 მოიგო.

ასე რომ, სტამბოლში, 11 მაისს "ოთხთა ფინალის" ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან: ცსკა-"პანათინაიკოსი", "ბარსელონა"-"ოლიმპიაკოსი".

**პანათინაიკოსი–მაკაბი 86:85**

18:20, 23:12, 21:21, 24:32

**პ:** დიამანტიდისი (25+6 მოხსნა), იასიკიავიჩუსი (13), პერპეროგლუ (9), ბატისტი (8+5 მოხსნა), ვუიუკასი (8).

**მ:** ბლუ (14), ლენგფორდი (11), ბურშტეინი (10), ოჰაიონი (10), სმიტი (9+9 მოხსნა), პნინი (9), ჰენდრიქსი (8+4 პასი), შორცანიდისი (8).

სერია: 3-2

ფორმულა 1

# არგენტინა კორეის ნაცვლად?

მიუხედავად იმისა, რომ ბაჰრეინის გრანპრის დასრულებამდე ორ კვირაზე ნაკლებია დარჩენილი, ეტაპის ბედი დღემდე გაურკვეველია. სპარსეთის ყურის ამ პატარა ქვეყანაში არეულობამ შარშან ეტაპის გაუქმება გამოიწვია და ახლა, ფორმულა 1-ის ორგანიზატორები არ ჩქარობენ პრინციპული გადაწყვეტილების მიღებას – ამ ინფორმაციას თავად გუნდების წარმომადგენლები ადასტურებენ.

ერთბაშად რამდენიმე წყარო წერს იმის შესახებ, რომ ჩემპიონატის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია: ბაჰრეინის ეტაპის ბედი მხოლოდ 13-15 აპრილს ჩინური სარბოლო უქმეების დროს გახდება ცნობილი. გუნდებს შანხაის რბოლის ფინიშის შემდეგ აცნობებენ – მანამაში გაემგზავრონ თუ საკუთარ ბაზებზე უნდა დაბრუნდნენ.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ამგვარი გაურკვევლობა დიდად მოქმედებს ფორმულა 1-ის პრესტიჟზე. საქმე ისაა, რომ ბევრ გულშემატკივარს შეკვეთილი აქვს ავიაბილეთები და სასტუმროს ნომრები. ეტაპის გაუქმების შემთხვევაში, ისინი მატერიალურად დაზარალდებიან. თანაც, გუნდებიც გაურკვევლ სიტუაციაში არიან დარჩენილი...

■ ■ ■

იტალიური ჟურნალის – Autosprint-ის ინფორმაციით, 2013 წელს ფორმულა 1-ის კალენდარში რბოლების რაოდენობა 20-ს არ გადასცდება, ამასთან, გაისად ეტაპების სიას დაემატება ამერიკის (ნიუ ჯერსი) და არგენტინის რბოლები.

აღრე იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ 2012 წლის მაისში არგენტინის გრანპრის ორგანიზატორები სამწლიან კონტრაქტს მოაწერენ ხელს ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერთან - **ბერნი ექლსტოუნთან**.

ერთ-ერთი გრანპრი, რომელთანაც არგენტინამ, შესაძლოა, მონაცვლებით ჩაატაროს ეტაპი, ვალენსიის ქუჩის რბოლაა. გარდა ამისა, იტალიური გამოცემა წერს: *"კორეის გრანპრის ორგანიზატორები უკვე ველარ ასრულებენ ექლსტოუნის წინაშე ფინანსურ ვალდებულებებს და ალბათ, დატოვებენ კალენდარს"*.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# როუზი არ იყო, მაგრამ...

„ჩიკაგოს" გულშემატკივართა მხრიდან დიდი მოლოდინის მიუხედავად, **დერიკ როუზი** ჯერ ვერ დაუბრუნდა მოედანს, ამიტომაც „ხარებს" „ბოსტონის" დამარცხება შარშანდელი MVP-ის გარეშე მოუწიათ.

საინტერესოდ გამოიყურებოდა „ბოსტონის" სასტარტო შემადგენლობა. ასოციაციის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთმა უდიადესმა სნაიპერმა **რეი ალენმა** ხუთეულში ადგილი დაუთმო სწრაფად პროგრესირებად **ბრედლის**. რეი თავის ხანგრძლივ კარიერაში მხოლოდ მეხუთედ ვერ მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში. **დოკ რივერსის** სვლამ გაამართლა, რადგან მეორეწლიანმა ბრედლიმ დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა.

„ბოსტონმა" დიდი შესვენების წინ 16:5 გაქცევა განახორციელა - შეცვლაზე შემოსულმა **ბასმა** ზედიზედ სამ შეტევაში 7 ქულა დააგროვა, **პირსმა** ურთულესი ბურთი ჩააგდო და თან მეურვეს წესი დაარღვევინა, ამას **რონდოს** ორი უზუსტუსი პასი და ორქულიანიდა ემატა. „ბოსტონი" გასახდელში 11-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

როგორც ჩანს, ჩიკაგოელებმა შესვენებაზე საჭირო დარიგებები მიიღეს მწვრთნელისგან. მასპინძლებმა, პირველ რიგში, ტემპს მოუმატეს, **ჰემილტონმა** და **ბუზერმა** გამთამაშებლებზე არანაკლებ ეფექტურად დაიწყეს პასების დარიგება, **ნოა** კი შეტევაში გააქტიურდა და ზედიზედ გარბოდა კონტრშეტევებში. ასე რომ, მალე „ბულზმა" თანაფარდობა აღადგინა.

ხოლო, როცა საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი **დენგმა** (ბრიტანელმა თავისი 26 ქულიდან 18 მეორე ტაიმში დააგროვა), მასპინძლებმა ნელა, მაგრამ მეთოდურად დაიწყეს უპირატესობის გაზრდა. „ბოსტონმა" ამას ვერაფერი დაუპირისპირა - „კელტებს" დაღლა დაეტყოთ.

ყველაფერი საბოლოოდ ცხადი გახდა საფინალო სირენამდე 1.42 წუთით ადრე, როცა დენგის პასით დანკი შეასრულა **ბუზერმა**. მანამდე იმავე დენგმა ზედიზედ ოთხი შეტევა ზუსტი ტყორცნით დაასრულა. ამ მომენტისთვის სხვაობამ 10 ქულას მიაღწია და **პირსისა** და **გარნეტის** უზუსტობების ფონზე (ამ დუეტმა 37-დან 24 ტყორცნა ააცილა), „სელტიქსის" გადარჩენა წარმოუდგენელი ჩანდა. მაგრამ სასწაულის შანსი მაინც იყო, რადგან დარჩენილ დროში „ჩიკაგოს" თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდია, რონდომ კი „მინუს 5"-ზე სირენამდე 9 წამით ადრე სამქულიანი ააცილა. ამით ყველაფერი დასრულდა. „ბულზმა" ორმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

**ჩიკაგო–ბოსტონი 93:86**

18:22, 20:27, 29:17, 26:20

**ჩ:** დენგი (26+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ნოა (17+9 მოხსნა), უოტსონი (15+8 პასი), ბუზერი (12+14 მოხსნა).

**ბ:** პირსი (22+8 მოხსნა), ბასი (15+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ალენი (14), გარნეტი (12+14 მოხსნა), რონდო (10+12 პასი).

# კონფლიქტი ჯადოქრებში

კრიზისში იმყოფება „ორლანდო", რისი მთავარი მიზეზიც კლუბის ლიდერის **დუაიტ ჰოვარდისა** და მწვრთნელის **სტენ ვან განდის** კონფლიქტი გახდა. შეგახსენებთ, რომ „სუპერმენმა" ვან განდის გადაყენება მოითხოვა - ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ამერიკულმა პრესამ. მოგვიანებით, ეს ცნობა დაადასტურა თავად „მეჯიქის" დამრიგებელმა და განაცხადა, რომ ჰოვარდი სპეციალურად არ აჩვენებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, რადგან მწვრთნელის განთავისუფლება სურს.



ვან განდი და ჰოვარდი

რთულია მწვრთნელის სიტყვებში ეჭვის შეტანა მას შემდეგ, რაც გუშინ, „ნიუ იორკთან" მატჩში დუაიტმა მხოლოდ რვა ქულა და რვა მოხსნა დააგროვა. გარდა ამისა, „სუპერმენმა" ყველა საჯარიმო ააცილა და ხუთჯერ დაკარგა ბურთი. ცენტრს მხარი აუბეს **ნელსონმა** (თამაშიდან - 3/14) და **თურქოგლუმ**, რომელმაც 19 წუთის განმავლობაში ვერც ერთი შედეგიანი პასი ვერ შეასრულა.

*„ახლა მე ნაკლებად მაღელვებს, ვიქნები თუ არა გუნდის სათავეში, არც დუაიტის სურვილები მაინტერესებს. უფრო მნიშვნელოვანია გუნდად დავრჩეთ და კრიზისიდან გამოვიდეთ"*, - განაცხადა ვან განდიმ.

გასაკვირი არ არის, რომ „ორლანდომ" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო.

**ორლანდო–ნიუ იორკი 80:96**

21:23, 23:33, 17:20, 19:20

**ო:** რიჩარდსონი (16), დევისი (15+7 მოხსნა), უაფერი (13), ნელსონი (10+6 მოხსნა+5 პასი), რედიკი (10).

**ნ-ი:** ენტონი (19+8 მოხსნა), სმიტი (15+9 პასი), დუგლასი (15+5 მოხსნა+6 პასი), ჩენდლერი (12+12 მოხსნა), ფილდსი (10).

**დეტროიტი–ვაშინგტონი 99:94**

28:21, 23:19, 25:24, 23:30

**დ:** მონრო (18+7 მოხსნა), სტაკი (15), პრინსი (14), გორდონი (13), მაქსიელი (11+11 მოხსნა).

**ვ:** უოლი (28+10 პასი), სერაფინი (15+9 მოხსნა), მეისონი (11), ვესელი (10+5 მოხსნა).

**საკრამენტო–კლიპერსი 85:93**

23:27, 19:21, 20:19, 23:26

**ს:** ტომასი (17+5 მოხსნა), ტომპსონი (15+16 მოხსნა), ევანსი (14+6 პასი), უილიამსი (11+3 აეპეხვთით).

**კ:** ფოიე (20+6 მოხსნა), ბატლერი (14), გრიფინი (14+9 მოხსნა), პოლი (13+5 მოხსნა+8 პასი+5 ჩაჭრა), კაზინსი (13).

# როუზი ნიქსთან დაბრუნდება

"ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელმა **დერიკ როუზმა** ვერ შეძლო გუშინ "ბოსტონ სელტიქსის" წინააღმდეგ მოედანზე გასვლა და შესაბამისად, გადაიდო მისი რეგულარულ ჩემპიონატში დაბრუნება. მაგრამ გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე გულშემატკივრებს კვირას, "ნიუ იორკ ნიქსთან" მატჩში თამაშს ჰპირდება.

როუზი ბოლოს მოედანზე 12 მარტს, სწორედ "ნიქსთან" მატჩში გამოჩნდა. თავიანთი ლიდერის გარეშე "ხარებმა" 12 მატჩი ჩაატარეს და რვაში გამარჯვებას მიაღწიეს.

# დანკანმა ჯერ არ იცის

"სან ანტონიო სპურსის" ვეტერანმა ლიდერმა **ტიმ დანკანმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯერ არ უფიქრია თავისი მომავალი კარიერის შესახებ. გარდა ამისა, NBA-ის ლეგენდამ "ბოსტონის" წინააღმდეგ ბოლო მატჩში **კევინ გარნეტთან** დაპირისპირების შესახებ გაუზიარა შთაბეჭდილებები პრესის წარმომადგენლებს.

*"სანამ სეზონი არ დასრულდება, არ შემიძლია ჩემს მომავალზე საუბარი. ჯერ ბევრი რამ უნდა მოვიფიქრო. დღეს გარნეტის წინააღმდეგ თამაში რთულია. ჩვენ ყოველთვის საინტერესო ბრძოლა გამოგვდის. გვერდიდან შეიძლება ისე ჩანს, რომ ხანდახან ეს დაპირისპირება ომში გადაიზრდება, მაგრამ ეს ასე არ არის - თამაშისგან სიამოვნებას ვიღებთ და ბევრს რამეს ვსწავლობთ ერთმანეთისგან"*, - ამბობს დანკანი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია